

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ირაკლი დანელია

გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების  
პერსპექტივები საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ  
პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

თბილისი

2019

## აბსტრაქტი

კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები გლობალური ეკონომიკის პირობებში ვერ ასახავენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ასპექტს, განსაკუთრებით, სტრატეგიის და ტაქტიკის კონტექსტში. მაგალითად, შედარებითი უპირატესობის თეორიას ძალზედ უჭირს ყველა იმ ნიშან-თვისების ახსნა, რომლითაც ხასიათდება გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები, რადგან კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები თანამედროვე გლობალური ეკონომიკისთვის გარკვეულ შეზღუდვებს უშვებენ. ეკონომიკური ძლიერების მისაღწევად მხოლოდ საბაზრო ფაქტორების ცოდნა ვერ იძლევა წარმატების გარანტიას, რადგან არასაბაზრო ფაქტორებიც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. ამ მოცემულობაში გაცილებით რელევანტური ხდება გეოეკონომიკური ანალიზი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა არასაბაზრო ფაქტორს. თანამედროვე გეოეკონომიკის კონცეფცია განსხვავდება სახელმწიფოთა განსხვავებულობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, გეოეკონომიკური მეცნიერების შესწავლა აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე გეოეკონომიკური ძლიერების შექმნის და თანამედროვე გეოეკონომიკურ დაპირისპირებაში გამარჯვების რთული სისტემისა და ამ სისტემაში თავის დამკვიდრების ინსტრუმენტის გამოცნობის მიზნით.

ამდენად, არსებული პრობლემების გამოკვლევის აქტუალობა და აუცილებლობა განპირობებულია არსებული გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური ფონის კომპლექსური შესწავლით. სატრანზიტო ფუნქციის გათვალისწინებით, ქვეყნის გეოეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, დღეს პრაქტიკულად არ მოიპოვება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში კომპლექსური კვლევა და ანალიზი, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს საქართველოს გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირება.

სადოქტორო კვლევის მიზანია საქართველოს გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების პოტენციალისა და როლის შესწავლა-გაანალიზება და თანამედროვე

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მისი გავლენის დადგენა. ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს შემდეგი ამოცანები:

- ✓ გეოეკონომიკური ჰაზის შესაძლო ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა-ანალიზი და საქართველოს გეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისთვის ოპტიმალური ინსტრუმენტის იდენტიფიცირება;

- ✓ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ფორმირების პროცესის გაანალიზება და არსებული შესაძლებლობების დადგენა;

- ✓ კონკურენტი სატრანზიტო კორიდორების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და მათი შედარებითი ანალიზი;

- ✓ სატრანსპორტო/ლოჯისტიკური დარგის განვითარების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი დეტერმინანტის იდენტიფიცირება და მისი ეფექტის დადგენა.

- ✓ სატრანზიტო/ლოჯისტიკური შესაძლებლობების გავლენის დადგენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ხოლო კვლევის საგანია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში, უპირატესად საქართველოში, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორის მიზნობრივ-შედეგობრივ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საკვლევი პრობლემის შესახებ ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარების ნაშრომები. ჩატარებული კვლევა ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროსტატის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ქართული და უცხოური პროფილური სამინისტროების, ქართული და უცხოური

საზღვაო ნავსადგურების, რკინიგზისა და საავტომობილო ოპერატორების მასალებს, ასევე საქართველოს კანონებს საკვლევ თემატიკაზე.

ნაშრომი ეფუძნება ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივ და თვისებრივ, დაჯგუფებების, შეფარდებით და საშუალო სიდიდეთა, გრაფიკული გამოსახვის, საინდექსო, შედარებითი ანალიზის, წრფივი რეგრესიის, კორელაციისა და პანელურ მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

საქართველოში გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივების კომპლექსური გამოკვლევის მცდელობა, რომლის შედეგად დადგენილია, რომ:

- ქვეყნის გეოეკონომიკური პოზიციონირებასა და გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებას კლასიკურ შემთხვევაში დიდი სახელწიფოებისთვის შესაძლოა განსაზღვრავდეს ოთხი ძირითადი ფაქტორი: გეოგრაფიული განფენილობა, პოლიტიკური კონიუნქტურა, ისტორიული გამოცდილება და ეკონომიკური შესაძლებლობები;
- ქვეყნის გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირება დაკავშირებულია ქვეყნის მეზობელი და პარტნიორი სახელწიფოების გეოეკონომიკური ინტერესების გადაკვეთასთან;
- საქართველოს გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირება ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის იმ ძირითადმა ფაქტორებმა (გეოგრაფიული განფენილობა, პოლიტიკური კონიუნქტურა, ისტორიული გამოცდილება, ეკონომიკური შესაძლებლობები, მსოფმხედველობითი თავისებურებები და ეთნოფსიქოლოგია, რელიგიური კუთვნილება) განსაზღვრეს, რომლებიც კონსოლიდირებულად ქმნიან ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობებს და სრულყოფენ მის სატრანსპორტო/ლოჯისტიკური უზრუნველყოფის პოტენციალსა და სატრანზიტო ჰაბად ფორმირებას;
- საერთაშორისო კონკურენტი დერეფნების შედარებითმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მოკლევადიან პერიოდში ახალი აბრეშუმის გზის და მის ავანგარდში ტრანსკავკასიური კორიდორის ანუ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხილვა ევროპასა და ჩინეთს შორის სავაჭრო ტვირთების გადასაზიდი კორიდორების კონკურენციის ჭრილში

ემბრიონულ მდგომარეობაშია. ტრანსკავკასიური კორიდორი მხოლოდ რეგიონულ სატრანზიტო დერეფნად რჩება და რეალურ კონკურენტ მარშრუტებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მულტიმოდალური კორიდორები წარმოადგენენ, რომელთა მიმართაც ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად ტრანსკავკასიურ კორიდორს ხარჯიანობის და სატრანზიტო დროის თვალსაზრისით, საკონტეინერო ტვირთზიდვის პროცესში კონკურენტუნარიანობის დაბალი მახასიათებლები გააჩნია;

- ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით ტეუ<sup>1</sup>-ებისა და მთლიანი სამამულო პროდუქტის<sup>2</sup> კორელაციური და რეგრესიული გათვლებით დასაბუთებულია, რომ 2020 წლისათვის, ქართულ საზღვაო აკვატორიაში გაზრდილი ტვირთნაკადების შეუფერხებელი მომსახურებისთვის, აუცილებელი იქნება ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა;

- სატრანზიტო ფუნქციისა და ზღვაზე გასასვლელის მქონე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი და პარტნიორი ქვეყნებისათვის ჩატარებულმა პანელურ მონაცემთა ანალიზმა და ეკონომეტრიკულმა გაანგარიშებებმა დაადასტურა, რომ ამ ქვეყნების სატრანსპორტო/ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები მაღალეფექტიანია თავად სატრანსპორტო/ლოჯისტიკური სექტორის სტიმულირებაში და ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უაღრესად პოზიტიურ როლს ასრულებს.

ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს სატრანზიტო სისტემების განვითარების, მისი მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების დასაძლევად. ამდენად, მოცემული საკვლევო თემის შედეგები და რეკომენდაციები მიზანშეწონილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტისა და სხვა დარგობრივი სახელისუფლებო, არასამთავრობო, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა

---

<sup>1</sup>TEU - Twenty-Foot Equivalent Unit - განიზაზღვრება სტანდარტული ტიპის 20 ფუტისანი კონტეინერი.

<sup>2</sup>Papava V., Silagadze A. (2019). On the Georgian name of one key economic term “Gross Domestic Product”. J. Economics and Business, No. 1. Tbilisi, pp.180-182.

საქმიანობისთვის, ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია „გეოეკონომიკის“, „საერთაშორისო ეკონომიკის“, „მსოფლიო ეკონომიკის“ და მათი მომიჯნავე დისციპლინების სწავლების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** გეოეკონომიკა; ტრანსკავკასიური კორიდორი; სატრანზიტო ჰაბი; ეკონომიკური ზრდა; ინფრასტრუქტურული ინვესტიციები; სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორი.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Economics and Business

**Development perspectives of the transit opportunities of geoeconomic hub in Georgia**

Irakli Danelia

Scientific Supervisor: Avtandil Silagadze  
Academician, Doctor of Economics, TSU Professor

**Abstract**

The introduction of the doctoral thesis discusses the importance of the research topic. In addition, the purpose and objectives of the research are determined, the object and subject of the research and the theoretical-methodological basis of the research topic are discussed. The key findings and scientific novelties received as a result of the conducted survey are outlined. The practical significance of the doctoral thesis is indicated and the information about approbation of the outcomes of the doctoral research, the structure and volume of the thesis are presented.

Under global economy classical economic doctrines cannot reflect every aspect of international economic relations, especially in the context of strategy and tactics. For example, the theory of comparative advantage can hardly explain all the characteristics of global economic relations as classical economic doctrines allow certain restrictions of the modern global economy. Knowledge of only market factors cannot ensure the success in achieving economic strength as non-market factors also play quite an important role in achieving economic goals. In such terms, geo-economic analysis, which combines various non-market factors, is much more relevant. The concept of modern geo-economy is different taking into consideration the differences across countries. Therefore, the study of geo-economic science is important for creating geo-economic power and for identifying the complex system for winning in modern geo-economic confrontation and the tools for self-establishment in this system.

Thus, the topicality and necessity of studying the existing problems is due to the need for the complex study of the existing geographical, historical, political, economic and institutional background. Taking into consideration the transit function, there is almost no complex research and analysis of geo-economic development opportunities of the country based on which geo-economic hub of Georgia should be formed.

The purpose of the doctoral research is to study and analyze the potential and role of transit capacities of Georgia's geo-economic hub and to determine its impact on the economic development of the country in the process of integration of the modern world economy. The following objectives are derived from the above purpose:

- ✓ To study and analyze theoretical-methodological basis for the possible formation of the geo-economic hub and identifying optimal tools for determining geo-economic strategy of Georgia;
- ✓ To analyze the process of formation of Georgia's transit function and determining the existing possibilities;
- ✓ To identify advantages and disadvantages of the competitors' transit corridors and making their comparative analysis;
- ✓ To identify significant stimulating determinants for the development of transportation and logistics sector and determining its effect;
- ✓ To determine the impact of transit and logistics opportunities on the country's economic development.

The object of the research is the transport and logistics sector, as an important tool of the country's economic development, in the Caucasian and Central Asian countries, the member states of the Organization for Economic Cooperation and Development.

The subject of the research is the comparative analysis of target outcome indicators of the transport and logistics sector in the Caucasian and Central Asian countries, the member states of the Organization for Economic Cooperation and Development and especially in Georgia.

Theoretical basis of the research is the scientific papers of Georgian and Foreign scholars. The conducted research is based on the materials provided by the World Bank, the Organization for Economic Cooperation and Development, Eurostat, National Statistics Office of Georgia, respective ministries of Georgia and foreign countries, Georgian and foreign sea ports, railway and car operators as well as laws of Georgia on the research topic.



The thesis is based on various research methods like analysis and synthesis, quantitative and qualitative, grouping, relative and average values, graphical expression, indexing, comparison, linear regression, correlation, panel data analysis, etc.

An attempt to conduct a complex study of development perspectives of the transit opportunities of geoeconomic hub in Georgia, based on which it is determined that:

- In classical cases, geo-economic positioning and formation of geo-economic strategy in large countries might be determined by four basic factors: geographical distribution, political conjuncture, historical experience and economic possibilities;
- Formation of geo-economic hub of a country is related to linking the geo-economic interests of the country's neighboring and partner states;
- Formation of geo-economic hub of Georgia was determined by the key factors of geo-economic strategy of the country (like geographical distribution, political conjuncture, historical experience, economic possibilities, ideological peculiarities and ethno psychology, religious identity), which create transit opportunities of the country and improve its transport and logistics potential and formation of a transit hub;
- Comparative analysis of the corridors of international competitors substantiated that in the short term, it is too early to consider the new Silk Road and the Transcaucasian Corridor - the transit function of Georgia – as a competitor to the corridors used to ship goods between Europe and China. Transcaucasian corridor remains only a regional transit corridor and multimodal corridors of the North and the South play the role of real competing routes. As a result of the comparative analysis conducted on these corridors, it was identified that in terms of cost and transit time, Transcaucasian corridor has low competitiveness indicators in shipping cargoes;
- Based on correlation and regression calculations for TEUs and Gross National Product by using the econometric models, it is substantiated that for serving the increased number of cargoes, construction of new port infrastructure will be needed in Georgian marine water areas by 2020;

– Panel data analysis and econometric calculations for the OECD member and partner states with transit function and sea access proved that investments in the transport and logistics infrastructure of these countries are highly effective in stimulating the transport and logistics sector itself and play a very positive role in the socio-economic development of the country.

The research can be used to overcome the challenges related to the development of transit systems in Georgia and their successful integration into the world economy. Therefore, the findings and recommendations of the research are advisable for the Ministry of Economy and Sustainable Development, the Ministry of Regional Development and Infrastructure, the Parliament of Georgia and other relevant governmental, non-governmental, scientific organizations and other stakeholders. In addition, they can be also used in teaching Geoeconomics, International Economics, World Economy and other related disciplines.

**Keywords:** Geoeconomics; Transcaucasian Corridor; Transit Hub; Economic Growth; Infrastructural Investments; Transport-Logistic Sector.

## შინაარსი

შესავალი.....	1
თავი 1. გეოეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	7
1.1. გეოეკონომიკური აზრის ფორმირება და ევოლუცია.....	7
1.2. გეოეკონომიკური პრობლემატიკის გააქტიურება საქართველოში.....	28
თავი 2. საქართველოს სატრანზიტო დერეფნის განვითარების თავისებურებანი და შესაძლებლობები .....	54
2.1. ტრასეკა და საქართველოს ენერგეტიკული დერეფანის ფორმირება .....	54
2.2. სატრანსპორტო სექტორის მიმოხილვა საქართველოში .....	59
2.2.1. სარკინიგზო სექტორი .....	65
2.2.2. საზღვაო სექტორი.....	84
2.2.3. საავტომობილო სექტორი.....	106
თავი 3. კონკურენტი სატრანზიტო დერეფნების შედარებითი ანალიზი .....	121
3.1. ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვაო დერეფანი .....	123
3.2. ტრანსციმბირული სარკინიგზო და სამხრეთის საზღვაო დერეფანი .....	131
3.3. ახალი აბრეშუმის გზის (ტრანსკავკასიური) სატრანზიტო დერეფანი .....	138
3.4. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მულტიმოდალური სატრანზიტო დერეფნები .....	142
თავი 4. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე .....	167
4.1. სატრანზიტო ფუნქციაზე მომქმედი დეტერმინანტები .....	167
4.2. სატრანსპორტო სექტორის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე .....	178
დასკვნები და რეკომენდაციები .....	189
გამოყენებული ლიტერატურა .....	201
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები.....	221
დანართები.....	223

ნახაზები:

ნახაზი 1. მთლიანი სამამულო პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2017 წელს - გვ. 60

ნახაზი 2. მთლიანი სამამულო პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2018 წელს გვ. 60

ნახაზი 3. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროდუქციის გამოშვება - გვ. 61

ნახაზი 4. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულთა რაოდენობა -  
გვ. 62

ნახაზი 5. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება - გვ. 62

ნახაზი 6. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - გვ. 63

ნახაზი 7. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დამატებული ღირებულება -  
გვ. 63

ნახაზი 8. სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (ჯამური) - გვ. 64

ნახაზი 9. ტვირთბრუნვა საქართველოს რკინიგზაზე (მლნ ტ.) 2012-2018 წწ. - გვ. 69

ნახაზი 10. ტვირთების მოცულობა სატრანსპორტო პირობების მიხედვით საქართველოს რკინიგზაზე (მლნ ტ.) - გვ. 70

ნახაზი 11. საქართველოს რკინიგზაზე გატარებული ტვირთების მოცულობა (1000ტ.) - გვ. 70

ნახაზი 12. თხევადი ტვირთის მოცულობა საქართველოს რკინიგზაზე 2012-2018 წწ. (მლნ.ტ.) - გვ. 71

ნახაზი 13. აზერბაიჯანის რკინიგზაზე გატარებული ტვირთების მოცულობა (1000 ტ.) -  
გვ. 77

ნახაზი 14. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ხარისხის ინდექსი, 2012-2017 წწ. -  
გვ. 80

ნახაზი 15. საზღვაო ხაზების საბაზრო წილი ქართულ პორტებში 2017 წელს - გვ 98

- ნახაზი 16. საზღვაო ნავსადგურებში და საზღვაო ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა (ჯამური) - მლნ ტ. - გვ. 99
- ნახაზი 17. საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა 2012-2018 (TEU) - გვ. 100
- ნახაზი 18. კონტეინერების მთლიანი რაოდენობა ქართულ პორტებსა და რკინიგზაზე 2012-2018 (TEU) - გვ. 18
- ნახაზი 19. სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა - გვ. 108
- ნახაზი 20. საავტომობილო დარგის მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (მლნ. ტ.), 2012-2018 წწ. - გვ. 108
- ნახაზი 21. საქართველოს სატრანსპორტო დერეფნით ტრანზიტით მოძრავი ავტოტრანსპორტის რაოდენობა - გვ. 109
- ნახაზი 22. საგზაო ტრანსპორტის კავშირი საქართველოში გვ. 110
- ნახაზი 23. საგზაო ტრანსპორტის კავშირი აზერბაიჯანში - გვ. 112
- ნახაზი 24. ალტერნატიული მარშრუტები ჩინეთიდან ევროკავშირის და ევროკავშირიდან ცენტრალური აზიის მიმართულებებით - გვ. 143
- ნახაზი 25. ანტვერპენისა და სავანას პორტებიდან ალმა-ატამდე გადაზიდვის ღირებულებისა და ტრანზიტული დროის შედარებითი ანალიზი - გვ. 156
- ნახაზი 26. შანხაისა და ანტვერპენის პორტებიდან ბაქომდე გადაზიდვის ღირებულებისა და ტრანზიტული დროის შედარებითი ანალიზი - გვ. 157
- ნახაზი 27. ჰამბურგიდან ბაქომდე გადაზიდვის ღირებულება ტრანსკავკასიური კორიდორის გავლით (ფოთი-ბაქო რკინიგზით) - 158
- ნახაზი 28. ჰამბურგიდან ბაქომდე გადაზიდვის ფასი ტრანსკავკასიური კორიდორის გავლით (ფოთი-ბაქო მანქანით) - გვ. 159
- ნახაზი 29. ჰამბურგიდან ბაქომდე გადაზიდვის ტრანზიტული დრო ტრანსკავკასიური კორიდორის გავლით (ფოთი-ბაქო რკინიგზით) - გვ. 159
- ცხრილები:

- ცხრილი 1. საქართველოს რკინიგზაზე ნავთობის ტრანსპორტირების ფასი, გატარებული მოცულობა და პროდუქციის ფასი 2012-2018 წწ. - გვ. 71
- ცხრილი 2. მშრალი ტვირთების მთლიანი მოცულობა საქართველოს რკინიგზაზე 2012-2018 წწ. (მლნ. ტ.) - გვ. 72
- ცხრილი 3. უკრაინული ტვირთის ტრანსპორტირება ტრანსკავკასიური რკინიგზით თურქმენეთში - გვ. 76
- ცხრილი 4. საქართველოს რკინიგზის ძირითადი ხაზის კვანძები და სიჩქარის ლიმიტები - გვ. 80
- ცხრილი 5. ფოთის პორტის ნავმისადგომების მიმოხილვა - გვ. 85
- ცხრილი 6. ს.ს. ფოთის საზღვაო ნავსადგურის დაკეტვის დღეების რაოდენობა - გვ. 87
- ცხრილი 7. შავი ზღვისპირა პორტების სიღრმე და გამტარუნარიანობა - გვ. 94
- ცხრილი 8. მთლიანი სამამულო პროდუქტის მოსალოდნელი ზრდა (წელი, %) - გვ. 97
- ცხრილი 9. მსოფლიოს უმსხვილესი საზღვაო ხაზებისა და ალიანსების მარშრუტები შავი ზღვის მიმართულებით - გვ. 97
- ცხრილი 10. კავკასიის ქვეყნების მსკ და ქართული პორტების მიერ გადამუშავებული ტვირთების მოცულობა, 2000-2018 წწ. - გვ. 102
- ცხრილი 11. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მსკ-სა და ქართული პორტებს შორის დამოკიდებულების რეგრესული განტოლება - გვ. 103
- ცხრილი 12. საქართველოს მსკ/კონტეინერიზებული ტვირთის რეგრესია - გვ. 104
- ცხრილი 13. პროგნოზირებული ტვირთბრუნვის მოცულობა (TEU) საქართველოს პორტებში 2020-2025 წწ. - გვ. 105
- ცხრილი 14. საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული საერთაშორისო საზღვრისკვეთის პუნქტები - გვ. 117

- ცხრილი 15. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული საერთაშორისო საზღვრისკვეთის პუნქტები - გვ. 117
- ცხრილი 16. აზერბაიჯანსა და ირანს შორის არსებული საერთაშორისო საზღვრისკვეთის პუნქტები - გვ. 117
- ცხრილი 17. ევროკავშირის იმპორტი ჩინეთიდან 2018 წ. - გვ. 121
- ცხრილი 18. ევროკავშირის ექსპორტი ჩინეთში 2018წ. - გვ. 121
- ცხრილი 19. საზღვაო ფრახტის ღირებულება და სატრანზიტო დრო ჩინეთი-ჩრდილოეთ ევროპა (FOB პირობა) - ფასის მოქმედების ვადა 1.01.2019-31.01.2019 - გვ. 126
- ცხრილი 20. სატერმინალო მოსახურება ჩინეთში ექპორტი/იმპორტი - მოქმედების ვადა: 01/01/2019-31/12/2019 - გვ. 127
- ცხრილი 21. სატერმინალო მოსახურება ჩრდილოეთ ევროპაში ექპორტი/იმპორტი - მოქმედების ვადა: 01/01/2019-31/12/2019 - გვ. 127
- ცხრილი 22. ჯამური ხარჯი პორტიდან პორტამდე გადაზიდვის პირობით ჩინეთიდან ჩრდილოეთ ევროპამდე - მოქმედების ვადა: 01/01/2019-31/12/2019 - გვ. 128
- ცხრილი 23. სატერმინალო მომსახურების მოსაკრებელი ფოთისა და ბათუმში - მოქმედების ვადა: 1/01/2019-31/12/2019 - გვ. 148
- ცხრილი 24. სატერმინალო მომსახურების მოსაკრებელია ბანდარ აბასსში - მოქმედების ვადა: 1/01/2019-31/12/2019 - გვ. 148
- ცხრილი 25. სატერმინალო მომსახურების მოსაკრებელია რიგაში - მოქმედების ვადა: 1/01/2019-31/12/2019 - გვ. 148
- ცხრილი 26. ჰამბურგის პორტიდან ალმა-ატამდე გადაზიდვების შედარებითი ანალიზი - გვ. 154
- ცხრილი 27. ჰამბურგისა და ქინგდაოს პორტებიდან ბაქომდე ტრანსპორტირების ხარჯებისა და ტრანზიტული დროის შედარებითი ანალიზი - გვ. 155
- ცხრილი 28. სატვირთო მანქანების მიმოსვლის რაოდენობა თურქეთიდან ცენტრალური აზიის მიმართულებით - გვ. 163

ცხრილი 29. ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსი და მისი კომპონენტები 2010 წწ. - გვ. 168

ცხრილი 30. მოდელში გამოყენებული ცვლადები დეფინიცია - გვ. 182

ცხრილი 31. ცვლადებთან დაკავშირებული აღწერილობითი სტატისტიკა - გვ. 184

ცხრილი 32. მოდელში გამოყენებული ცვლადების კორელაციის კოეფიციენტი - გვ. 184

ცხრილი 33. რეგრესული განტოლების შედეგები (მოდელი 1) - გვ. 186

ცხრილი 34. რეგრესული განტოლების შედეგები (მოდელი 2) - 187

დანართები:

დანართი 1. გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების ფაქტორები - გვ. 223

დანართი 2. საქართველოს გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების ფაქტორები - გვ. 223

დანართი 3. ბაქო-თბილისი-ყარის სარკინიგზო მარშრუტი - გვ. 224

დანართი 4.. ტრანსკავკასიური სატრანზიტო კორიდორის სარკინიგზო მარშრუტის მთავარი სექცია - გვ. 224

დანართი 5. აზერბაიჯანის სატრანზიტო კორიდორის სარკინიგზო მარშრუტის მთავარი სექცია - გვ. 224

დანართი 6. ფოთის საზღვაო პორტი - გვ. 224

დანართი 7. ბათუმის საზღვაო პორტი - გვ. 225

დანართი 8. ბაქოს საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობის ნავსადგური - გვ. 225

დანართი 9. ალიატის საზღვაო პორტი - გვ. 225

დანართი 10. ანაკლიის საზღვაო პორტი - გვ. 225

დანართი 11. ტრანსევროპული საგზაო კავშირი - გვ. 226

დანართი 12. მიმდინარე და დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტები 2017-2020 წლებისთვის - გვ. 226



- დანართი 13. მიმდინარე და დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტები საქართველოში - გვ. 227
- დანართი 14. აზერბაიჯანის საგზაო ქსელი - გვ. 227
- დანართი 15. ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი - გვ. 228
- დანართი 16. სამხრეთის საზღვაო დერეფანი - გვ. 228
- დანართი 17. ტრანსციმბირული სარკინიგზო დერეფანი - გვ. 228
- დანართი 18. ტრანსციმბირული სარკინიგზო ხაზი - გვ. 229
- დანართი 19. სამხრეთის საგზაო დერეფანი - გვ. 229
- დანართი 20. ახალი აბრეშუმის გზის სატრანზიტო დერეფანი - გვ. 229
- დანართი 21. სამხრეთის მულტიმოდალური დერეფანი - 230
- დანართი 22. ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსი და მისი კომპონენტები 2010-2018 წწ. - გვ. 230
- დანართი 23. სამამულო ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსი და მათი კომპონენტების შეფასებები 2018 წ. - გვ. 231
- დანართი 24. მოდელში გამოყენებული ცვლადების მაჩვენებლები 2010-2016 წწ. - გვ. 233
- დანართი 25. მოდელში გამოყენებული ცვლადები სატრანსპორტო დარგების მიხედვით 2000-2016 წწ. - გვ. 23
- დანართი 26. მოდელში გამოყენებული ცვლადების ლოგარითმული მაჩვენებლები სატრანსპორტო დარგების მიხედვით 2000-2016 წწ. - გვ. 236
- დანართი 27. მოდელში გამოყენებული: ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო ბრუნვა, სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვები ტეუ-ში - გვ. 239

## შესავალი

*“ტრანზიტული ვაჭრობა, სატრანზიტო ფუნქცია – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეკონომიკური  
თვალსაზრისით საჭირო და ეფექტიანი ფუნქციაა”.*

*ნიკო ნიკოლაძე, 1843-1928*

**თემის აქტუალობა.** კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები გლობალური ეკონომიკის პირობებში ვერ ასახავენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ასპექტს, განსაკუთრებით, სტრატეგიის და ტაქტიკის კონტექსტში. მაგალითად, შედარებითი უპირატესობის თეორიას ძალზედ უჭირს ყველა იმ ნიშან-თვისების ახსნა, რომლითაც ხასიათდება გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები, რადგან კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები თანამედროვე გლობალური ეკონომიკისთვის გარკვეულ შეზღუდვებს უშვებენ. ეკონომიკური ძლიერების მისაღწევად მხოლოდ საბაზრო ფაქტორების ცოდნა ვერ იძლევა წარმატების გარანტიას, რადგან არასაბაზრო ფაქტორები დღეს არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. ამ მოცემულობაში გაცილებით რელევანტური ხდება გეოეკონომიკური ანალიზი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა არასაბაზრო ფაქტორს. თანამედროვე გეოეკონომიკის კონცეფცია განსხვავდება სახელმწიფოთა განსხვავებულობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, გეოეკონომიკური მეცნიერების შესწავლა აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე გეოეკონომიკური ძლიერების შექმნის და თანამედროვე გეოეკონომიკურ დაპირისპირებაში გამარჯვების რთული სისტემისა და ამ სისტემაში თავის დამკვიდრების ინსტრუმენტის გამოცნობის მიზნით.

ამდენად, არსებული პრობლემების გამოკვლევის აქტუალობა და აუცილებლობა განპირობებულია არსებული გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური ფონის კომპლექსური შესწავლით. სატრანზიტო ფუნქციის გათვალისწინებით, ქვეყნის გეოეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, დღეს პრაქტიკულად არ მოიპოვება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში კომპლექსური კვლევა და ანალიზი, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს საქართველოს გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირება.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სადოქტორო კვლევის მიზანია საქართველოს გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების პოტენციალისა და როლის შესწავლა-გაანალიზება და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მისი გავლენის დადგენა. ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს შემდეგი *ამოცანები*:

✓ გეოეკონომიკური ჰაბის შესაძლო ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა-ანალიზი და საქართველოს გეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისთვის ოპტიმალური ინსტრუმენტის იდენტიფიცირება;

✓ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ფორმირების პროცესის გაანალიზება და არსებული შესაძლებლობების დადგენა;

✓ კონკურენტი სატრანზიტო კორიდორების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და მათი შედარებითი ანალიზი;

✓ სატრანსპორტო/ლოჯისტიკური დარგის განვითარების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი დეტერმინანტის იდენტიფიცირება და მისი ეფექტის დადგენა.

✓ სატრანზიტო/ლოჯისტიკური შესაძლებლობების გავლენის დადგენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის *ობიექტს* წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

*კვლევის საგანია* ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში, უპირატესად საქართველოში, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორის მიზნობრივ-შედეგობრივ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საკვლევი პრობლემის შესახებ სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევარის გ. აბესაძის, თ. აბესაძის, რ. აბესაძის, ა. აბრალავას, ი. ანანიაშვილის, ჟ.

ატალის, ე. ბარათაშვილის, ნ. ბარათაშვილის, თ. ბასილიას, ლ. ბახტაძის, ს. ბოდენჰეიმერის, რ. ბოშმანის, ფ. ბროდერის, ზ. გარაყანიძის, ა. გეგეშიძის, დ. გეგიას, მ. გედენიძის, ს. გელაშვილის, ჯ. გელბრეითის, რ. გველესიანის, რ. გირაგოსიანის, ა. დუგინის, ი. ვალერშტეინის, ე. ვერნონის, შ. ვეშაპიძის, ჯ. ზარანდიას, თ. ზიადოვის, თ. ზუბიაშვილის, ა. თვალჭრელიძის, მ. თოქმაზიშვილის, ლ. თუროვის, ე. ისმაილოვის, რ. კელინის, გ. კვინიკაძის, ნ. კილურაძის, თ. კოჩაძის, ე. კოჩეტოვის, ვ. კუჭუხიძის, ე. ლეკაშვილის, ვ. ლისტის, გ. ლობჯანიძის, ნ. ლომოურის, ო. ლორთქიფანიძის, პ. ლოროტის, ე. ლუტვაკის, ნ. მამედოვის, რ. მამულაძის, მ. მაქსოევის, ი. მესხიას, ე. მექვაბიშვილის, ს. მინასიანის, ს. ნაის, ვ. ნესტერის, ს. პავლიაშვილის, ვლ. პაპავას, ნ. პაპაჩაშვილის, რ. პიტის, ა. რონდელის, ჰ. რორიგის, გ. სანიკიძის, ს. სელცერის, ე. სეფაშვილის, ა. სილაგაძის, კ. სპანგის, დ. სპარის, გ. ტობინის, გ. ტომპსონის, დ. ტრენინის, კ. ფრენკენის, რ. ფუტკარაძის, გ. ქეშელაშვილის, გ. დაღანიძის, ლ. ყორღანაშვილის, თ. შენგელიას, თ. ჩიკვაიძის, ი. ცქიფურიშვილის, ა. ჭოხონელიძის, რ. ჯავახიშვილის, ლ. ჯამაგაძის, ს. ჰანთინგტონის, პ. ჰერსტის და სხვ. ნაშრომები.

ჩატარებული კვლევა ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროსტატის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ქართული და უცხოური პროფილური სამინისტროების, ქართული და უცხოური საზღვაო ნავსადგურების, რკინიგზისა და საავტომობილო ოპერატორების მასალებს, ასევე საქართველოს კანონებს საკვლევ თემატიკაზე.

ნაშრომი ეფუძნება ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივ და თვისებრივ, დაჯგუფებების, შეფარდებით და საშუალო სიდიდეთა, გრაფიკული გამოსახვის, საინდექსო, შედარებითი ანალიზის, წრფივი რეგრესიის, კორელაციისა და პანელურ მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:** საქართველოში გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივების კომპლექსური გამოკვლევის მცდელობა, რომლის შედეგად დადგენილია, რომ:

- ქვეყნის გეოეკონომიკური პოზიციონირებასა და გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებას კლასიკურ შემთხვევაში დიდი სახელწიფოებისთვის შესაძლოა განსაზღვრავდეს ოთხი ძირითადი ფაქტორი: გეოგრაფიული განფენილობა, პოლიტიკური კონიუნქტურა, ისტორიული გამოცდილება და ეკონომიკური შესაძლებლობები;
- ქვეყნის გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირება პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის მეზობელი და პარტნიორი სახელწიფოების გეოეკონომიკური ინტერესების გადაკვეთასთან;
- საქართველოს გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირება ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის იმ ძირითადმა ფაქტორებმა (გეოგრაფიული განფენილობა, ქვეყნის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა, ისტორიული გამოცდილება, ეკონომიკური შესაძლებლობები, არსებული მსოფმხედველობითი თავისებურებები და ეთნოფსიქოლოგია, რელიგიური მრწამსი და კუთვნილება) განსაზღვრეს, რომლებიც კონსოლიდირებულად ქმნიან საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობებს და სრულყოფენ მის სატრანსპორტო/ლოჯისტიკური უზრუნველყოფის პოტენციალსა და სატრანზიტო ჰაბად ფორმირებას;
- საერთაშორისო კონკურენტი დერეფნების შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მოკლევადიან პერიოდში ახალი აბრეშუმის გზის და მის ავანგარდში ტრანსკავკასიური კორიდორის ანუ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხილვა ევროპასა და ჩინეთს შორის სავაჭრო ტვირთების გადასაზიდი კორიდორების კონკურენციის ჭრილში ემბრიონულ მდგომარეობაშია. ტრანსკავკასიური კორიდორი მხოლოდ რეგიონულ სატრანზიტო კორიდორად რჩება და რეალურ კონკურენტ მარშრუტებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მულტიმოდალური კორიდორები წარმოადგენენ, რომელთა მიმართაც ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად ტრანსკავკასიურ კორიდორს ხარჯიანობის და სატრანზიტო დროის თვალსაზრისით, საკონტეინერო ტვირთზიდვის პროცესში კონკურენტუნარიანობის დაბალი მახასიათებლები გააჩნია.

- ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით ტეუ<sup>3</sup>-ებისა და მთლიანი სამამულო პროდუქტის<sup>4</sup> კორელაციური და რეგრესიული გათვლებით დასაბუთებულია, რომ 2020 წლისათვის, ქართულ საზღვაო აკვატორიაში გაზრდილი ტვირთნაკადების შეუფერხებელი მომსახურებისთვის, აუცილებელი იქნება ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა;

- სატრანზიტო ფუნქციისა და ზღვაზე გასასვლელის მქონე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი და პარტნიორი ქვეყნებისათვის ჩატარებულმა პანელურ მონაცემთა ანალიზმა და ეკონომეტრიკულმა გაანგარიშებებმა დაადასტურა, რომ ამ ქვეყნების სატრანსპორტო/ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები მაღალეფექტიანია თავად სატრანსპორტო/ლოჯისტიკური სექტორის სტიმულირებაში და ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უაღრესად პოზიტიურ როლს ასრულებს.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს სატრანზიტო სისტემების განვითარების, მისი მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების დასაძლევად. ამდენად, მოცემული საკვლევი თემის შედეგები და რეკომენდაციები მიზანშეწონილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტისა და სხვა დარგობრივი სახელისუფლებო, არასამთავრობო, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა საქმიანობისთვის, ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია „გეოეკონომიკის“, „საერთაშორისო ეკონომიკის“, „მსოფლიო ეკონომიკის“ და მათი მომიჯნავე დისციპლინების სწავლების პროცესში.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომის ძირითადი ტექსტი მოიცავს 200 გვერდს და შედგება შესავლის, 4 თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (რომელიც აერთიანებს ადგილობრივი

<sup>3</sup>TEU - Twenty-Foot Equivalent Unit - განიზაზღვრება სტანდარტული ტიპის 20 ფუტის კონტეინერი.

<sup>4</sup>Papava V., Silagadze A. (2019). On the Georgian name of one key economic term “Gross Domestic Product”. J. Economics and Business, No. 1. Tbilisi, pp.180-182.

და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს, ოფიციალური ორგანიზაციების პორტალებსა და ინტერნეტ ვებ-გვერდებს) და დანართები. ძირითად ტექსტში წარმოდგენილია 29 გრაფიკული ნახაზი და 34 ცხრილი, მითითებულია 160 სქოლიო. ბეჭდვითი და ელექტრონული გამოყენებული ლიტერატურათა ჯამური რაოდენობა შეადგენს 264 წყაროს. ნაშრომს ასევე თან ერთვის გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია.

## თავი 1. გეოეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

### 1.1 გეოეკონომიკური აზრის ფორმირება და ევოლუცია

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გამორკვევისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით წარმოებული ანალიზისას, ბოლო საუკუნეებში მეცნიერები და ქვეყნის მმართველები გეოპოლიტიკურ მიდგომებს ითვალისწინებენ.<sup>5</sup> დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველები და მეცნიერები, ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის გავლენების საზღვრებს მიღმა განვრცობას, ქვეყნების შედარებითი ძალაუფლებისა და სიძლიერის ანალიზში გეოპოლიტიკური უპირატესობების ფაქტორების (ტერიტორია, მოსახლეობა, შეიარაღებული ძალები და სხვ.) უფრო წინა პლანზე წამოწევას. ასეთი მიდგომები გამოკვეთილია გეოპოლიტიკის „კლასიკოსების“ რუდოლფ ჩელენის<sup>6</sup>, ალფრედ მეჰენის<sup>7</sup> და სხვ. ნაშრომებში. რ. ჩელენის მიხედვით, „გეოპოლიტიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ, რომელიც ფუნქციონირებს სივრცეში“.<sup>8</sup> მიუხედავად ეკონომიკისთვის მინიჭებული გარკვეული მნიშვნელობისა, გეოპოლიტიკური აზროვნების პირობებში, ტრადიციულად, ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოზე ეკონომიკურ უპირატესობებს, სამხედრო-სტრატეგიული და ტერიტორიული პრიორიტეტები ჩრდილავდა.

ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო სისტემა ბიპოლარული სტრუქტურით ხასიათდებოდა და იდეოლოგიურად ორ მთავარ ძალას შორის მტრული დამოკიდებულებით იმართებოდა. მათ წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნები გეოპოლიტიკურ ჭრილში ფორმირდებოდა, რომელიც სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნებოდა.

<sup>5</sup>Spang, C. W., Milovanovic, S.&I. (2011). An Introduction to Early 20<sup>th</sup> Century Geopolitics, University of Tsukuba. Tsukuba, p. 15

<sup>6</sup>პოლიტოლოგიისა და ისტორიის შვედი პროფესორი, პანგერმანისტი რუდოლფ ჩელენი (1846-1922) იყო. ის საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო შვედეთის პარლამენტის წევრი. სამეცნიერო ბრუნვაში სწორედ მან შემოიტანა და დამკვიდრა ტერმინი გეოპოლიტიკა („სახელმწიფო, როგორც ცხოვრების სტილი“, 1916).

<sup>7</sup>ამერიკელი ადმირალი ალფრედ მეჰენი (1840-1914) – სამხედრო ფლოტის ისტორიის მასწავლებელი. („საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე“, 1890).

<sup>8</sup>Kjellen, R. (2001). The State as a Living Organism, Review of International Studies. Berlin, pp. 451-463.



გეოეკონომიკური აზროვნებისა და შეხედულებების ფორმირება განსაკუთრებით გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამ დროს უფრო აღქმადი გახდა სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების ურთიერთგადაჯახული ხასიათი.<sup>9</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულება გახდა მსოფლიო გეოპოლიტიკური რუკის ახლებურად, გეოეკონომიკური პრინციპებით გადანაწილებისა და თანამედროვე გეოეკონომიკის კონტურების ფორმირების გააქტიურების საფუძველი.

ქვეყნები დაიყო ეკონომიკურ გავლენათა რადიუსის ტრაექტორიის სიდიდის მიხედვით. ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც გეოპოლიტიკურ სტრატეგიებში ეკონომიკური ინტერესების ზრდის პროცესი, რამაც თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ეკონომიკური რეგიონალიზაციის, შემდგომ კი გლობალიზაციის სწრაფ „დინებას“. სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, მათი რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის აქტიურ ფაზაში გადასვლა, გეოეკონომიკური თანამედროვე აზროვნების ფორმირების უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორი და შედეგია. ამ პროცესებში სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები ეკონომიკური ასპექტებით ძლიერდება და სახელმწიფოთა ეკონომიკური ძლიერება სრულად დამოკიდებული ხდება სტრატეგიული მართვის გლობალურ, ეროვნულ და მულტიეროვნული კორპორაციების დონეებზე. გეოეკონომიკა, განსხვავებით გეოპოლიტიკისაგან, თავისი გავლენის ზრდას უზრუნველყოფს არა ტერიტორიების მიტაცების ძალისმიერი მეთოდებით, არამედ კომერციული სტრატეგიების ფორმირებით მეზობელ და არამეზობელ სახელმწიფოებთან. „გეოეკონომიკური მსოფლიოს“ ჩამოყალიბების პირობებში სახელმწიფოთა სიძლიერის მთავარ დეტერმინანტად გვევლინება არა მილიტარისტული შესაძლებლობები, არამედ ყველა ის მიკრო-, მაკრო- და საერთაშორისო ეკონომიკური შესაძლებლობები, რომლებიც ქმნიან ქვეყნების

---

<sup>9</sup>მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეტაპზე სახელმწიფოებმა დაიწყეს საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით აქტიური თანამშრომლობა, ამას მოწმობს 1945 წელს გაეროს შექმნა (50 ხელმოწერილი სახელმწიფო), ბრეტონ-ვუდის ხელშეკრულებით იქმნება საერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომელიც გვირგვინდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნით 1944 წლის ბოლოს. 1945 წელს იქმნება ისეთი ფინანსური ინსტიტუტი, როგორცაა მსოფლიო ბანკი, რომლის შექმნის მიზანიც სუსტად განვითარებული ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური დახმარებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე 1951 წელს მიღებული პარიზის ხელშეკრულება ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ, რომელიც წარმოადგენდა შუამანის გეგმის ნაწილს, რაც შემდგომში ევროკავშირის ფორმირების საფუძველი გახდა. უფრო მოგვიანებით - 1995 წელს - შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო), რომელიც გლობალური ვაჭრობის სისტემის წესებს ადგენს და მის წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოებებს აგვარებს.

ეკონომიკურ ძალას. თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის მუდმივად შეზღუდვა სამხედრო ძალის გამოყენებით. შესაბამისად, მილიტარისტული შესაძლებლობები ნელ-ნელა კარგავს იმ ადგილს, რომელიც მას ეკავა გეოპოლიტიკური აზროვნების და სტრატეგიული შეხედულებების პირობებში. ამჟამად, ვაჭრობის ბალანსი, სავალუტო რეზერვები, უცხოური ინვესტიციები, კონკურენტუნარიანობა, სავაჭრო-ეკონომიკური სანქციები და სხვ. მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია. დასავლური სახელმწიფოების ინტერესს გეოეკონომიკის მიმართ განაპირობებს სურვილი შეინარჩუნონ ლიდერის პოზიციები მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასა და მის მექანიზმებში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებზე, ადეკვატური სტრატეგიების შემუშავებითა და შესაბამისი გეოეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებით. გარდა ამისა, გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების აქტუალურობა განპირობებულია მსოფლიო თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ბერკეტების როლის ზრდით, რათა ერთმა სახელმწიფომ აიძულოს მეორე სახელმწიფო განახორციელოს კონკრეტული პოლიტიკური ქმედება ეკონომიკური დამოკიდებულების მეშვეობით. სახელმწიფოთა ძლიერება და თავისი მოსახლეობის კეთილდღეობა, სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ამ სახელმწიფოში ოპერირებადი ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობაზე, ვიდრე სახელმწიფოს ტერიტორიულ სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობაზე. ამდენად, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური შერკინება თანამედროვე გლობალური სამყაროს ჩვეული მდგომარეობაა და სწორედ ამ ასპექტში განიხილება გეოეკონომიკა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკურად მოწყვლადი ქვეყნებისთვის, რომელთაც როგორც გეოპოლიტიკური, ისე გეოეკონომიკური თვალსაზრისით, დიდი მოთამაშე სახელმწიფოები ესაზღვრება.

გეოეკონომიკა ახალი დარგია და შეიძლება ითქვას ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი, თუმცა დაკვირვებები სივრცის, ეკონომიკის, ისტორიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირების შესახებ გვხვდება მე-19 – მე-20 საუკუნეებში მოღვაწე მეცნიერთა ნაშრომებში. საინტერესოა ის, რომ ეკონომიკას განიხილავენ არა მხოლოდ ეკონომისტები,

არამედ პოლიტიკურ მეცნიერებათა, გეოგრაფიის, ისტორიისა და ფილოსოფიის ცნობილი მოღვაწეები. გეოეკონომიკა, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, სწავლობს ეკონომიკას და მის დამოკიდებულებას სივრცული განფენილობის მიმართ ე.ი გეოგრაფიული მდებარეობის გავლენას პროდუქტის წარმოება-განაწილების სფეროზე და მის გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობისათვის.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ეკონომიკისთვის მძიმე პერიოდში, ცნობილმა გერმანელმა ეკონომისტმა ფრიდრიხ ლისტმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით - „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“<sup>10</sup>, რომელიც გეოეკონომიკური აზროვნების ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ. ფ. ლისტი წარმოგვიდგენს არა მხოლოდ მშრალ, თეორიულად გამართულ მოსაზრებებს, არამედ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ გზებს გვთავაზობს. მისი შეხედულებები ნაწილობრივ შეიძლება თანამედროვე რეალობასაც მოვარგოთ. ეს უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ გეოეკონომიკის ძველი და თანამედროვე მოსაზრებები. მისი ნაშრომები გარკვეულწილად ამ მეცნიერების ევოლუციური განვითარების ისტორიულ გზას ასახავს. ფ. ლისტის პრაქტიკაზე ორიენტირებულობა არანაირად არ აკნინებს მისი თეორიული აზროვნების ღრმა სისტემურ ხასიათს. ის ითვალისწინებს რიგ გარემოებებს, რომლებშიც შესაძლოა ქვეყნის ეკონომიკა იმყოფებოდეს მისი საშინაო და საგარეო ზემოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით. რაც მთავარია, მისმა შეხედულებებმა გააქტიურა გეოეკონომიკის შემდგომი კვლევა.

ფ. ლისტის შეხედულებებით<sup>11</sup>, ნებისმიერი თეორია შეიძლება იყოს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაშვები, მაგრამ რეალურ სამყაროში არსებული სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე – პრაქტიკაში განუხორციელებელი. ლისტი არ უშინდება კლასიკური ეკონომიკის მამად წოდებული მეცნიერის ა. სმითის კრიტიკას ისე, რომ არ აკნინებს მის მიდგომებს. ამ კრიტიკის გამო, ფ. ლისტი კლასიკური დოქტრინის მოწინააღმდეგედ მონათლეს. რეალურად, ლისტი საკუთარი შეხედულებებით სრულად არ უგულვებლყოფდა კლასიკოსთა თეორიულ შეხედულებებს, რადგან ამ თეორიებს

<sup>10</sup>List, F. (1841). The National System of Political Economy (translated by Lloyd, S.S.). New York.

<sup>11</sup>List, F. (1841). The National System of Political Economy (translated by Lloyd, S.S.). New York, pp. 222-224.

განიხილავდა უფრო რეალურ გარემოში, ვიდრე ორი ქვეყნისა და ორი საქონლის წარმოების პირობებში შეიძლება დავინახოთ. იგი პატივს სცემდა კლასიკოსთა თეორიულ დოქტრინებს, მაგრამ სურდა შეეცოთ ის ხარვეზები, რომლებიც არსებობდა მათ თეორიულ დაშვებებში, სადაც ისინი არ ითვალისწინებდნენ ქვეყნის განვითარების კონკრეტულ პირობებსა და შესაძლო მოცემულ განსხვავებებს. კერძოდ, ფ. ლისტი ა. სმითს აკრიტიკებს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი თეორია კოსმოპოლიტიურია, არ ითვალისწინებს ქვეყნის გეოგრაფიულ განფენილობას და საქონლის განაწილებას - გადანაწილების ტერიტორიულ ფაქტორებს. შესაბამისად, არ განიხილავს ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ეროვნულ თავისებურებებსა და მახასიათებლებს. ლისტის აზრით, საყოველთაოდ მიღებული დოგმებისა და ეკონომიკური კანონების მიღება, თუნდაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მოგებიანია რა თქმა უნდა ყველაზე მეტად განვითარებული სახელმწიფოებისთვის და ამ აზრის ქომაგებს, მათ შორის იმ დროისათვის წარმატებული სახელმწიფოს ინგლისის წარმომადგენელ ადამ სმითს ახალი პრაქტიკული მოთხოვნა წაუყენა. მისი აზრით, ეკონომიკური თეორიები არ შეიძლება იყოს უნივერსალური და პრაქტიკული სინამდვილისგან მოწყვეტილი.<sup>12</sup>

ზემოაღნიშნულის გარდა, ფ. ლისტის კვლევის ობიექტია ერის ბუნება, რომელიც შეიძლება ითქვას მედიატორის როლს ასრულებს პიროვნებასა და კაცობრიობას შორის. ის უპირისპირებს სახელმწიფოს გეოგრაფიულ საზღვრებში განთავსებული ცალკეული სუბიექტების ეკონომიკურ ინტერესებს და გვთავაზობს მათი უზრუნველყოფის ოპტიმალურ საშუალებებს. ფ. ლისტი არ ემხრობა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადამიანის ბუნების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ მისი ამა თუ იმ ერზე ბიოლოგიური მიკუთვნებულობის მიხედვით და არ ითვალისწინებს ეკონომიკური საკითხის კორელაციის შესაძლებლობებს. იგი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმის იდეოლოგიის მიმდევრები ცდილობენ საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის გარკვეულ იზოლირებას რასის, კანის ფერის, რელიგიური მრწამსის, მსოფლმხედველობისა და

---

<sup>12</sup>List, F. (1841). The National System of Political Economy (translated by Lloyd, S.S.). New York, pp. 102-103.

ეროვნული ნიშნის მიხედვით. ბიოლოგიური ნაციონალიზმი ანაწევრებს ქვეყანას და მოსახლეობას ერთმანეთს უპირისპირებს, რასაც შედეგად მოჰყვება ეკონომიკური ურთიერთობების გართულება. ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ფ. ლისტი გვთავაზობს „ეკონომიკური ნაციონალიზმის“ ცნებას, რომელიც ქვეყნის სამამულო ეკონომიკის შენარჩუნება-გადარჩენაზე ფოკუსირებას გულისხმობს. მისი აზრით, ეკონომიკური ნაციონალიზმი ახდენს ერის გაერთიანებას საერთო ეკონომიკური ინტერესების გარშემო და იმავდროულად აქარწყლებს ბიოლოგიურ, კულტურულ და მენტალურ კუთვნილებას.

ფ. ლისტი ვაჭრობის ლიბერალიზებას ერთმნიშვნელოვნად სასარგებლოდ არ მიიჩნევს ვაჭრობის პარტნიორ ქვეყანასთან შედარებით სუსტი ეკონომიკური განვითარების მქონე სახელმწიფოსთვის, რადგან ის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ყოველთვის დაიჩაგრება ასიმეტრიული შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სწორედ ამ მოსაზრების გამო, ფ. ლისტი ეკონომიკურად წარუმატებელი ქვეყნების ერთგვარ გულშემატკივრად ითვლება და ანვითარებს ე.წ. „დამწევი განვითარების თეორიას“ (Catching up development), რაც გულისხმობს გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების მხრიდან სუსტი ქვეყნების ტექნოლოგიურ-ეკონომიკურ განვითარებაში დახმარებას. ფ. ლისტი ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის ისევე აქტუალურია, როგორც ა. სმითი და დ. რიკარდო მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი ქვეყნებისათვის. ფ. ლისტის მოსაზრებით<sup>13</sup>, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად გადავწყვიტოთ რომელი იქნება უფრო მოგებიანი: ერთი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა სხვა ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებში თუ პროტექციონისტული პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, რადგან აუცილებლად გასათვალისწინებელია მოცემული ისტორიული პერიოდი. მეცნიერის აზრით<sup>14</sup>, ჩვენ უნდა გავარკვიოთ რა გზით განვავითაროთ საბაზრო ურთიერთობები კონკრეტულ ქვეყანაში ისე, რომ ბაზრის განვითარების თვალსაზრისით, უფრო განვითარებულ სამყაროსთან კონტაქტისას არ დაიკარგოს მისი პოლიტიკური

<sup>13</sup>List, F. (1841). The National System of Political Economy (translated by Lloyd, S.S.). New York, pp. 105-107.

<sup>14</sup>List, F. (1841). The National System of Political Economy (translated by Lloyd, S.S.). New York, pp. 118.

ძლიერება, ეკონომიკური სუვერენიტეტი, ეროვნული დამოუკიდებლობა და კულტურული თვითმყოფადობა. ამ ოთხი უმნიშვნელოვანესი აქტივის შესაძლო დაკარგვის შიშით, ფ. ლისტმა გააანალიზა ეკონომიკური ავტარკიის<sup>15</sup> ცნება და მისი შესაძლო პოზიტიური შედეგები. მეცნიერის მტკიცებით, ქვეყნის ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის სახელმწიფოს და ერს უნდა გააჩნდეს მაქსიმალურად დიდი გეოგრაფიული განფენილობა, რომელიც საერთო ეკონომიკური სტრუქტურითა და სისტემებით იქნება გაერთიანებული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია რეალისტური ეკონომიკური დამოუკიდებლობის საწყისი ბაზის ფორმირება. აღნიშნული შეხედულების განვითარების პარალელურად ფ. ლისტი აქტიურად სთავაზობდა წინადადებებს იმ დროინდელ სახელისუფლებო ძალებს იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელი იყო გერმანული მიწებისა და ავსტრიის ერთიან საბაჟო კავშირში გაერთიანება. აღნიშნული კავშირის ფარგლებში წევრ სახელმწიფოებს შორის ინტენსიურად განვითარდებოდა ინტეგრაციული პროცესები და საბაზრო ურთიერთობები. ამასთანავე იგი დაჟინებით მოითხოვდა კავშირის შიგნით ვაჭრობის ლიბერალიზებას და სატარიფო ბარიერების მაქსიმალურად შეზღუდვას. ფ. ლისტის აზრით, მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობა ვერ მოუტანს სახელმწიფოს ეკონომიკურ სიმდიერეს, საჭიროა სახელმწიფომ კომპლექსური განვითარების გზა აირჩიოს, რითაც მრეწველობისა და ზოგადად ინდუსტრიის განვითარების აუცილებლობაზე მიანიშნებდა.<sup>16</sup> ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ფ. ლისტი ცნობილია, როგორც „ეკონომიკური ნაციონალიზმის“ ფუძემდებელი. მისი თეორიის მიხედვით, ყველა ცივილიზებული ერი მჭიდრო საერთაშორისო ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის: „ამჟამად უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის განჭვრეტა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესების კვალობაზე, მაღალი ცივილიზაციის ხალხები თავისი მატერიალური და გონებრივი ურთიერთობებით ისევე მჭიდროდ იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, როგორც ასი წლის წინათ ინგლისის სხვადასხვა

<sup>15</sup>პოლისების ჩაკეტილობა - თვითმმართველობა (ქვეყნის ეკონომიკური რეჟიმი, რომელიც გულისხმობს მის თვითმმართველას და სხვა ქვეყნებთან გაცვლითი ურთიერთობების არ არსებობას).

<sup>16</sup>Clairmonte, F. (1959). *Friedrich list and the historical concept of balanced growth*. Springer. Dehli, pp. 27-28.

საგრაფო“.<sup>17</sup> ამდენად, ფ. ლისტის შეხედულებით, ეკონომიკური ნაციონალიზმის კონცეფციაში იგულისხმება ტერიტორიული გაერთიანება ეკონომიკური მიზნების მისაღწევად და არა სხვადასხვა ერების კარჩაკეტილობა.<sup>18</sup>

ფ. ლისტის ნაშრომებში ჩაღრმავებისას მკაფიოდ იკვეთება მისეული გეოეკონომიკური ხედვა, საიდანაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფ. ლისტი არის ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც გეოეკონომიკის მომავალი იწინასწარმეტყველა. მართალია, მას „გეოეკონომიკა“, როგორც ტერმინი არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ მის მიერ დასმული საკითხები ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში ნაწილობრივ რეალიზდება. მას ეკუთვნის მოსაზრება: „რაც უფრო ვითარდება მრეწველობა, მით უფრო თანაბრად ხდება მისი განაწილება დედამიწაზე და მით უფრო შემცირდება ომში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობა“ (გვ. 119-120).

მე-20 საუკუნის გეოეკონომიკური აზრის განვითარებას და თანამედროვე გაგებით გეოეკონომიკური კონცეფციის ფორმირებას შემდგომ პერიოდში ხელი შეუწყო ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა ფრიც რორიგმა ნაშრომში „ლუბეკის ბაზარი“<sup>19</sup>. მეცნიერი გეოპოლიტიკური მიზნების განხილვისას სახელმწიფოს მიზნების მიღწევის გზაზე წინა პლანზე ეკონომიკურ ფაქტორს აყენებს. მისი აზრით, სახელმწიფოთა ინტერესები მსოფლიო გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში გაზარდონ სხვა ქვეყნებზე საკუთარი ძალაუფლება, ეკონომიკური დოვლათის მიღებითაა განპირობებული. მეცნიერის აზრით,<sup>20</sup> მსოფლიო ეკონომიკაში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ სად არის კონცენტრირებული მძლავრი წარმოების კერები, წარმოების საშუალებები (შრომა, მიწა, კაპიტალი) და ნედლეული. მეცნიერი ამტკიცებს, რომ გეოგრაფიულ/სივრცული სიდიდე, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები ქმნიან ეფექტიან პროდუქტიულობას, შესაბამისად მხოლოდ რესურსებით მდიდარი და

<sup>17</sup>Лист, Ф. (2005). Национальная система политической экономики. Европа. Москва, с. 117.

<sup>18</sup>Лист, Ф. (2005). Национальная система политической экономики. Европа. Москва, с. 118.

<sup>19</sup>Rorig, F. (1922). Der Markt von Lubeck: Topographisch-statistische Untersuchungen zur Deutschen Sozial- und Wirtschaftsgeschichte. Quelle & Meyer. Leipzig, pp. 355-357.

<sup>20</sup>Selzer, S. (2016). Nachgrabung auf dem Markt von Lubeck. Rorig, F. „Gründungsunternehmerthese ‘in der deutschen Geschichtsforschung der ersten Hälfte des 20. Jahrhunderts, in: Zeitschrift für Lübeckische Geschichte 96. Lübeck, pp. 14-15.

ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის ჰეგემონ ძალებს.<sup>21</sup>

ისტორიკოს ფ. რორიგის შეხედულებათა მოდიფიცირება შემდგომში შემოგვთავაზა ფრანგმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა, ფერნანდ ბროდელმა თავის ნაშრომებში: „ისტორია და სოციოლოგია“<sup>22</sup>, „ცივილიზაცია და კაპიტალიზმი“<sup>23</sup>. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მკვეთრად ასახა გეოეკონომიკის ეკონომიკური და გეოგრაფიული ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა. ამდენად, ფერნანდ ბროდელს არ იქნება გადაჭარბებული თუ ერთ-ერთ პირველ გეოეკონომისტს ვუწოდებთ, რომელმაც ეკონომიკური ინტერესების გრავიტაციული ასპექტების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მეცნიერი თავის ნაშრომებში მუდმივად აპელირებს ეკონომიკის სივრცისა და დროის კორელაციის მნიშვნელობაზე. ფ. ბროდელის მოსაზრებით, თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკის დომინანტობა სულ უფრო წონადი ხდება. მისი შეფასებით “ეკონომიკა არის ფოკუსი, რომელიც არღვევს გეოპოლიტიკურ წონასწორობას და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სხვა წესრიგზე”<sup>24</sup>. ბროდერი ასევე ხაზს უსვამს ეკონომიკის ბუნებას, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა შორის მკვეთრი უთანაბრობის ზრდას და ადამიანთა დაყოფის შესაძლებლობას მათი მატერიალური შესაძლებლობებისა და შეუძლებლობების მიხედვით.

იმისათვის, რომ სახელმწიფოებს საკუთარი საგარეო ურთიერთობის სტრატეგიები უფრო ეკონომიკურ საწყისებზე გადაეტანათ, ვიდრე სამხედრო-ძალისმიერ შესაძლებლობებზე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო მეცნიერთა მიერ აქტიური განხილვები გეოეკონომიკური ხედვისა და აზრის განვითარების აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, მეორე მსოფლიოს ომის დასრულებამდე ევროპაში მოქმედებდა გერმანული ე.წ. „სასიცოცხლო სივრცის“<sup>25</sup> გეოპოლიტიკური დოქტრინა,

---

<sup>21</sup>Rorig, F. (1922). Der Markt von Lubeck: Topographisch-statistische Untersuchungen zur Deutschen Sozial- und Wirtschaftsgeschichte. Quelle & Meyer. Leipzig, pp. 358.

<sup>22</sup>Braudel, F. (1980). On History: History and Sociology. Weidenfeld & Nicolson. London, pp. 42-43.

<sup>23</sup>Braudel, F. (1981). Civilization and Capitalism, 15<sup>th</sup> – 18<sup>th</sup> Century. London, pp. 106-107.

<sup>24</sup>Braudel, F. (1982). On History. Chicago Press. Chicago, pp. 25-27.

<sup>25</sup>„სასიცოცხლო სივრცე“ - გერმანული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომლის მიხედვითაც, ერს და, შესაბამისად, მის სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის სჭირდება გარკვეული სასიცოცხლო სივრცე, რომელიც მან თვითონვე უნდა შექმნას.



რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში გეოპოლიტიკა დომინანტობდა გეოეკონომიკურ შეხედულებებზე. ცხელი ომის დასრულებისთანავე აშშ-ის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებს შემოაქვთ და ავრცელებენ ე.წ. „სასიცოცხლო ინტერესების ზონის“ კონცეფციას, რომელიც უპირისპირდება აქამდე არსებულ გერმანულ დოქტრინას. ამერიკული დოქტრინის კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო ლიდერობა მიიღწევა ეკონომიკური ძლიერების გზით და არა სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერით. კონცეფციაში აშკარად გამოიკვეთა გეოპოლიტიკის და გეოეკონომიკის დაახლოების ნიშნები. სწორედ ამგვარმა იდეოლოგიურმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ბერლინის კედლის დაცემასა და შემდგომ საბჭოთა კავშირის მიერ აღმართული ე.წ. „რკინის ფარდის“ სწრაფ და მოულოდნელ ჩამოშლას, რამაც საბოლოო ჯამში ის სოციალისტური სივრცე, რომელიც რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების მარწუხებში იყო მოქცეული გეოეკონომიკურად თავისუფალ ადგილად და აშშ ახალი მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგის ჰეგემონ სახელმწიფოდ აქცია. ამდენად, აშშ-ში საფუძველი ჩაეყარა ახალ გეოეკონომიკურ აზროვნებას, რომელიც სრულად მოტივირებულია ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებით. ფაქტობრივად ეს არის კონცეფცია, სადაც დასაბუთებულია მსოფლიო ლიდერობის მიღწევა გეოეკონომიკური ომის გზით, საფუძვლიანად მოფიქრებული ეკონომიკური კონკურენტი ძალის გაუნებელყოფა ან/და ეკონომიკური ლიკვიდაციის სტრატეგია სხვადასხვა ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ პროცესს, ამერიკული ტრანსეროვნული კორპორაციების მსოფლიო გავლენების ზრდას ხელს მნიშვნელოვნად უწყობდა ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპები ისეთ მიმართულებაში, როგორცაა საერთაშორისო სატრანსპორტო-კომუნიკაციების განვითარება.

აშშ-ის ზემოთხსენებული გეოეკონომიკური კონცეფცია დასავლელი პოლიტოლოგების, ეკონომისტებისა და ეკონომიკური გეოგრაფების ახლებური მეცნიერული მსოფლმხედველობის იდეოლოგიური საფუძველი გახდა. ამ თვალსაზრისით, დასავლური აზროვნების მთავარი დასაყრდენია ჰარვარდის

---

ამ აზრის განმავითარებლად კი მიიჩნევა გერმანელი გეოგრაფი და სოციოლოგი, გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებელი კარლ ჰაუსჰოფერი.

უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის სკოლა, რომელიც სიდრმისეულად სწავლობს მსოფლიო ეკონომიკისა და კაპიტალიზმთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა დროს ცნობილ მეცნიერთა არაერთი საინტერესო ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული. განსაკუთრებით ყურადსაღებია, ამერიკული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ჯონ ქენეთ გელბრეითის, ნაშრომები: „ეკონომიკის ისტორია: წარსული, როგორც აწყმო“<sup>26</sup> და „კარგი საზოგადოება: ჰუმანური დღის წესრიგი“<sup>27</sup> მეცნიერი დასავლურ სახელმწიფოთა საზოგადოების განვითარებულობას ამ საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაცილებით მაღალი სტანდარტებით ხსნის. გელბრეითის შეფასებით, თანამედროვე პერიოდის უმთავრეს ამოცანას აგრესიული ნაციონალიზმის დაძლევა წარმოადგენს, რადგან თვლის, რომ ნაციონალიზმის მძაფრი გამოვლინება ძალიან აზარალებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ ინტეგრაციებსა და მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ერთსულოვნებას, რაც საბოლოოდ ხელს უშლის სამართლიანი საზოგადოების ფორმირების პროცესს.

მსოფლიო ეკონომიკური პრობლემის კვლევის საქმეში ნიშანდობლივია ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ლესტერ კარლ თუროუს მიგნებები, რომლებიც პრობლემის მკვეთრად გამოკვეთილ გეოეკონომიკურ ხასიათს ატარებს. იგი ნაშრომში: „პირისპირ: მომავალი ეკონომიკური ბრძოლა იაპონიას, ევროპასა და ამერიკას შორის“<sup>28</sup> და „კაპიტალიზმის მომავალი“<sup>29</sup> ამტკიცებს, რომ იმ ლოგიკით თუ მე-19 საუკუნეში ლოკალური ეკონომიკური სისტემები შეიცვალა ეროვნული ეკონომიკური სისტემებით, მე-20 საუკუნის მიწურულს ეროვნულ ეკონომიკებს ცვლის მსოფლიო ეკონომიკური უნიფიცირებული სისტემა, თუმცა არ გამორიცხავს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციების ფორმირების ტენდენციასაც. სწორედ ამიტომ ის აშშ-სა და იაპონიის გარდა, მთავარ ეკონომიკურ პოლიგონად მიიჩნევს არა ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებს ან თუნდაც ევროპაში ყველაზე მძლავრ ეკონომიკებს (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), არამედ ევროპულ ქვეყნებს, როგორც ერთიან ეკონომიკურ

<sup>26</sup>Galbraith, J. K. (1987). A History of Economics: The Past as The Present. London.

<sup>27</sup>Galbraith, J. K. (1996). The Good Society: The Humane Agenda. London.

<sup>28</sup>Thurow, L. (1992). Head to head: The coming economic battle among Japan, Europe, and America. New York.

<sup>29</sup>Thurow, L. (1996). The Future of Capitalism. J. Leadership & Organization Development. New York.

მოთამაშეს. მეცნიერის აზრით, შემოსავლები დამოკიდებული გახდება იმაზე თუ რამდენად იქნებიან ინტეგრირებული ქვეყნების ეკონომიკები ახალ მსოფლიო ეკონომიკაში. იგი გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში წარმატებული ინტეგრაციის მთავარ ფაქტორად და 21-ე საუკუნის სტრატეგიულ რესურსად ცოდნასა და ადამიანურ რესურსს მიიჩნევს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის, პოლიტოლოგიის პროფესორი სამუელ ჰანტინგტონი ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება“<sup>30</sup> ამტკიცებს, რომ „დასავლეთი უნიკალურია, მაგრამ არა უნივერსალური“. სამუელ ჰანტინგტონის აზრით, სახელმწიფოსთვის უმთავრესია პრესტიჟი, რომელიც ნიშნავს ძალას. ძალა კი თავის მხრივ, არის ეკონომიკური პროდუქტიულობა, რომელიც შემდგომ ქმნის ძალაუფლებასაც.<sup>31</sup> მეცნიერი გვთავაზობს საკუთარ პროგნოზს მომავალთან დაკავშირებით და ასაბუთებს, რომ შემდეგი მსოფლიო ომის შემთხვევაში, თუ ასეთი რამ მოხდა, იქნება ომი ცივილიზაციათა შორის. განიხილავს, რა მსოფლიოში მიმდინარე კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, მეცნიერი მიაჩნებს ეკონომიკური და პოლიტიკური რეგიონული კავშირების ფორმირების ტენდენციაზე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილება. იგი ცალკე გამოყოფს აშშ-ს როლს მსოფლიოს მომავალ წესრიგში. მისი აზრით, აშშ-ის ლიდერ ზესახელმწიფოდ შენარჩუნება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინაპირობას კეთილდღეობისა და უსაფრთხოების, თავისუფლებისა და დემოკრატიის, ღია ეკონომიკის განვითარებისა არა მხოლოდ ამერიკელი მოსახლეობისთვის, არამედ მთელ დანარჩენ მსოფლიოში საერთაშორისო საზოგადოებისათვის წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, „მსოფლიო სისტემების თეორია“<sup>32</sup> გახდა ერთ-ერთი პირველი გეოეკონომიკური ხასიათის კონცეფციის შემმუშავებელი ნაშრომი, რომელმაც მსოფლიო სამეცნიერო წრეებში დიდი ხმაური და

<sup>30</sup>Huntington, S. (1997). *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. Touchstone. New York.

<sup>31</sup>Surku, I. (2005). *Geoeconomic policies for regional development: Turkey as a catalyst for Eastern Europe*. Mokslo darbai, Vilniaus Universitetas. Vilnius, p.31.

<sup>32</sup>Wallerstein, I. (1974). *World System Theory*. University of Washington. Washington.

არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. აღნიშნულის ავტორი იყო ამერიკელი სოციოლოგი იმანუილ ვალერშტეინი. მიუხედავად მისი საკმაოდ გამოკვეთილი გეოეკონომიკური ხედვისა უნდა აღინიშნოს, რომ მისი მსოფლისსტემური მიდგომა მაინც არ პასუხობს თანამედროვე გეოეკონომიკის პრინციპებსა და ფუნდამენტურ მიმართულებებს. მეცნიერის მთავარი ლაიტმოტივი, რომელიც გეოეკონომიკურ აზროვნებასთან ყველაზე ახლოა, დაკავშირებულია მის მიერ შემუშავებულ ახალ მეცნიერულ პარადიგმასთან - კაცობრიობის განვითარება ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივი გააზრების და ეკონომიკური ურთიერთკავშირების კონტექსტში. მაგრამ ამ პარადიგმის განვითარებას ახდენს არა ეკონომიკურ კორელაციაზე, ზოგადად გეოეკონომიკაზე, ეკონომიკური ინტერესების, როგორც საბოლოო მიზნის დეკლარირებით, არამედ გეოგრაფიული განფენილობის საკითხებზე.

თანამედროვე გეოეკონომიკური მეცნიერების არსის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დასაბუთებული და გასაგები ხედვა შემოგვთავაზა ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკმა ნაშრომში: „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ“ კონფლიქტის ლოგიკა და კომერციის გრამატიკა<sup>33</sup>. ე. ლუტვაკი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერია, რომელიც სამართლიანად ითვლება გეოეკონომიკის ფუძემდებლად. სწორედ მან შეძლო ეს ახალგაზრდა, მეცნიერულად ჯერ კიდევ შეუსწავლელი დარგი ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ მიმართულებად ექცია სოციალურ მეცნიერებებში. იგი აღნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობის მეთოდები თრგუნავენ მილიტარისტული მეთოდების საჭიროებას. ლუტვაკი თავის ნაშრომში ასაბუთებს, რომ სახელმწიფოები, როგორც გარკვეული გეოგრაფიულ-ტერიტორიული ობიექტები, არ გაქრებიან, მაგრამ გადაეწყობიან გეოპოლიტიკური რელსებიდან გეოეკონომიკაზე, რათა მოახდინონ მათი შესუსტებული გეოპოლიტიკური როლის აღორძინება. მეცნიერი ტერმინს „გეოეკონომიკა“ მიიჩნევს საუკეთესოდ იმის ასაღწერად თუ როგორი კომპლექსური პროცესია ის, რასაც კონფლიქტის ლოგიკასა და კომერციის გრამატიკას უწოდებს. გეოეკონომიკის სულისჩამდგმელად წოდებული ედვარდ ლუტვაკი გეოეკონომიკას

---

<sup>33</sup>Luttwak, E. N. (1990). From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce. Philadelphia.

განმარტავს, როგორც კომერციული საშუალებებით ურთიერთგადამკვეთი მიზნების მიღწევის საშუალებას<sup>34</sup>. გეოკონომიკა სწავლობს ქვეყნის სტრატეგიის ანალიზისა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებს.<sup>35</sup> 1990-ანი წლების ძირითად ტენდენციას ე. ლუტვაკი განსაზღვრავს, როგორც გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკაზე გადასვლას. მისი აზრით, ეს პროცესი, წარმოადგენს ახალ რეალობას და სახელმწიფოთშორისი დაპირისპირების ახალ ლოგიკას. მეცნიერის შეფასებით „გეოეკონომიკაში გაბატონებულია შეტევითი იარაღი და მისი მთავარი მიზანია, საკუთარი როლის მოპოვება და დამკვიდრება მსოფლიო ეკონომიკაში“.<sup>36</sup> მანვე იწინასწარმეტყველა გეოეკონომიკური ომების მოახლოება. ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, ვინაიდან უკვე 1990-ანი წლების დასაწყისშივე მსოფლიო შეძრა სავალუტო და ვაჭრობის ომების მთელმა სერიამ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ე. ლუტვაკის მოსაზრებებს გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებმაც მწვავედ გააკრიტიკეს მისი პოზიცია ამერიკის პოტენციურ ეკონომიკურ მეტოქეებთან (ევროპა და იაპონია) დაკავშირებით. რაიმონდ ვერნონი აკრიტიკებდა რა ე. ლუტვაკის შეფასებებს, მიუთითებდა, რომ მისი მოსაზრებები მეტისმეტად გადამლამებულია და არსებულ მდგომარეობას დამახინჯებულად გადმოსცემს<sup>37</sup>. თანამედროვე გეოეკონომიკაში კონკურენტუნარიანი უპირატესობის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ერებს შორის განსხვავებულობას და ეროვნულ ხასიათთა მრავალფეროვნებას. მსგავსი სიჭრელე უდევს საფუძვლად კონკურენტუნარიან უპირატესობას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ის დარგები გახდნენ კონკურენტუნარიანები, რომლებიც ადამიანთა ეთნოგეოგრაფიული და მსოფლმხედველობრივ სპეციფიკას დაეფუძნენ და არა ბუნებრივ რესურსებს (შვეიცარია, ავსტრია, დანია, ბელგია, იაპონია, ტაივანი, სინგაპური და ა.შ.). ამჟამად, არა მხოლოდ ნახსენები, არამედ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში მყოფი

<sup>34</sup>Luttwak, E. N. (1990). From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce”, The National Interest, No. 20. Philadelphia, pp. 17-22.

<sup>35</sup>ბესაძე, გ., აბესაძე, თ. (2011). გლობალიზაცია და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თავისებურებანი. თბილისი, გვ. 75.

<sup>36</sup>Luttwak, E. N. (1993). The coming Global War for Economic Power. Philadelphia, p. 65.

<sup>37</sup>Free Press. (1989). Beyond Globalism: Remaking American Foreign Economic Policy. New York.

სახელმწიფოებიც აქტიურად იყენებენ გეოეკონომიკურ მეთოდებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გეოეკონომიკური კონცეფცია გაცილებით მასშტაბურია და მთელ მსოფლიოს მოიცავს.

კიდევ ერთი ამერიკელი მეცნიერი უილიამ ნესტერი ეხმიანება მიმდინარე გეოეკონომიკის აქტუალურ საკითხებს თავის ნაშრომში: „საერთაშორისო ურთიერთობები: გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონფლიქტი და თანამშრომლობა“<sup>38</sup>. ავტორი საკუთარი ახალი გეოეკონომიკური ტერმინოლოგიების შემოღებით ადასტურებს საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკის უმნიშვნელოვანეს როლს. მის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი ტერმინების დამკვიდრება, როგორცაა: გეოეკონომიკური კონფლიქტი, გეოეკონომიკური თანამშრომლობა, გეოეკონომიკური სტრატეგია, გეოეკონომიკური ძალა, გეოეკონომიკური ბალანსი და სხვა. რ. ვერნონი, დ. სპარი და გ. ტობინი ანვითარებენ აზრს იმის შესახებ, რომ ეკონომიკური დიპლომატია ხდება მთავარი ინსტრუმენტი სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობების კონფლიქტებისა ან/და თანამშრომლობის მიზეზიც და შედეგიც.<sup>39</sup>

გეოეკონომიკაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ამერიკელი მეცნიერის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯოზეფ სამუელ ნაი უმცროსის ე.წ. „რბილი ძალის“ კონცეფცია, რომელიც შემოგვთავაზა თავის ნაშრომებში: „რბილი ძალა - მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“<sup>40</sup> და „ძლიერების მომავალი“<sup>41</sup>. ავტორი ამტკიცებს, რომ ე.წ. „უხეში ძალის“ თეორია, რომელიც იძულებისა და ზეწოლის მექანიზმებს იყენებს, წარსულს ჩააბარა ლიდერმა სახელმწიფოებმა. მისი შეფასებით, თანამედროვე ეტაპზე ჰეგემონისტურად განწყობილი ქვეყნები სასურველი მიზნის მისაღწევად, „რბილი ძალის“ თეორიას იყენებენ, რაც გულისხმობს თანამშრომლობისა და მიმზიდველობის მექანიზმების ერთობლივ გამოყენებას ეკონომიკური ექსპანსიით

<sup>38</sup>Nester, W. (1995). International Relations: Geopolitical and Goeconomic Conflict and Cooperation. HarperCollins Publishers. Bloomington, Indiana.

<sup>39</sup>Vernon, R., Spar D., Tobin, G. (1991). Iron Triangles and Revolving Doors: Cases in U.S. Foreign Economic Policymaking. Santa Barbara.

<sup>40</sup>Nye, J. S. (2004). Soft Power: The Means to Success in World Politics. Washington.

<sup>41</sup>Nye, J. S. (2011). The Future of Power. Washington.

დაინტერესებული სახელმწიფოს მიმართ „მსხვერპლი სახელმწიფოს“ კეთილგანწყობის მოპოვებას. ნაი მიიჩნევს, რომ, “რბილი ძალა არის, უნარი მიაღწიო შედეგს არა ძალდატანებით, არამედ დარწმუნებისა და მიმზიდველობის მეშვეობით”.<sup>42</sup> რბილი ძალა მართლაც რომ მიმზიდველი ძალაა, რასაც სხვადასხვა კატეგორიის ფაქტორი და მახასიათებელი განაპირობებს. „კლასიკური Soft Power (რბილი ძალა-ი.დ.) სამი კომპონენტისაგან შედგება: ღირებულებები, კულტურა და დიპლომატია“.<sup>43</sup>

გეოეკონომიკის შემსწავლელი ამერიკული სკოლის შემდგომ აღსანიშნავია ევროპელი მეცნიერების შეხედულებები და შეფასებები. ამ კუთხით განსაკუთრებით ყურადსაღებია ფრანგი მეცნიერი ჟაკ ატალი, რომელმაც თავის ნაშრომში „ჰორიზონტის ხაზები“<sup>44</sup> განსხვავებით ჯოზეფ სამუელ ნაისისგან, სრულიად უგულვებელყო კულტურული, იდეოლოგიური, ეროვნული და რელიგიური მრწამსი. ჩამოთვლილი ფაქტორების ნაცვლად, ორიენტირი სივრცესთან ეკონომიკური რეალობის ურთიერთობასა და მათ შესაძლო კავშირზე შეაჩერა. ჟაკ ატალისთვის აუცილებელ ფაქტორს არ წარმოადგენს ამა თუ იმ ერის საცხოვრებელი ადგილის, ისტორიის, კულტურული ტრადიციების, ადათ-წესებისა და მრწამსის გარკვევა. მისთვის „მნიშვნელოვანია სად არის განლაგებული მსოფლიო ფინანსური ცენტრები, სასარგებლო წიაღისეულის რესურსები, ინფორმაციული ცენტრები, მსხვილი საწარმოები“.<sup>45</sup> ავტორი გეოეკონომიკურ მიდგომებზე დაყრდნობით გამოყოფს სამ მთავარ რეგიონს (აშშ, ევროპა, იაპონია), რომელიც - მისი აზრით, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური ცენტრები გახდებიან.

ნიშანდობლივია ასევე ფრანგი მეცნიერის პასკალ ლოროტის ნაშრომი: „შესავალი გეოეკონომიკაში“. ამ მეცნიერის აზრით, გეოეკონომიკა შეისწავლის და განიხილავს გარკვეულ პოლიტიკურ პირობებში სახელმწიფოთა მიერ არჩეულ ეკონომიკურ სტრატეგიებს მსოფლიო სასაქონლო, კაპიტალისა და სავალუტო ბაზრებზე საკუთარი

<sup>42</sup>Nye, J. S. (2004). Soft Power: The Means to Success in World Politics. Washington, p.12.

<sup>43</sup>ფხალაძე, თ., შარაშენიძე, თ., ვოლსკი, გ. (2010). რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, გვ. 8.

<sup>44</sup>Attali, J. (1990). Lines on the Horizon: A New Order in The Making. Paris.

<sup>45</sup>იქვე, pp. 6-7.

პოზიციების დამკვიდრებისა და გაძლიერებისთვის. ავტორი ამტკიცებს, რომ ეს ეკონომიკური სტრატეგიები, რომლებიც პოლიტიკური კონიუნქტურით არის გაჯერებული, მიმართულია საკუთარი ეკონომიკის ან მისი ცალკეული სექტორის დასაცავად; მსოფლიო ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაპყრობისა თუ გაკონტროლებისკენ და სამამულო წარმოების დასახმარებლად ტექნოლოგიების შესაძენად. მეცნიერი იზიარებს პ. კრუგმანის აზრს იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო დღემდე მთავარ როლს ასრულებს საკუთარი მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში“.<sup>46</sup>

საბჭოთა კავშირის უცახედი ჩამოშლის შემდგომ რუსეთი, როგორც კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო, აქტიურად იკვლევს გეოეკონომიკურ თეორიებსა და საკუთარი გეოეკონომიური სტრატეგიების ფორმირებას ახდენს. რუსული გეოეკონომიკური სკოლის ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ პროფესორი ერნესტ კოჩეტოვი, რომელიც ნაშრომში: „გეოეკონომიკა - მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ათვისება“<sup>47</sup> წერს, რომ რუსული გეოეკონომიკური აზრი ფორმირების პროცესში ორიენტირებულია ორ ძირითად მიმართულებაზე: პირველი შეეხება იმ ხერხებისა და სტრატეგიების განსაზღვრას, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის დამოუკიდებელი და თვითკმარი ბაზრის ფორმირებას, ხოლო მეორე მიმართულება გულისხმობს ძლიერი ეკონომიკური ექსპანსიის მეშვეობით გააკონტროლოს „ახალი საზღვარგარეთის“<sup>48</sup> ბაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთში გეოეკონომიკური ცნება გამოიყენებოდა დიდი სივრცეების გეოპოლიტიკის ტრადიციულ სტილში. შეიძლება ითქვას, რომ კოჩეტოვის ნაშრომში - „გეოეკონომიკა და გლობალისტიკა“<sup>49</sup> მტკიცდება, რომ რუსული გეოეკონომიკური აზრი უფრო გეოპოლიტიკური შეხედულებებითაა გაჯერებული და იმეორებს იმ ძველ შეხედულებებს, რომელზეც დასავლურმა სამყარომ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს თქვა უარი. აქედან გამომდინარე, რუსული გეოეკონომიკა შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ

<sup>46</sup>Lorot, P. (1999). The Evolution of Geoeconomics - From its historical origins to a Geoeconomic network. Paris, pp. 12-15.

<sup>47</sup>Кочетов, Э. (1999). Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства. Учебник для вузов. Москва.

<sup>48</sup>Кочетов, Э. (2010). Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства“. Учебник для вузов. Норма. Москва, с. 203.

<sup>49</sup>Кочетов, Э. (2006). Геоэкономика и глобалистика, Экономика и экономические науки. Москва.



შეხედულებად, რომელსაც ეკონომიკური კომპონენტი უდაოდ გააჩნია, თუმცა მასში კვლავინდებურად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიულ, პოლიტიკურ და რაც მთავარია სამხედრო ძალისმიერ ფაქტორებს.

ე. კონკრეტისაგან რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობს პ. შედროვიცი, რომელიც წერს, რომ “ეროვნულ-ტერიტორიული საზღვრები ჩვენს თვალწინ კარგავენ ეკონომიკურ აზრს” და იგი არ ენდობა არც “ეროვნული კაპიტალის ენაზე მომავლის დაგეგმვას” და არც “ქვეყანა-სისტემების” სიცოცხლისუნარიანობას. მისთვის მისაღებია მსოფლიო, სადაც წინა პლანზე გამოდის მსოფლიო დიასპორები. მსხვილი ტრანსრეგიონული გაერთიანებები, ან ქვეყნების სტრატეგიული ალიანსები, მსოფლიო ქალაქები (მსოფლიო გეოეკონომიკური ქსელის ინფრასტრუქტურული კვანძები) ერთად შეკრული ჯგუფები და ასოციაციები, რომლებიც იყენებენ, ერთი მხრივ, საქმიანობის ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს და მეორე მხრივ, კულტურულ პოლიტიკას მსოფლიო პროცესებში აქტიური მონაწილეობისათვის, სადაც დიასპორები და მსოფლიო ქსელები გადაიქცევიან გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებად, რომელიც შემდეგ ფორმდება სახელმწიფოთა ვალდებულებებად. ეს არის ის ახალი სტრატეგია, რომელსაც რუსეთი იყენებს ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენების შესანარჩუნებლად. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რუსეთი ცდილობს „უხეში ძალის“ ჩანაცვლებას „რბილი ძალით“.<sup>50</sup>

ჩრდილოელი მეზობლის გარდა, საკუთარ გეოეკონომიკური ხასიათის კვლევებს ატარებენ სომხეთსა და აზერბაიჯანში. სომხეთში გეოეკონომიკური შეფერილობის კვლევებში აქტიურია იგორ მურადიანი: “პოლიტიკური განვითარების გეოეკონომიკური ფაქტორები კავკასიურ-კასპიურ რეგიონში”<sup>51</sup>, „აშშ-ს პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები”<sup>52</sup>, ხოლო აზერბაიჯანში – ელდარ ისმაილოვი, რომელსაც მრავალი ნაშრომი ქართველ კოლეგასთან აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასთან

<sup>50</sup>Тренин, Д. (09 АВГ. 2010). Включить мягкую силу, Московский Центр Карнеги <http://carnegie.ru> (10.10.2017).

<sup>51</sup>Мурадян, И. (2001). Геоэкономические факторы развития политических процессов в Кавказско-Каспийском регионе : ситуационный анализ. Изд. дом "Антарес". Москва.

<sup>52</sup>Мурадян, И. (2000). Политика США и проблемы безопасности региона Южного Кавказа. Антарес. Москва.

ერთად აქვს შესრულებული: “ცენტრალური ევრაზია - გეოეკონომიკური ნარკვევები”<sup>53</sup>, “ცენტრალური კავკასია: ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა”<sup>54</sup>. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მეზობლების გეოეკონომიკური ინტერესები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია დღეს არსებული სამხედრო, კონფლიქტური, და პოლიტიკური მოცემულობით. აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ ძირითადად ორივე სახელმწიფო საკუთარ გეოეკონომიკური ინტერესების სფეროს უკავშირების სატრანზიტო მარშრუტებს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებს არსებული გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამხედრო/კონფლიქტური მდგომარეობის გათვალისწინებით.

1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოშიც დაიწყო გეოეკონომიკური ხასიათის საკითხებზე მეცნიერული კვლევა-ძიება როგორც ეკონომისტების, ისე გეოგრაფების, პოლიტოლოგებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მიერ. ამ მხრივ აღსანიშნავია ალექსანდრე რონდელის ნაშრომი „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, 2003; ვლადიმერ პაპავას ნაშრომები: “რას ნიშნავს ძლიერი ქვეყანა”, 2014; „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ნარკვევები“, 2009; „ეკონომიკური ურთიერთობანი ცენტრალურ კავკასიაში“ 2007; “ „ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“ (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი), 2012; არჩილ გეგეშიძის ნაშრომი „გეოპოლიტიკა“, 1997. მნიშვნელოვანია ასევე ქართველი გეოგრაფების კვლევები, მათ შორის ლევან გაჩეჩილაძის „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“, 2013; გიორგი კვინიკაძის „გეოეკონომიკა“, 2008; „გეოეკონომიკის საფუძვლები“.

გეოეკონომიკის თეორიული წინამძღვრების ზოგადი ანალიზიც მეტყველებს, რომ მასში აქცენტები გეოგრაფიული სივრცისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირების კვლევაზე კეთდება. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა მაშინაც, როცა ქვეყნის პოლიტიკა გარკვეულ ამოცანებს ისახავდა და ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს ითვალისწინებდა. თავის მხრივ, ეკონომიკა პოლიტიკას აწვდიდა იმ

<sup>53</sup>Исмаилов, Э., Папава, В. (2012). Центральная Евразия: геополитическое переосмысление. Издательский дом SA&CC Press Стокгольм.

<sup>54</sup>Исмаилов, Э., Папава, В. (2007). Центральный Кавказ. История, политика, экономика. SA&CC Press. Стокгольм.

მატერიალურ რესურსს, რომელიც აუცილებელი იყო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამასთან, პოლიტიკა ეკონომიკას იყენებდა, როგორც გარკვეული სახის იარაღს ეკონომიკური სანქციების და ემბარგოს სახით. მიუხედავად ამისა, ტერმინ „გეოეკონომიკის“ დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა და მას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, რადგან თანდათან დაიხვეწა მსოფლიო გეოგრაფიული სივრცე და ზუსტად შემოიხაზა გეოეკონომიკის ფუნქციონირების არეალი.

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე გეოეკონომისტები იკვლევენ დამოკიდებულებებს „ჰომო ეკონომიკუსსა“ და სივრცეს შორის,<sup>55</sup> სივრცის გავლენას წარმოების და პროდუქციის ნაკადებზე. სივრცის ფაქტორი გულისხმობს გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გადანაწილებას, წარმოების კვანძების ადგილმდებარეობას, სარკინიგზო ხაზისა და ტელეკომუნიკაციების სპეციფიკას, სტრუქტურას, ექსპლუატაციისა და ტრანსპორტირების რესურსების დანახარჯებს და სხვ. გეოეკონომიკა განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიის, ეკონომიკის, ისტორიისა და პოლიტიკის სინთეზი. იგი ქმნის იმგვარ ეკონომიკურ პოლიტიკას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რომელიც მას საზღვრებს გარეთ გეოგრაფიულ სივრცეში წარმატებული პოზიციონირების საშუალებას აძლევს, რაც აუცილებელია შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სწორედ სახელმწიფოთა გეოეკონომიკური სტრატეგიების ფორმირების შედეგია. ამჟამად, თავად ეკონომიკური გლობალიზაცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყანათა ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე და მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების განვითარებაზე, თუმცა ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების გეოგრაფიული სივრცის მიხედვით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობების კონფიგურაცია მკვეთრად შეიცვალა და დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი, რაც გახდა ქვეყნებში

---

<sup>55</sup> ისმაილოვი, ე., პაპავა, ვ. (2007). ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. გამომც. „დიოგენე“. თბილისი.

გეოპოლიტიკური ხედვიდან გეოეკონომიკისაკენ გადანაცვლების მიზეზიც და შედეგიც. გაიზარდა ინტერესი ეკონომიკური პროცესების მიმართ, გახშირდა სახელმწიფოთშორისი ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური კავშირები, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციები, გლობალიზაციის პროცესი და სხვადასხვა სახის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოები ერთიანდებიან საერთო ეკონომიკური ხასიათის გამოწვევების წინააღმდეგ და ეძებენ საერთო გზებს. შესაბამისად, სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ტრანსეროვნული ქსელებისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარება, მსოფლიო ეკონომიკების ლიბერალიზება და გლობალიზაცია. თანამედროვე პერიოდში ქვეყნის გეოეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია არა მხოლოდ სამამულო ეკონომიკური ზრდისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ, არამედ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გაზრდით მთავარ დიპლომატიურ იარაღადაა ქცეული. ამჟამად, „გეოეკონომიკური მეტოქეობა სახელწიფოთა შორის მიმდინარეობს ისეთი ქმედებების გატარების შედეგად, როგორცაა: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება, მომსახურების სფეროს სრულყოფა, ექსპორტის მხარდაჭერა და ა.შ.“<sup>56</sup>

ზემოთ მოცემული ანალიზის შედეგად შესაძლოა გამოვყოთ სახელწიფოს გეოეკონომიკური სტრატეგიის ოთხი ძირითადი ფაქტორი: პოლიტიკური კონიუნქტურა, გეოგრაფიული განფენილობა, ეკონომიკური შესაძლებლობები და ისტორიული გამოცდილება (დანართი 1).

გეოეკონომიკის მიზანი კი არის ქვეყნის ეკონომიკური სივრცის მაქსიმალურად გაზრდა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სხვა ქვეყნების ეკონომიკური ექსპანსიის გზით ყველა იმ საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორების გამოყენებით, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს. მათი სტრატეგიული მიზანია მიწოდების არხებისა და მეტოქესთან კონკურენტული უპირატესობის მოპოვების გარანტირება. გეოეკონომიკური მიზნის მიღწევაში კი სახელმწიფოები ახდენენ გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებას, იმ

---

<sup>56</sup>კეკელიძე, გ. (2008). გეოეკონომიკა. თბილისი, გვ. 77.

პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს: საკუთარი ეროვნული ეკონომიკის ან მისი რომელიმე სეგმენტის დაცვას; სამამულო წარმოების პროტექციას, სამამულო წარმოების დახმარებას უახლესი ტექნოლოგიების ათვისებაში და მსოფლიო ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაკავებას ან გაკონტროლებას, ვინაიდან ეს ფაქტორი მის მფლობელ სახელმწიფოს ან ადგილობრივ მეწარმეს ანიჭებს საერთაშორისო ძლიერების და გავლენის ელემენტს და ხელს უწყობს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გაძლიერებას.

ამრიგად, თუ მთლიანობაში გავანალიზებთ გეოეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში არსებულ მიღწევებს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გეოეკონომიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს კომპლექსური განვითარებისა და მსოფლიოს გლობალურ სისტემებში ინტეგრაციის შესახებ, რომელიც თანაბრად ემყარება ქვეყნის გეოგრაფიულ ანუ სივრცობრივ განფენილობას, მის ისტორიულ წარსულსა და გამოცდილებას, მასში და მის გარშემო არსებულ პოლიტიკურ კონუქტურასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიური განვითარების დონეს.

## 1.2 გეოეკონომიკური პრობლემატიკის გააქტიურება საქართველოში

დიდი ხნის მანძილზე ქვეყნები თვითკმარობისაკენ მისწრაფოდნენ და გაბატონებული ეკონომიკური ნაციონალიზმის პროცესში ეკონომიკურ განვითარებას ავტარკიულ პირობებში ცდილობდნენ. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულიდან სახელმწიფოები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებაზე გადავიდნენ, რამაც ერთი მხრივ, სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება გაზარდა და მეორე მხრივ, სწრაფი გლობალური ბაზრის ფორმირების პროცესში ყველა მონაწილე ქვეყნისათვის შექმნა მძლავრი კონკურენტული გარემო. ადრე, როცა “ნეომერკანტილიზმი წარმოადგენდა სახელმწიფოთა ეკონომიკური აზროვნების ძირითად საფუძველს, მსხვილი სახელმწიფოების სამამულო ბაზარი და გეოგრაფიული სიდიდე უმნიშვნელოვანესი

ფაქტორი იყო“.<sup>57</sup> თანამედროვე ეტაპზე ბაზარი გლობალური გახდა და ცალკეული ქვეყნების სამამულო ბაზრის ტევადობას ადრინდელი მნიშვნელობა აღარ გააჩნია. როდერიკ პიტის შეფასებით, „ეკონომიკური თვითკმარობა საჭიროა მხოლოდ ომის პირობებში, ხოლო მშვიდობის ჟამს ავტარკიისაკენ სწრაფვას აზრი არ აქვს“.<sup>58</sup> ქვეყნის არსებობა–განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გახდა არა ტერიტორიული სიდიდე ან მილიტარისტული შესაძლებლობები, არამედ „შეძლებს თუ არა იგი გლობალურ სისტემაში თავისი ადგილის მონახვას“.<sup>59</sup> ამდენად, ამჟამად არსებული ეკონომიკურ–პოლიტიკური გავლენების მქონე ქვეყნებს შორის ისეთ პატარა სახელმწიფოს როგორცაა საქართველო, შანსი ეძლევა თავი ღირსეულად დაიმკვიდროს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია არც დიდი ტერიტორია, არც რესურსების საკმარისი რაოდენობა, არც მნიშვნელოვანი მილიტარისტული შესაძლებლობები და არც იმგვარი პოლიტიკური ძალა, რომ გავლენა მოახდინოს სხვა დიდ მოთამაშეებზე მსოფლიო მასშტაბით. საქართველო მართლაც ვერ უგულვებელყოფს რესურსების სიმწირესა და სამამულო ბაზრის სიმცირეს. ამიტომაც, მისი სამამულო წარმოება და საექსპორტო პოტენციალი ვერ იქნება იმ რაოდენობით, რაც ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების საწინდარი და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ჩართულობის გარანტი გახდება სამომავლოდ. კვლევებმა აჩვენა, რომ „საერთაშორისო ბაზარზე ფეხის მოკიდების მოსურნე პატარა ქვეყნისათვის უფრო ადვილია მინერალური თუ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტის მეშვეობით მიაღწიოს ამას და არა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გატანით“.<sup>60</sup>

საქართველო განლაგებულია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად უდიდეს როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა

---

<sup>57</sup>Bodenhimer, S. (1971). Dependency and Imperialism: The Roots of Latin American Underdevelopment. J. Politics & Society. London, pp. 160 - 180.

<sup>58</sup>Peattie, R. (1972). Look to the Frantiers: A Geography for Peace Table (Man and His Environment). London, p. 144.

<sup>59</sup>Cohen, S. (1963). Geography and Politics in a World Divided. Random House. New York, pp. 37-42.

<sup>60</sup>Knox, A.D. (1967). Some Economic Problems of Small Countries, in B. Benedict (ed.), Problems of Smaller Territories. Athlone Press. London, pp. 35-45.

და ურთიერთობებში.<sup>61</sup> მას შემდეგ რაც საქართველომ თავი დააღწია საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ ტყვეობას, ქვეყანა საკუთარი გეოგრაფიული სივრცის, ისტორიული წარსულის, პოლიტიკური მნიშვნელობისა და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გახდა ახალი გეოეკონომიკური ცენტრი ევროპასა და აზიას შორის, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. შესაბამისად საქართველოს, როგორც ახალი გეოეკონომიკური მიზიდულობის ცენტრის მიმართ გაჩნდა მზარდი ინტერესი, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ქვეყანა გაწვევრიანდა სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებებში და ამჟამად მისი უმთავრესი გეოპოლიტიკური ამოცანა ევროკავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამდენად, გეოპოლიტიკური სტრატეგია მკაფიოდ არის დეკლარირებული, ხოლო ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებისათვის და მსოფლიო ეკონომიკაში საკუთარი ნიშის დამკვიდრებისათვის კი უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად ჩამოყალიბებული გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება და მისი იმპლემენტაცია რეგიონის ლოკალურ და საერთაშორისო მოკავშირეებთან შესაბამისი თანამშრომლობით. ამდენად, საქართველოს გეოეკონომიკურ პოზიციონირებაზე გავლენას ახდენს როგორც სამამულო, ისე შიდა რეგიონული (სომხეთი, აზერბაიჯანი), გარე რეგიონული (რუსეთი, თურქეთი, ირანი, ცენტრალური აზიის ქვეყნები და საერთაშორისო დონის მოთამაშეები, როგორებიც არიან ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი.

საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებთან დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ამიერკავკასიის ძველი სატრანზიტო ვაჭრობის გზები, ისტორიულად არსებული სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო საერთაშორისო ვაჭრობის გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო.<sup>62</sup> კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, იგი ხშირად იყო ტერიტორიული

<sup>61</sup> თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, ა., ქველავილი, გ., გეგია, დ. (2011). საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, გვ. 222.

<sup>62</sup> გედენიძე, მ. (2013). აბრეშუმის გზის (ტრასევა) საქართველოს მონაკვეთის არქიტექტურული და ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზაცია, მეთოდური მითითებები და საკურსო პროექტის მოცემულობა ქალაქთმშენებლობაში. ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, გვ. 64-68.

კონფლიქტების ობიექტი სპარსეთის, ოტომანთა და რუსეთის იმპერიებს შორის. ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წ III–II ათასწლეული) მოყოლებული, სწორედ კავკასიის საშუალებით ხდებოდა კავშირები აღმოსავლურ სამყაროსა და ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, საქართველოზე გადიოდა ვაჭრობის გზა, რომელიც ინდოეთს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა.<sup>63</sup> ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულში იქმნება სახმელეთო და საზღვაო მარშრუტების სისტემა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საკმაოდ დაშორებულ კულტურებსა და ცივილიზაციებს ფართო რეგიონში - მესოპოტამიის დაბლობიდან ინდის სანდინარო ზონამდე, ცენტრალური აზიის უდაბნოებიდან არაბეთის ზღვამდე. მომავალში ამ მარშრუტებმა განაპირობეს დიდი აბრეშუმის გზის ტრასების ჩამოყალიბება.<sup>64</sup> ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი “აბრეშუმის გზა”, რომელიც წყაროებში ტრანსკონტინენტურ საქარავნო გზად მოიხსენიება, ჩინეთს შავი ზღვის გავლით ხმელთაშუა ზღვის ევროპულ სანაპიროებთან აკავშირებდა. აღსანიშნავია, რომ “აბრეშუმის გზა”-მ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას.

მე-10 საუკუნიდან მოყოლებული საქართველო აქტიურად იყო ჩართული სავაჭრო-კომერციულ ურთიერთობებში. მე-15 საუკუნიდან საქართველო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს აყალიბებს სპარსეთთან და მისი გავლით შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ დროისთვის საქართველოში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები, აბრეშუმი, იარაღი, მარილი, ბამბა, ბრინჯი, ტყავეული, მინის ჭურჭელი, მატყელი და სხვ. სანაცვლოდ, საქართველოდან გაჰქონდათ ღვინო, ხილი, ნიგოზი, თაფლი, გაჰყავდათ ცხენები. მოგვიანებით, საქართველომ თავისი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა გააუმჯობესა ოსმალეთთან (თანამედროვე თურქეთი). სწორედ თურქეთის გავლით საქართველოში ევროპიდან შემოჰქონდათ მაღალი ხარისხის ქსოვილები, სანაცვლოდ, თურქეთში და მისი გავლით, ევროპაში

<sup>63</sup>ლომოური, ნ. (1958). ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები, ტ. 4, ნაკ. 1. თბილისი.

<sup>64</sup>ჭოხონელიძე, ა. (2009). აბრეშუმის გზა აღმოსავლეთის ისტორიაში, პერსპექტივა - XXI, XI. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აზიის და აფრიკის ინსტიტუტი, აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 77.



გაქონდათ კანაფი, თაფლი, ბრინჯი, ადგილობრივი ტილო, ნაწილობრივ ღვინო, ბზის ხეები, ხარის ტყავები და სხვა. ამავ პერიოდში შედარებით გაუმჯობესდა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო კავშირებიც, რასაც მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს დარიალის გზის გახსნამაც შეუწყო ხელი, რითაც შესაძლებელი გახდა ევროპული საქონლის უხვად შემოდინება საქართველოში.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს გეოეკონომიკური როლი, როგორც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი სატრანზიტო არტერია დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, კიდევ უფრო აქტუალური ხდება და ისეთი დიდი ქვეყნების გეოეკონომიკურ ინტერესებში ჯდება, როგორცაა აშშ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ჩინეთი. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნისადმი სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესებიც. ამდენად, საკუთარმა გეოეკონომიკურმა პოზიციონირებამ საქართველო გლობალურ ინტერესთა სფეროში მოაქცია. განვითარებულმა სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა საქართველოსთან თავიანთი უპირატესი გეოეკონომიკური მნიშვნელობისა და შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით.

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთის (ევროპა და ცენტრალური აზია) და ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთის ფედერაცია და ახლო აღმოსავლეთი) დამაკავშირებელ რეგიონს და ამ რეგიონში საკვანძო ადგილი საქართველოს უკავია. რეგიონში საქართველოსთვის ძირითადი შედარებითი უპირატესობაა მისი გეოგრაფიული მდებარეობა განახლებული დიდი აბრეშუმის გზის - ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ, რაც განსაზღვრავს კიდევ ცენტრალური კავკასიის ამ ქვეყნის ეკონომიკურ ფუნქციას<sup>65</sup>. ამდენად, საქართველოს წამყვანი პოზიცია რეგიონში განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით. მას აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი და წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ჭიშკარს დასავლეთისკენ. აღსანიშნავია, რომ რეგიონის სამივე ქვეყანას (საქართველო,

---

<sup>65</sup>პაპავა, ვ. (2009). ცენტრალური კავკასია. გამომც. „სიახლე“. თბილისი, გვ. 42.

სომხეთი და აზერბაიჯანი) მეზობელი ქვეყნის მიერ ოკუპირებული კონფლიქტური ტერიტორიები გააჩნია, მაგრამ ეს კონფლიქტი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ერთმანეთში მხოლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებობს და მათ შორის ურთიერთობაში მედიატორის როლი სწორედ საქართველოს უკავია. აღნიშნული კონფლიქტური რეგიონები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს, როგორც ახალი გეოეკონომიკური ცენტრის ფორმირებაში, რადგან, რომ არა ნახსენები კონფლიქტური მდგომარეობა შესაძლოა საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია იმ დოზით ვერ ათვისებულყო მეზობელი აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ, როგორც ეს ამჟამად ხდება. იგივე შეიძლება ითქვას გარერეგიონულ მეზობელ სახელმწიფოებზეც. მაგალითად, ირანის პორტი - ბანდარ აბასი, რომელიც წარმოადგენს აზერბაიჯანული, სომხური და თურქმენული ტვირთების გადასაზიდ ალტერნატიულ საზღვაო კორიდორს, რითაც ხდება შორეული აზიიდან წამოდებული ტვირთნაკადების „გადასროლა“ ნახსენებ მიმდებ ქვეყნებში ქართული პორტების გვერდის ავლით. საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები ირანის წინააღმდეგ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ქართული კორიდონის წისქვილზე ასხამს წყალს იმ კუთხით, რომ საერთაშორისო საზღვაო ოპერატორები უარს ამობენ ირანული კორიდორის გამოყენებაზე და აღნიშნული ტვირთნაკადები იძულების გზით გადიან ტრანსკავკასიურ კორიდორს ქართული პორტების მეშვეობით - შავი ზღვის გავლით.

სომხეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა უმეტესწილად საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ვაჭრობის და ენერგეტიკულ ტრანზიტს ეფუძნება. სომხეთი, რომელსაც შავ ზღვაზე გასასვლელი არა აქვს, სატრანზიტო პოტენციალით ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის კონტექსტში საგარეო ვაჭრობის მხრივ, ტვირთების ტრანსპორტირებით დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ფოთისა და ბათუმის პორტებზე. მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე სომხეთის საგარეო ვაჭრობის უმთავრეს პარტნიორს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა<sup>66</sup>, ახლა კი

---

<sup>66</sup>სომხეთის სტატისტიკის ევროვნული სამსახური. <http://www.armstat.am/en/> (15.10.2017).

სომხეთი გვევლინება რუსეთის მიერ შექმნილი ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრ სახელმწიფოდ. აქედან გამომდინარე, სომხეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ვაჭრობისთვის საჭირო სატრანზიტო გზას არსებითად მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია, რომელიც სწორედ საქართველოზე გადის, კონკრეტულად - ლარსის გამშვებ პუნქტზე. გარდა ტვირთების გადაზიდვისა, სომხეთის დამოკიდებულება საქართველოზე განპირობებულია იმითაც, რომ რუსეთიდან იმპორტირებული გაზსადენი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გადის, საიდანაც საქართველო შესაბამის ფინანსური სახის სარგებელს იღებს.<sup>67</sup> ამჟამად, საქართველოსთვის სომხეთის მიმართულებას არ გააჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია, თუმცა თეორიულ დონეზე დასაშვებია ის, რომ რუსეთთან არაკეთილმეზობლური მდგომარეობის შენარჩუნების პირობებში და ირანზე საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების მოხსნის შემთხვევაში, სომხეთი შესაძლოა განხილულ იქნას საქართველოს რეგიონული და ტრანზიტული ინტერესების მომავალი პერსპექტივების კონტექსტში. ბოლო მონაცემებით, საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკა სტრუქტურულად საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს, სწორედ აქედან გამომდინარე ნაკლებად არიან ერთმანეთში ინტეგრირებული. ისინი განსხვავებულ ბაზრებზე ორიენტირდებიან, რადგან 2013 წლის სექტემბერში სომხეთმა რუსეთთან, ბელორუსთან და ყაზახეთთან ერთად საბაჟო კავშირში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო და 2015 წელს ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი გახდა.<sup>68</sup> საქართველომ კი 2013 წლის ნოემბერში, ვილნიუსში, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამების სამიტზე ასოცირების შეთანხმება და ევროკავშირთან DCFTA<sup>69</sup>-ს პარაფირება მოახდინა.<sup>70</sup>

გარდა ამისა, საქართველო და სომხეთი ენერგორესურსებითა და ნედლეულით სხვადასხვა მომწოდებლებზე არიან დამოკიდებული. თუ მოცემულ მომენტში სავაჭრო,

<sup>67</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. <http://www.gogc.ge/ge/>(18.11.2017).

<sup>68</sup>Giragosian, R. (8 Jan. 2015). Armenia and The Euroasian Economic Union: The view from Yerevan. <http://www.ecfr.eu>(10.12.2017).

<sup>69</sup>ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზებას. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. <http://www.economy.ge> (7.04.2018).

<sup>70</sup>ევროკომისიის ოფიციალური ვებ. პორტალი / საქართველო. <http://ec.europa.eu/trade> (21.04.2018).

ეკონომიკურ და სატრანზიტო სფეროებში სომხეთს ჯერ კიდევ ცოტა რამ თუ შეუძლია საქართველოს შესთავაზოს, ამავე სფეროებში თავად ბევრად არის დამოკიდებული მეზობელზე. სომხეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზერბაიჯანთან და თურქეთთან რთული ურთიერთობების პირობებში, რაც ამ ქვეყნების მხრიდან ათეული წლების განმავლობაში სომხეთის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო გზების ბლოკადაში გამოიხატება. საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება სომხეთის მთლიანი საქონელბრუნვის 60-70%-ის ტრანზიტი<sup>71</sup>, ქვეყანაზე გადის იმპორტირებული გაზის ძირითადი ნაკადი და მოქმედებს ამ მომენტში ერთადერთი ფუნქციონირებადი სარკინიგზო ქსელი. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რაოდენ მნიშვნელოვანია სომხეთისთვის საქართველოში პოლიტიკური, საკომუნიკაციო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო სტაბილურობის შენარჩუნება, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს სომხეთის გეოეკონომიკურ ინტერესს საქართველოს მიმართ. ამის გამო, ბუნებრივია, ტრანზიტში თავისი განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, საქართველო საკმაოდ მგრძობიარედ რეაგირებს რეგიონულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე სავარაუდო ცვლილებებს ან დინამიკაზე, რომლებმაც საქართველოს სატრანზიტო-კომუნიკაციური მნიშვნელობა შეიძლება შეარყიონ. მაგალითად, 2008-2010 წწ. სომხურ-თურქული დაახლოების პროცესის აქტიური ფაზის პერიოდში საქართველოს გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში შემფოთების ნიშნები გაჩნდა. თბილისში ბევრი შიშობდა, რომ სომხურ-თურქული საზღვრების და თურქეთის გავლით საკომუნიკაციო გზების გახსნა ნეგატიურად აისახებოდა საქართველოს რეგიონულ სატრანზიტო მდგომარეობაზე და საქართველო დაკარგავდა „პრივილეგირებულ პოზიციას“ რეგიონულ ტრანზიტებსა და ეკონომიკურ პროექტებში.

სომხეთში აქტიურად განიხილავენ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის პროექტს<sup>72</sup>, რომელიც სარკინიგზო კორიდორის მშენებლობად მოიაზრება, კორიდორის, რომელიც სომხეთის გვერდის ავლით და საქართველოს გავლით ერთმანეთთან

<sup>71</sup>მინასიანი, ს. (16/09/2016). სომხეთი და საქართველო: სატრანზიტო პოტენციალი ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის კონტექსტში. <http://regional-dialogue.com/geo-arm/> (3.05.2018).

<sup>72</sup>საქართველოს რკინიგზის ოფიციალურ ვებ. პორტალი. <http://www.railway.ge/?web=0&action> (20.06.2018).

დააკავშირებს თურქეთს და აზერბაიჯანს. მთლიანობაში, სამმხრივი ქართულ-თურქულ-აზერბაიჯანული პოლიტიკური და სატრანზიტო-ეკონომიკური პროექტების გააქტიურება ყოველთვის საკმაოდ ნეგატიურად აღიქმება სომხეთში.

სომხეთს ალელვებს საქართველოში თურქეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური პოზიციების გაძლიერება სომხეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ლობირების მოსალოდნელი გააქტიურების მიზნით სომხეთის ტრანზიტის საქართველოზე გავლის გართულების ჭრილში. ამას მოწმობს არაერთხელ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანს სურვილი აქვს შეისყიდოს საქართველოსგან გაზსადენი მილის ნაწილი, რომლითაც რუსული გაზი სომხეთს მიეწოდება.<sup>73</sup> ასევე, საქართველოს არამყარი პოზიცია საავტომობილო გზის პრიორიტეტულობის საკითხში, რომლითაც სომხეთი თავისი მშენებარე ტრასის „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ ირანის საზღვრიდან საქართველოს საზღვრამდე გაერთიანებას აპირებს. სომხური მხარე ამ ტრასის საქართველოს ტერიტორიაზე შემდგომი გაგრძელებითაა დაინტერესებული, რაც მოიაზრებს შედარებით მოკლე და მოსახერხებელ მარშრუტს სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და უფრო მეტად, აჭარისა და ბათუმის პორტის გავლით.

მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის ეკონომიკური დამოკიდებულება საქართველოზე. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანი წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ექსპორტიორ ქვეყანას, რომლის ეკონომიკა ძირითადად ამ რესურსებით ვაჭრობაზეა ორიენტირებული, რაც ეკონომიკის ნაკლებად დივერსიფიცირებაზე მიუთითებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი<sup>74</sup> და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი<sup>75</sup> აზერბაიჯანის საქართველოზე დამოკიდებულებას აჩვენებს. ასევე შეიძლება ითქვას ყულევის პორტისა (შექმნილია აზერბაიჯანული ნავთობის მომსახურების მიზნით) და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის შესახებ. აზერბაიჯანის და სომხეთის შავ ზღვაზე გასასვლელის არ ქონის გამო, დასავლეთთან და განსაკუთრებით თურქეთთან ვაჭრობაში

<sup>73</sup>ეკონომიკა. (20 დეკ. 2016). სომხეთი სატრანზიტო გაზსადენის საქართველოს მონაკვეთის აქციების 25%-ის გაყიდვის გამო ღელავს. <http://pia.ge/post/84275-nerviulobs> (9.06.2018).

<sup>74</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ოფიციალური ვებ. პორტალი <http://www.gogc.ge> (18.06.2018).

<sup>75</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ოფიციალური ვებ. პორტალი <http://www.gogc.ge> (29.06.2018).

საზღვაო გადაზიდვებით აზერბაიჯანის, ისევე, როგორც სომხეთის მხარე, საქართველოზეა დამოკიდებული.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დასავლეთისთვის საქართველო წარმოადგენს ჰარტლენდის<sup>76</sup> ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ ნიშას აზიისკენ ვაჭრობის უმოკლესი მარშრუტის გახსნისათვის. ამდენად, ყაზახეთსა და თურქმენეთს საკუთარი ენერგომატარებლების ექსპორტირების კუთხით ზუსტად იგივე ინტერესები და დამოკიდებულება გააჩნიათ საქართველოს სატრანზიტო მარშრუტზე რაც აზერბაიჯანს, თუმცა მათ, განსხვავებით აზერბაიჯანისგან, უფრო რბილი და ფრთხილი საუბრის ტონი აქვთ შერჩეული რუსეთის ფედერაციასთან. შუა აზიის ქვეყნები საკუთარი გეოგრაფიული უმწეობიდან გამომდინარე კვლავაც რჩებიან უძლურნი რუსეთის გეოპოლიტიკურ-გეოეკონომიკური ინტერესების წინაშე. ყაზახეთი გვევლინება ევრაზიული კავშირის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად, რომელიც უკვე სრულუფლებიანი წევრია აწ უკვე შექმნილი ევრაზიული საბაჟო კავშირის.<sup>77</sup> თურქმენეთი მაქსიმალურად ცდილობს გარკვეული ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს და რუსეთთან ფრთხილი ურთიერთობის პარალელურად დასავლეთთან აქტიური თანამშრომლობა აწარმოოს სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებზე. თუმცა, როგორც თურქმენეთს, ისე ყაზახეთს სურს გარკვეული ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება, როგორც ევროკავშირთან, ისე სწრაფად მზარდ ჩინურ ბაზართან და ამ საკითხების ფარგლებში

---

<sup>76</sup>სიტყვასიტყვით „შუაგული მიწა“. ერთ-ერთი ძირითადი ცნება გეოპოლიტიკაში. ტერმინის ავტორია კლასიკური გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ინგლისელი გეოგრაფი ჰ. მაკინდერი. მისი თეორიის მიხედვით (Weigert H., W. (1946). The American Scholar, Vol. 15, No. 1. New York, pp. 43-54) მსოფლიო ისტორიის „საყრდენი წერტილი“, „გეოგრაფიული ღერძი“ არის ტერიტორია, რომელიც აერთიანებს ცენტრალურ აზიას, ურალსა და ციმბირს. აღნიშნული სივრცე არის ევრაზიის (და ამიტომ მთელი მსოფლიოს) შუაგული, „ჰარტლენდი“, საიდანაც ცხენოსანი ლაშქარი აკონტროლებდა ევროპისა და აზიის სივრცეებს. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, ამ ტერიტორიის მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდა და ძალთა ბალანსი საზღვაო სახელმწიფოებისაკენ გადაიხარა. მაგრამ XIX ს-ის ბოლოდან იწყება ახალი, ე.წ. პოსტკოლუმბის ხანა, როცა სახმელეთო სახელმწიფოები იბრუნებენ უპირატესობას და ჰ-ის მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. იგი ფაქტობრივად მიუდგომელია საზღვაო სახელმწიფოებისათვის და გარს ორი კონცენტრირებული „ნახევარმთვარე“ აკრავს. აქედან შიდა ნახევარმთვარე აერთიანებს ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ინდოეთსა და ჩინეთს, ხოლო გარე ნახევარმთვარე – ამერიკის ორივე კონტინენტს, აფრიკას, ავსტრალია-ოკეანეთს, აგრეთვე იაპონიასა და დიდ ბრიტანეთს. ჰ-ის სტრატეგიულ მნიშვნელობას ემატება მისი უღვევი ბუნებრივი რესურსები. მაკინდერის „ჰარტლენდის თეორიის“ არსი ისაა, რომ საზღვაო სახელმწიფოებს (პირველ რიგში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს) არ დაეშვათ რუსეთისა და გერმანიის დაახლოება და მათ შორის პოლიტიკური ალიანსის შექმნის შესაძლებლობა. ვერსალის კონფერენციის თანახმად, ამ მიზანს ემსახურებოდა მთელი რიგი ბუფერული სახელმწიფოების ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. შემდგომში ჰ-ის ნეიტრალიზების იდეამ ევროატლანტიკური ალიანსის სახით იჩინა თავი, რომლის გამოხატულებაც ნატოს შექმნა იყო.

<sup>77</sup>ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ოფიციალური ვებ პორტალი <http://www.eaeunion.org/?lang=en> (14.07.2018).

საქართველოს ფაქტორი აღნიშნული სახელმწიფოებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ხდება.

რუსეთის ფედერაციისთვის საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას უმნიშვნელოვანესი გეოეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. საქართველოა სწორედ ის სახელმწიფო, რომლის კონტროლქვეშ მოქცევის შემდეგ შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, არამედ რეგიონის მეზობელ სივრცეზე საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის გატარების შესაძლებლობა. ამდენად რუსეთს არ სურს დასავლეთის მოძლიერება საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რასად ავტომატურად რუსეთი საკუთარი პოზიციების დათმობასთან აიგივებს.<sup>78</sup> რუსეთისთვის ენერგომატარებლების ტრანსპორტირების თვალსაზრისით საქართველო კონკურენტს წარმოადგენს, რადგან აზერბაიჯანული ენერგომატარებლები საქართველოს გავლით თურქეთში და იქედან ევროპაში გაედინება რუსეთის გვერდის ავლით. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს ცენტრალური აზიის ქვეყნების მიერ მოპოვებული ნავთობის ტრანზიტის მის ტერიტორიაზე მოხდეს და სატრანზიტოდ არ იქნას გამოყენებული სამხრეთ კავკასიური კორიდორი. გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, რუსეთის ფედერაციის გეოეკონომიკურ ინტერესს საქართველოს მიმართ ამჟამად ის, რომ საქართველოსთან შეთანხმების შემთხვევაში შესაძლოა რუსეთის ფედერაციამ პირდაპირი სახმელეთო კავშირი დაამყაროს ირანთან „აფხაზეთის“ (ი.დ.), საქართველოსა და სომხეთის გავლით.<sup>79</sup> როგორც ცნობილია სომხეთის რკინიგზა რუსეთის ფედერაციის მფლობელობაშია<sup>80</sup> და ამ მხრივ, რუსეთს პრობლემები არ გააჩნია, საქართველოსთან მიმართებაში კი გარკვეული სამუშაოების ჩატარება სჭირდება. რუსეთის ფედერაციის ამგვარი კავშირი ირანთან და ზოგადად ახლო აღმოსავლეთთან მათ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს და რუსეთისთვის ახლო აღმოსავლეთში

<sup>78</sup>რონდელი, ა. (2003). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი, გვ. 107-109.

<sup>79</sup>კუჭუხიძე, გ. (2013). რა შეიძლება მოჰყვეს სოხუმი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო ხაზის აღდგენას - გეოპოლიტიკა რეესებზე. <http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=34&rubr=0&mas=1744> (26.07.2018).

<sup>80</sup>Concession Agreement on The Transfer of The Armenian Railway System to the “South – Caucasus Railway” Closed Joint Stock Company Created by “Russian Railways” Closed Open Joint Stock Company., (13 Feb. 2008). <http://ppp.worldbank.org> (30.07.2018).

პოზიციების გამყარებისთვის პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების კარგი საფუძველი შეიძლება გახდეს.

წინა საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში შემოსვლას იწყებს დასავლური და თურქული კაპიტალი, რაც თანდათანობით რუსული გავლენის შესუსტებას იწვევს. დღეისათვის რეგიონში მიმდინარე პროცესები დიდი სახელმწიფოების მიერ პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლის გამო ხატულდება. ბოლო დროის ტენდენციების გათვალისწინებით, თურქეთი საერთაშორისო ასპარეზზე და თავის რეგიონშიც გამოდის, როგორც თვითმყოფადი ინტერესებისა და ამბიციური მიზნების მქონე ძლიერი სახელმწიფო. მისი გეოეკონომიკური ინტერესი ძალზედ დიდია სამხრეთ კავკასიის მიმართ. განსაკუთრებით აზერბაიჯანზე, რომელსაც საქართველოს მეშვეობით უკავშირდება და ჩართულია იმ მილსადენების პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ აზერბაიჯანული ენერგომატარებლების მიღებას საქართველოზე ტრანზიტით. რომ არა სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობის კოლაფსი თურქეთთან და კონფლიქტური ურთიერთობა აზერბაიჯანთან, ზემოაღნიშნული მილსადენების სომხეთზე გავლა, სპეციალისტების აზრით,<sup>81</sup> გაცილებით უფრო ნაკლებ დანახარჯებს გამოიწვევდა. თურქეთი თავიდანვე აქტიურად ცდილობდა თავისი მიზნის მიღწევას - აზერბაიჯანში მოპოვებულ ნავთობს გაეგლო თურქეთის ტერიტორიაზე და გადამუშავებულიყო თურქეთის ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებში, ხოლო შემდგომ მისი პორტებიდან მზა საწვავი უკვე დასავლეთის მიმართულებით წასულიყო. კასპის პროექტებთან დაკავშირებით ატეხილმა სანავთობო ბუმმა კიდევ უფრო დააახლოვა თურქეთი აზერბაიჯანსა და საქართველოსთან. ამჟამად, საქართველოს მიერ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის არსებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე.<sup>82</sup>

<sup>81</sup>Ziyadov, T. (2004). (The Baku-Ceyhan Pipeline and its Potential Impact on Turkish-Russian Relations. Crissma Working Paper, N.3. Ankara, pp. 26-28.

<sup>82</sup>ჯავახიშვილი, რ. (2009). საქართველოს სატრანზიტო-სერვისული ფუნქცია, საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, №1. თბილისი, გვ. 49.



თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანია კავკასიის ენერგო-დერეფნის ფუნქცია, რომელიც ენერგო-რესურსებით მდიდარ კასპიის ზღვის აუზს ევროპასთან აკავშირებს. თურქეთის პოლიტიკის შედეგიანობაზე უკვე განხორციელებული პროექტები და ამ პროექტების მომავალი პერსპექტივები მეტყველებს. აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა. ის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენთან ერთად, მსოფლიოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს, რადგან კასპიის ზღვის აუზიდან რუსეთის გვერდის ავლით აწვდის ევროპას ენერგო-რესურსებს. არანაკლები ფუნქციური დატვირთვა აქვს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც ჩინეთისა და ყაზახეთის ჩართვის შემთხვევაში კონკურენციას გაუწევს რუსეთზე გამავალ ტრანსციმბირულ მაგისტრალს. მას „რკინის აბრეშუმის გზასაც“ კი უწოდებენ. თურქეთს, მსგავს პროექტებში ჩართულობა არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოს სტატუსს ანიჭებს. თურქეთის მიერ თავის გარშემო კეთილმეზობლური წრის შეკვრა ამყარებს მის პოზიციებს რეგიონში. აზერბაიჯანის პროთურქული პოლიტიკა უკვე ტრადიციადაა ქცეული. საქართველოსა და თურქეთს შორის კი საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ბოლო ათწლეულის მანძილზე. ის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია ვაჭრობაში (საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 1.5 მილიარდს აჭარბებს)<sup>83</sup>. გარდა ამისა, საყურადღებოა ორმხრივი და სამმხრივი ხელშეკრულებები: ღია საზღვრები, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება<sup>84</sup>, კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პაქტი და ახლახანს გაფორმებული „ტრაპზონის დეკლარაცია“<sup>85</sup>. თურქეთის მასშტაბებისა და სამხედრო თუ პოლიტიკური წონის გათვალისწინებით გრძელვადიან პერსპექტივაში მოცემული მდგომარეობა ამ ქვეყანას უპირატესობას ანიჭებს რეგიონში, რადგან ზრდის შედარებით პატარა ქვეყნების მასზე

<sup>83</sup>საქართველოს სტატისტიკის ევროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ. პორტალი. <http://geostat.ge> (15.10.2018).

<sup>84</sup>საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ. პორტალი. <https://www.matsne.gov.ge/> (9.09.2018).

<sup>85</sup>Trabzon Declaration - „ტრაპზონის დეკლარაცია“.

დეკლარაცია სამი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისკენაა მიმართული და მოიცავს ეკონომიკური, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურის, კულტურისა და ჰუმანიტარულ სფეროებში პარტნიორობას. ხელშეკრულების ფარგლებში ხელი მოეწერა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმას.

დამოკიდებულების ხარისხს. ეკონომიკური აქტიურობის ფონზე თურქეთის გავლენა განუხრელად იზრდება სამხრეთ კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ მას ძლიერი შეიარაღების, სწრაფი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონზე სურვილი აქვს თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს ეს რეგიონი. მსგავსი მცდელობა შესაძლოა მისი გრძელვადიანი პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყოს და პანთურქული<sup>86</sup> იდეოლოგიასთანაც კი აღმოაჩნდეს საერთო. ამჟამინდელი თურქეთის შესაძლებლობები კარდინალურად შეცვლის ევრაზიულ პოლიტიკურ არქიტექტურას. თუმცა, სანამ მისი მსგავსი მიზნები რეალობად იქცევა, აუცილებლად მოუწევს კონკურენცია გაუწიოს რუსეთს. აქვს თუ არა თურქეთს ამისათვის საკმარისი ძალა და რესურსები? – საკმაოდ საეჭვოა. უფრო სავარუდოა, რომ ის სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკურ ლიდერად დარჩეს და არ შეეცილოს რუსეთს პოლიტიკურ ძალაუფლებაში. ამდენად, სამხრეთ კავკასიაში საკუთარი ინტერესების დაცვისათვის გამორჩეულია, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება, მაგრამ ცივი ომის დასრულების შემდეგ, რუსეთი და თურქეთი აქტიურ ეკონომიკურ პარტნიორებად მოგვევლინენ. მათი ეკონომიკური თანამშრომლობის დონე ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, ორ ქვეყანას შორის სერიოზული დაპირისპირება მაინც არსებობს: თურქეთი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ ზონებში დსთ-ის სამშვიდობო ძალების, საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლებას მოითხოვს, რაც რუსეთის გავლენის სფეროში შეჭრის ტოლფასად აღიქმება; დაპირისპირება მილსადენების მარშრუტების გამო: რუსეთი ბაქო-ნოვოროსიისკის, თურქეთი კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს უჭერს მხარს; რუსეთი შემფოთებულია შავ ზღვაში თურქეთის საზღვაო ფლოტის გაძლიერებით, მას შემდეგ, რაც შავი ზღვის ყოფილი საბჭოთა ფლოტი შესამჩნევად დასუსტდა; რუსეთი ირანს სამხრეთ კავკასიაში თურქეთის კონტრძალად მოიაზრებს, რაც თურქეთის უკმაყოფილების მიზეზია; თურქეთი სომხეთში რუსული სამხედრო ბაზების არსებობას საფრთხის წყაროდ განიხილავს. თავის მხრივ, რუსეთი უკმაყოფილოა თურქეთის სრუტეებზე ანკარას მიერ შემუშავებული პოლიტიკით, რაც კასპიური ნავთობით

---

<sup>86</sup>პანთურქიზმი (პანთურანიზმი) - საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აზერბაიჯანსა და თურქეთში, რომელიც მიზნად ისახავს ყველა თურქი ხალხის კულტურულსა და პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი, საერთო სახელმწიფოს, ან კონფედერაციის შიგნით.

დატვირთული ტანკერების გასვლას ზღუდავს. ქვეყნებს შორის მრავლად არის სხვა სახის დაპირისპირებაც, რაც ხელს არ უშლის მათ ეკონომიკურ თანამშრომლობას. სწორედ ამით არის აღსანიშნავი ორი ქვეყნის ურთიერთობა. მაგრამ, უდავოა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თურქეთთან რაიმე სახით თანამშრომლობის პერსპექტივით არ იხიბლება. რუსეთი სამხრეთ კავკასიას დღესაც თავისი მონოპოლიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს, სადაც სხვა სახელმწიფოების შესვლა რუსეთის მხრიდან სერიოზული საფრთხის წყაროდ განიხილება. თუმცა, როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, კავკასიაში აშშ-ის სახით ახალი ძალა იწყებს დამკვიდრებას.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს ბუნებრივი აირი (გაზი) ასრულებს, რომელიც რეგიონში დიდი პოლიტიკური თამაშის ელემენტი გახდა. რუსული გაზის საკითხი უშუალოდ უკავშირდება იმ მილსადენების ბედს, რომელმაც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე უნდა გაიაროს. ამ მხრივ, საყურადღებოა „ცისფერ ნაკადად“<sup>87</sup> მონათლული გაზსადენი, რომელმაც რუსეთის შავიზღვისპირა პორტ ჯუზგადან თურქულ პორტ სამსუნამდე უნდა გაიაროს და შემდეგ ანკარამდე გაგრძელდეს. გაზსადენის სიგრძე 750 მილია. ამ პროექტზე საუბარი 1997 წლის დეკემბერში დაიწყო, რომლის წარმატება უდიდეს დარტყმას მიაყენებს აშშ-ს ინტერესებს რეგიონში და მის მოკავშირეებს სამხრეთ კავკასიაში, საქართველოსა და აზერბაიჯანს. რუსეთის მთავრობას „ცისფერი ნაკადის“ პროექტის განხორციელება პრიორიტეტად აქვს დასახული, რადგან მისგან გამომავალი შედეგები ეკონომიკურის მიღმა პოლიტიკურიცაა. აშშ-ს მხარე თურქეთს აფრთხილებს, რომ რუსეთი გაზსადენით მასზე ზეწოლის ძლიერ ბერკეტს შეიძენს, რაც ამავე დროს, ფაქტობრივად, სერიოზულ პრობლემას შეუქმნის ტრანსკასპიურ გაზსადენის პროექტს (თურქმენული გაზი), სადაც ქართული მონაკვეთი საკვანძო ადგილს იკავებს. თუმცა, ამერიკული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთი აქტიურად ცდილობს თავისი გაიტანოს და აღნიშნული პროექტი რეალობად აქციოს, მიუხედავად ფინანსური და ტექნიკური პრობლემებისა. რუსეთს „ცისფერი ნაკადით“ თურქმენული და ყაზახური ნავთობის თურქეთსა და სამხრეთ

---

<sup>87</sup>გაზპრომ ექსპორტი. <http://www.gazpromexport.ru/en/projects/1/> (12.09.2018).

ევროპაში ექსპორტიც შეუძლია, რაც რეგიონში რუსეთს ენერგორესურსების ტრანსპორტირების ქსელზე კონტროლის მძლავრ მექანიზმებს მოუპოვებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „ცისფერი ნაკადის“ პროექტი ეკონომიკური მიზნების გარდა, პოლიტიკურსაც ისახავს. მისი განხორციელება რუსეთს საშუალებას მისცემს ეკონომიკურად გაბატონდეს კასპიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში: თურქეთი თავისი გაზის ექსპორტის „ტყვედ“ აქციოს, რაც თურქეთს მუდმივად აიძულებს რუსეთთან გარკვეულ გარიგებებზე წავიდეს. საქართველოსა და აზერბაიჯანს კი ტრანსკასპიური გაზსადენით მისაღებ პოტენციურ შემოსავალს დაუკარგავს, რაც ამ ქვეყნებისთვის ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.

საქართველო ირანისათვის სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ქვეყანაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა მოხერხდეს ირანული გაზის ტრანსპორტირება ევროპაში. ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ აგებულია და ფუნქციონირებს პრაგმატიზმისა და რეალპოლიტიკის, ისტორიული გამოცდილებისა და რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნების ბაზაზე. თავისი გავლენის გაძლიერებისათვის, ირანის მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება დიპლომატია, ეკონომიკური ურთიერთობები. ირანი ცდილობს ხაზი გაუსვას თავის ენობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ცდილობს ამით გააძლიეროს საკუთარი პოზიციები. ირანის მიმდინარე საგარეო პოლიტიკის მიზნები არ განისაზღვრება მხოლოდ კულტურული ფაქტორით. მიუხედავად იმისა, რომ ირანი ცდილობს თავის დამკვიდრებას, როგორც რეგიონული ძალა, მას კარგად ესმის, რომ ამ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობები არ აძლევს ამის საშუალებას და ის მხოლოდ აკვირდება საგარეო გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, მისი რეგიონული პოლიტიკა ფრთხილი და დაბალანსებულია. ირანის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიდგომა სამხრეთ კავკასიისადმი უფრო პრაგმატულია, ვიდრე იდეოლოგიური. იგი ეფუძნება ეთნიკურ-რელიგიურ კუთვნილებას და ორიენტირებულია პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, რათა არ მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება რეგიონში, რომელმაც შეიძლება აშშ-ის, ევროკავშირისა და NATO-ს პოზიციები

გააძლიეროს. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში ირანის გავლენა გაცილებით სუსტია, ვიდრე დასავლეთისა ან თურქეთის, ირანი მხარს უჭერს რუსეთის გავლენის შენარჩუნებას ამ რეგიონში ძალთა ბალანსის დაცვის მიზნით. ამავე დროს ირანი მაქსიმალურად ცდილობს ეკონომიკური პროექტების განხორციელებით გააძლიეროს საკუთარი გავლენის სფეროები საქართველოში. ერთ პერიოდში, თეირანთან ბირთვულ პროგრამასა და დასავლეთის მიერ სანქციების მოხსნასთან დაკავშირებული შეთანხმების მიღწევის შედეგად, ირანის და დასავლეთის ურთიერთობებში ნორმალიზაცია დაიწყო. აშკარაა, რომ ის დადებითად აისახა ირან-სომხეთ-საქართველოს სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატზე. ბირთვულ პროგრამაზე წარმატებულ მოლაპარაკებებს და შედეგად, ირანის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციების დიდი ნაწილის მოხსნას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი სამხრეთ კავკასიისათვის არამხოლოდ საქონელბრუნვის, ეკონომიკური აქტივობისა და ირანული ინვესტიციების კონტექსტში. ირანისთვის, ისევე როგორც სომხეთისა და საქართველოსთვის ზემოაღნიშნულ ფაქტს შეიძლება გეოპოლიტიკური, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული ახალი, მასშტაბური პროექტების განხორციელების თეორიული შესაძლებლობა გაეჩინა, თუმცა საერთაშორისო სანქციების ახალმა ტალღამ ირანის პოზიციონირების კონტურები კვლავ შეცვალა კავკასიაში. ირანის სურვილი განეხორციელებინა სომხეთის მიმართულებით ახალი საავტომობილო მაგისტრალის „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ მშენებლობა, რომელიც ირანის საავტომობილო სისტემასთან მიერთების შემთხვევაში სომხეთისთვის ბათუმის პორტსა და სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარე ბანდარ აბასის პორტს შორის უმოკლეს და მოსახერხებელ დამაკავშირებელ გზას შექმნიდა - შეჩერდა. ირანული პორტი ბანდარ აბასი წარმოადგენს ქართული პორტების: ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელოვან ალტერნატივას ჩინეთიდან და ზოგადად შორეული აზიის ქვეყნებიდან სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქმენეთში მიმავალი ტვირთების ტრანსპორტირებაში, რადგან ტრანზიტული დრო და გადაზიდვის ღირებულება გაცილებით უფრო კონკურენტულ პოზიციაში აყენებს ბანდარ აბასის გავლით ტვირთმფლობელებს, ვიდრე ქართული ტრანსკავკასიური კორიდორის გამოყენების

შემთხვევაში შესაძლოა ესარგებლათ. ამდენად, საერთაშორისო სანქციების პირობებში ქართული პორტები ბანდარ აბასის სანქცირების პირობებში უფრო მეტი ტვირთნაკადების მიღების პერსპექტივის წინაშე დგებიან. მიუხედავად სანქციებისა, მხარეები სერიოზულად განიხილავენ ირანული გაზის სომხეთის გავლით საქართველოსთვის და შემდგომ შავი ზღვის ფსკერით მისი ევროკავშირისთვის მიწოდებას. არსებობს იდეები საქართველოში ე.წ. „სომხური მილსადენით“ რუსული გაზის სვოპური მიწოდების პროექტით ირანული გაზის პროექტზე რუსეთის მიერთების და ირანის მხრიდან სომხეთისათვის ანალოგიური მოცულობების ანაზღაურების შესახებ. რუსეთის ჩართულობა ასევე განიხილება ირანი-სომხეთის სარკინიგზო ქსელის მშენებლობის შესაძლო პროექტებში, რომლებიც ფინანსური სიძვირიდან გამომდინარე, ჯერჯერობით მხოლოდ მიმზიდველ იდეად რჩება.

დასავლეთის გეოეკონომიკურ ინტერესს საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მიმართ წარმოადგენს აზერბაიჯანული და ცენტრალური აზიის ქვეყნების ნავთობის/ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანზიტით მიწოდების წყაროების დივერსიფიცირება, რათა ერთი მხრივ, ევროპამ შეამციროს მისი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე და მეორე მხრივ, შეერთებულმა შტატებმა შეამციროს დამოკიდებულება სპარსეთის ყურეში მოპოვებულ ნავთობზე.

აშშ-ს რეგიონში რამდენიმე მიზანი ამოძრავებს: 1. აშშ-ს, რომელსაც ნავთობი პოლიტიკურად არასტაბილური სპარსეთის ყურიდან შემოაქვს, სურს შექმნას ალტერნატიული წყარო კავკასიისა და შუა აზიის რეგიონის სახით ანუ მოახდინოს მიწოდების არხების დივერსიფიცირება რისკების გადანაწილების მიზნით; 2. აშშ-ს გააჩნია თავისი კომერციული ინტერესები ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავების საქმეში. ამერიკულ მხარეს მიაჩნია, რომ საკუთარი კომპანიების შესვლა რეგიონში ხელს შეუწყობს რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების სწრაფ და ეფექტიან გატარებას და საბოლოოდ რეგიონის ინტეგრაციას მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში.<sup>88</sup> ამერიკული კომპანიების შეღწევას, რასაც თან ახლავს მსხვილი ინვესტიციები და ტექნოლოგიური

---

<sup>88</sup>Croissant, M., P. (2007). U.S. Interests in the Caspian Sea Basin. Washington, pp. 358-360. <https://www.tandfonline.com> (7.05.2018).

სიახლის დანერგვა, აუცილებლად მოჰყვება ამერიკის მთავრობის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაც; 3. ეს არის რეგიონის სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა. ამერიკელთა აზრით, როგორც ნავთობით მდიდარი ქვეყნების, ასევე სატრანზიტო ქვეყნის - საქართველოსთვის ნავთობი ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი საწინდარი გახდება. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მიმართ დასავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოს სახით ჰყავდეთ სტაბილური მოკავშირე და საყრდენი, მძიმე სამხედრო საშუალებების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ერაყსა და ავღანეთთან საომარი ურთიერთობის პირობებში.

ზემოთ წარმოდგენილ დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად აუცილებელია გავაანალიზოთ ისეთი ქვეყნის პოტენციურად მზარდი გეოეკონომიკური ინტერესი, როგორცაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. უკანასკნელ წლებში ჩინეთი გახდა ერთ-ერთი სერიოზული მოთამაშე. ეკონომიკური ზრდა ჩინეთში განაპირობებს მოთხოვნის ზრდას ენერგეტიკულ რესურსებზე და საექსპორტო ბაზრების სწრაფ ათვისებაზე. ჩინეთში ნავთობის წარმოება წელიწადში დაახლოებით 160 მლნ ტონას შეადგენს, მაგრამ მისი მოთხოვნილება ბევრად აღემატება ნავთობმოპოვებას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა საშუალოდ 15-20%-ით იზრდება.<sup>89</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასპიის რეგიონში მიმდინარე სანავთობო პროექტებმა მადა ჩინეთსაც გაუღვიძა. ამდენად, საქართველოს მომავალი მნიშვნელოვანწილად დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის, ანუ როგორც განედის, ისე მერიდიანის მიმართულებით საკომუნიკაციო ღერძებზე გეოეკონომიკური ფუნქციების რეალიზაციით განისაზღვრება.<sup>90</sup> თუმცა, გარდა კასპიური ნავთობის მიმართ ინტერესისა, ჩინეთს ძალიან დიდი მიზნები და გეგმები გააჩნია საქართველოსა და ზოგადად ტრანსკავკასიური სატრანზიტო კორიდორის ათვისებაში, რათა მან დასავლეთისკენ საკუთარი მიწოდების გზების დივერსიფიცირება მოახდინოს.

<sup>89</sup>China. (14 May. 2015). U.S. Energy Information Administration. <https://www.eia.gov/> (28.06.2018).

<sup>90</sup>ისმაილოვი, ე., პაპავა, ვ. (2007). ცენტრალური კავკასია -გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, გამომც. „დიოგენე“. თბილისი, გვ. 98.

ამდენად, ჩინეთის მიერ შემოთავაზებული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფცია არის მნიშვნელოვანი, რადგან ის აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნების განვითარების პოლიტიკას ერთი პლატფორმის ქვეშ და სხვადასხვა ქვეყნების კონკურენტულ უპირატესობებს ათავსებს ერთმანეთთან. აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა – ასევე ცნობილი როგორც “ერთი სარტყელი, ერთი გზა” (OBOR) გახლავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ევრაზიის კონტინენტზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას.<sup>91</sup>

ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი მოიცავს ზემოთ ნახსენები ისტორიული აბრეშუმის გზის ქვეყნებს ცენტრალურ აზიაში, დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გაფართოება. გარდა გზის ისტორიული ქვეყნებისა, პროექტი ასევე მოიცავს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. პროექტის თანახმად, ახალი აბრეშუმის გზა ცენტრალური ჩინეთიდან, სიანიდან დაიწყება, შეუერთდება განსუს პროვინციის დედაქალაქ ლანჯოუს, გაგრძელდება სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში და ხორგასში, საიდანაც გადადის ყაზახეთისა და თურქმენეთის გავლით და იყოფა ორ განშტოებად: ერთი მიდის ირანის ჩრდილოეთით, საიდანაც გრძელდება ერაყში, სირიასა და თურქეთში. სტამბულიდან ბოსფორის სრუტის გავლით გადადის ევროპაში – ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და გერმანიაში. გერმანიაში დუისბურგიდან გრძელდება ნიდერლანდებში (როტერდამი), იქედან კი იტალიაში (ვენეცია), სადაც უერთდება ამავე პროექტის მეორე განშტოებას – 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას. ხოლო მეორე განშტოება გადის კასპიის ზღვაზე, აზერბაიჯანისა და საქართველოს ანუ ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის გავლის შემდგომ, შავი ზღვით უკავშირდება რუმინეთისა და ბულგარეთის პორტებს კონსტანცას და ვარნას. პორტების შემდგომ სახმელეთო მარშრუტებით ვრცელდება დანარჩენ ცენტრალურ და დასავლურ ევროპულ ქვეყნებში. ზემოაღნიშნული მარშრუტიდან

---

<sup>91</sup>საქართველო და „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. <http://ge.china-embassy.org/eng/xwdt/t1434029.htm> (19.04.2018).



ყველაზე მოკლე სწორედ ქართულ სატრანზიტო დერეფანზე გადის. ამდენად, ჩინეთის ინტერესი ქართულ სატრანზიტო ფუნქციის ათვისებაზე ძალზედ დიდია, საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის მისაღწევად მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს დასავლური ბაზრის ექსპანსია გამარტივებული და სწრაფი მიწოდების ჯაჭვების სისტემების ფორმირებით.

ჩინეთის ინტერესი საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მიმართ არც ახალია და არც მოულოდნელი, მაგრამ ჩინეთი არასდროს არ განიხილავდა ამ რეგიონს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე კი, შეიძლება საქართველო და ტრანსკავკასიური სატრანზიტო კორიდორი ჩინეთის გეგმებში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლად მოგვევლინოს.

ჩინეთსა და საქართველოს შორის მეოცე საუკუნის მიწურულს **ვაჭრობის** ბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ 4 მლნ. ამერიკულ დოლარამდე შეადგენდა. თუმცა, ბოლო წლებში ჩინეთის დაინტერესება ჩვენი ქვეყნით მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ კი უკანასკნელ სტატისტიკას გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ ჩინეთი უკვე საქართველოს ნომერ მესამე სავაჭრო პარტნიორად მოგვევლინა, თურქეთის და აზერბაიჯანის შემდეგ. რთულია ვივარაუდოთ თუ როდის გადაწყვიტა ჩინეთმა თავის ამბიციურ გეგმებში საქართველოს ჩართვა, რადგან თვადაპირველ გეგმაში ქართული მონაკვეთი არ არსებობდა და მხოლოდ ირანის ჩრდილოეთის ნაწილის გავლით თურქეთის მეშვეობით აპირებდა ევროპულ ბაზარზე შეღწევას. უმთავრესი მიზეზი ალბათ ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობაშია, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საუკეთესო ხიდი, ამასთანავე, დამატებით პლუსად ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაც შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ჩინეთის გეგმის ერთ-ერთი პუნქტი ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი რკინიგზების მშენებლობას გულისხმობს. ჩინეთის ეკონომიკის „დადმასვლის ფონზე“ კი უკვე გამზადებული, დამაკავშირებელი რკინიგზა აზიასა და ევროპას შორის ჩინეთისთვის ნამდვილად მიმზიდველია.

ჩინური მხარე, ვიდრე ქართულ მონაკვეთზე მოახდენდა ფოკუსირებას, აღნიშნული პროექტის ფარგლებში საყრდენად ევროპაში ბელორუსი და უნგრეთი მიიჩნეოდა.

სწორედ ამ ორ ქვეყანას თვლიდა ჩინეთი დამაკავშირებელ ხიდად, მაგრამ როგორც ჩანს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით უფრო მოხიბლული დარჩა, გარდა ამისა თუ ბელორუსში და უნგრეთში მას საკმაოდ დიდი ინვესტიციის განხორციელება უწევდა სარკინიგზო სისტემისთვის, საქართველოში მას უკვე გამზადებული ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი დახვდა, თანაც, როგორც აღმოჩნდა, ჩინეთიდან საქართველოში ტვირთის ტრანსპორტირებაც უფრო სწრაფად ყოფილა შესაძლებელი. ჩინელებმა ასევე ძალიან კარგად იციან, რომ საქართველომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერა ხელი, რაც საშუალებას მისცემს ჩინურ კომპანიებს, საქართველოს გავლით გაიტანონ თავიანთი პროდუქცია ევროპულ ბაზარზე ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ამდენად, ჩინური ინვესტიციების შედეგად, საქართველო შესაძლოა გახდეს ჩინეთისთვის ახალი აბრეშუმის გზის პროექტის დასაყრდენი და უმთავრესი ხიდი. ამრიგად, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ჩინური მხარის მთავარი ინტერესი ამ პროექტის განხორციელებაა, თანაც შედარებით ნაკლები დანახარჯებით.

1994 წელს „საუკუნის კონტრაქტის“<sup>92</sup> ხელმოწერისათვის მომზადდა ოთხი სატრანზიტო მარშრუტი, რომლითაც უნდა მომხდარიყო კასპიის აუზში მოპოვებული ენერგომატარებლების ტრანსპორტირება, ესენია: სამხრეთ-აღმოსავლეთის გზა ირანი-თურქეთის გავლით; სამხრეთ-დასავლეთის გზა სომხეთის-თურქეთის გავლით; ჩრდილოეთის გზა რუსეთის გავლით (ბაქო-გროზნო-ნოვოროსისკი); დასავლეთის გზა საქართველოს გავლით.

საერთაშორისო სანავთობო კონსორციუმმა ირანული ვარიანტი, სადაც აშშ-ის კომპანიებს აქციათა უდიდესი წილი 44% ეკუთვნოდა, დაიწუნა. უარყოფილ იქნა სომხეთის ვარიანტიც სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამო. არც ჩრდილოეთის ვარიანტი იქნა მოწონებული, რომლის მიხედვით აზერბაიჯანული, თურქმენული და

---

<sup>92</sup>„საუკუნის კონტრაქტის“ - იგულისხმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული შეთანხმება, რომელიც საქართველო, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის დაიდო. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სიტყვა აზერბაიჯანის დედაქალაქის მახლობლად სანგაჩალის სანაპირო ტერმინალზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საქსპორტო მილსადენის სამირველის ჩაყრასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ცერემონიაზე - 2002 წლის 18 სექტემბერი. გადათარგმნილია გაზეთიდან “ბაკინსკი რაზოჩი“, (19 სექ. 2002). <http://lib.aliyevheritage.org/ge> (23.11.2017).

ყაზახური მილსადენები რუსეთზე უნდა გასულიყო, რაც აშშ-ის აზრით, რეგიონში რუსეთის ბატონობას გამოიწვევდა. თუმცა აშშ იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა რუსული ინტერესი და საბოლოოდ მილსადენები წამოვიდა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის გავლით ნოვოროსისკის პორტამდე. ვინაიდან, კასპიის ნავთობის ათვისებასა და მის შემდგომ ტრანსპორტირებას ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ტექნოლოგიური ასპექტების გარდა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნდა, ყველაზე ოპტიმალურ მარშრუტად შეირჩა დასავლეთის გზა, რომელიც საქართველოზე ტრანზიტს გულისხმობდა. კასპიის ზღვის რეგიონი მოიცავს მსოფლიო ნავთობის რეზერვების 3-4%. (ახლო აღმოსავლეთი 65%) და მსოფლიო გაზის რეზერვების 5-6% (ახლო აღმოსავლეთი 34%).<sup>93</sup> კასპიის აუზის წილი ნავთობისა და გაზის გლობალურ რეზერვებში უმნიშვნელოა, თუმცა სპარსეთის ყურის ნავთობის მიწოდების რისკიანობიდან გამომდინარე და ასევე რუსეთის მიერ ენერგო მატარებლების პოლიტიკურ ხელსაწყოდ გამოყენების თავიდან ასაცილებლად კასპიური და ცენტრალურ აზიური (ყაზახეთი და თურქმენეთი) ენერგო მატარებლების დასავლეთისთვის ყველაზე ოპტიმალური სატრანსპორტო მარშრუტი სწორედ კავკასიაზე და კერძოდ, საქართველოზე გადის. ამჟამად, სწორედ ეს ფაქტი ქმნის საქართველოს სატრანზიტო დერეფანს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სივრცედ ქვეყნის გეოეკონომიკური პოზიციონირებისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, თუ კომპლექსურად დავინახავთ და გავაანალიზებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, აქედან გამომდინარე შევაფასებთ მის ისტორიულ ფუნქციასა და გამოცდილებას, პოლიტიკურ მნიშვნელობას მეზობელი და საერთაშორისო ფაქტორებისათვის და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მსგავსად პატარა ქვეყნები დიდ სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებულნი: „ეკონომიკურად სუსტი პატარა ქვეყანა ხშირად ამა თუ იმ ძლიერ ქვეყანაზე ხდება დამოკიდებული, რომლისგანაც ფინანსურ- ეკონომიკურ მხარდაჭერას იღებს. საპასუხოდ კი ძლიერი ქვეყანა მისგან პოლიტიკურ მხარდაჭერას მოითხოვს

---

<sup>93</sup>ენერგო ინფორმაციის ადმინისტრაცია. <http://www.eia.gov/> (17.06.2018).

ხოლმე“.<sup>94</sup> პატარა ქვეყნის ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანია ვიწრო საექსპორტო სპეციალიზება, რადგან სამამულო ეკონომიკას არ შეუძლია მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოება. ამდენად, როგორც წესი, პატარა ქვეყნებში ისეთი დარგებია განვითარებული, რომლებშიც მას შედარებითი უპირატესობა აქვს მოპოვებული. ამგვარი უპირატესობა მას შეიძლება შეუქმნას გარკვეულმა ბუნებრივმა წიაღისეულმა, იაფმა ან კვალიფიციურმა მუშახელმა, მომსახურების რომელიმე სახეობამ ან ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ. როგორც ჩანს ზემოთჩამოთვლილ მიმართულებათაგან ქვეყნის უპირატესობა იკვეთება სწორედ მის სატრანსპორტო შესაძლებლობებსა და სატრანზიტო ფუნქციაში. ამდენად, საქართველოს გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებასთან შესაძლოა განპირობებული იყოს გეოგრაფიული განფენილობით, ქვეყნის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურით, ისტორიული გამოცდილებით, ეკონომიკური შესაძლებლობებით, არსებული მსოფმხედველობითი სპეციფიკითა და ეთნოფსიქოლოგიით, რელიგიური მრწამსითა და მიკუთვნებულობით (დანართი 2).

საქართველოს გეოეკონომიკური პოზიციონირების მთავარ ამოსავალ წერტილს, რომ სატრანზიტო ფუნქცია წარმოადგენს მტკიცდება შიდა რეგიონული, გარე რეგიონული და საერთაშორისო მოთამაშეების გამძაფრებული სატრანსპორტო-ეკონომიკური ინტერესებით საქართველოს მიმართ და ამის მტკიცებულებაა ყველა ის საერთაშორისო პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გამოყენებასთან, რომელიც უზრუნველყოფს დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის დაკავშირებას ნავთობისა და მშრალი ტიპის ტვირთების ტრანზიტში. ამდენად, თუ კი ქვეყნის გეოეკონომიკური პოზიციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოს გლობალურ ეკონომიკურ სისტემებში/ბაზრებში ინტეგრირების ხარისხზე, შესაბამისად, გეოეკონომიკური სტრატეგია გვევლინება, როგორც საკუთარი ნიშის დამკვიდრებისათვის გლობალურ ბაზრებზე ინტერვენციის საშუალება. საერთაშორისო

---

<sup>94</sup>რონდელი, ა. (2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. „GFSIS“. თბილისი, გვ. 200.

სისტემაში არსებობს ისეთი მაგალითები შვეიცარიის, ტაივანი, სინგაპური, დანიის, კუვეიტის, ისრაელის და ა.შ სახით, რომლებმაც მოახერხეს საკუთარი სტატუსის - „პატარა ქვეყანა“-ს მიუხედავად წამყვან სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. ამგვარი ვითარება იმაზე მიგვითითებს, რომ ქვეყნის ზომას მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს (თუმცა ადრე ამის საწინააღმდეგო აზრი იყო მიღებული)<sup>95</sup>. ამჟამად, საქართველოს გოეკონომიკური პოზიციონირების ფორმირების უმთავრესი წინაპირობა სწორედ მისი გეოგრაფიული განფენილობა და მასზე შექმნილი სატრანსპორტო შესაძლებლობები წარმოადგენს. ამას ემატება არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა რეგიონში და საერთაშორისო ასპარესზე, არსებული კონფლიქტური ზონები, ისტორიული გამოცდილება სატრანზიტო მარშრუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ეკონომიკური ინტერესები საქართველოზე, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის მიმართ.

მოცემულ თავში შემოთავაზებული ანალიზის შედეგად მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვამთ მიგნებას, რომელიც ამტკიცებს, რომ გეოეკონომიკა როგორც დარგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გეოგრაფიის, ეკონომიკის, ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების სინთეზი. იგი ქმნის იმგვარ ეკონომიკურ პოლიტიკას შიდა რეგიონულ, გარე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რომელიც საკუთარ ფიზიკური საზღვრებს გარეთ, გეოგრაფიულ სივრცეში კონკურენტუნარიანი პოზიციონირების საშუალებას იძლევა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. ანალიზის შედეგად ასევე ვასკვნით, რომ ნებისმიერი ტიპის ქვეყნისთვის საკუთარი სახელმწიფოს გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებას განსაზღვრავს ოთხი ძირითადი ფაქტორი: პოლიტიკური კონიუნქტურა, გეოგრაფიული განფენილობა, ეკონომიკური შესაძლებლობები და ისტორიული გამოცდილება. თავში განხილული თეორიული საფუძვლები გაანალიზებით ვასკვნით, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სწორედ სახელმწიფოთა გეოეკონომიკური სტრატეგიების ფორმირების შედეგია. ეს უკანასკნელი კი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს სახელმწიფოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთელ

---

<sup>95</sup>რონდელი, ა. (2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი, გვ. 190.

კომპლექსზე და მათ შორის სატრანზიტო ფუნქციისა და კორიდორების ფორმირებასა და მათ შემდგომ განვითარებაზე. გეოეკონომიკის მიზანი კი არის ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ზრდა მეზობელი და პარტნიორი სახელმწიფოთა ეკონომიკური ექსპანსიის გზით. ამდენად, გეოეკონომიკის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული მიღწევების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გეოეკონომიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს კომპლექსური განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, რომელიც თანაბრად ემყარება ქვეყნის გეოგრაფიულ ანუ სივრცობრივ განფენილობას, მის ისტორიულ წარსულსა და გამოცდილებას, მასში და მის გარშემო არსებულ პოლიტიკურ კონუქტურასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიური განვითარების დონეს.

საქართველოს გეოეკონომიკური პოზიციონირების მთავარ ამოსავალ წერტილს, რომ სატრანზიტო ფუნქცია წარმოადგენს მტკიცდება შიდა რეგიონული, გარე რეგიონული და საერთაშორისო მოთამაშეების გამძაფრებული სატრანსპორტო-ეკონომიკური ინტერესებით საქართველოს მიმართ ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამდენად, თუ კი ქვეყნის გეოეკონომიკური პოზიციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების ხარისხზე, შესაბამისად გეოეკონომიკური სტრატეგია გვევლინება, როგორც საკუთარი ნიშის დამკვიდრებისათვის გლობალურ ბაზრებზე ინტერვენციის საშუალება. ამჟამად, საქართველოს გეოეკონომიკური პოზიციონირების ფორმირების უმთავრესი წინაპირობა სწორედ მისი გეოგრაფიული განფენილობა და მასზე შექმნილი სატრანსპორტო შესაძლებლობები წარმოადგენს. ამას ემატება არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა რეგიონში და საერთაშორისო არენაზე, არსებული კონფლიქტური ზონები, ისტორიული გამოცდილება სატრანზიტო მარშრუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ეკონომიკური ინტერესები საქართველოზე, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის მიმართ.

თავი 2. საქართველოს სატრანზიტო დერეფნის განვითარების თავისებურებანი და შესაძლებლობები

## 2.1 ტრასეკა და საქართველოს ენერგეტიკული დერეფნის ფორმირება

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირში იყო სატრანზიტო ფუნქციის გამართულ და ეფექტიან გამოყენებასთან. საქართველოსთვის, როგორც სატრანზიტო ფუნქციის მატარებელი ქვეყნისთვის, მისი გეოეკონომიკური პოზიციონირების სტრატეგიის ფორმირებაში არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს. საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის ათვისება, რეალიზაცია და განვითარება აქტიურად მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და მიუხედავად ქვეყანაში ბოლო 28 წლიანი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობისა, სულ უფრო მეტი საერთაშორისო მოთამაშის დაინტერესებას იწვევს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სატრანზიტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილია. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, მათ შორის საქართველოს მონაკვეთი, გატარებული პროდუქციის სახეობისა და ტრანსპორტირების ფორმების მიხედვით ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს: (ა) TRACECA-ს დერეფანს და (ბ) აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკულ დერეფანს.

1993 წელს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციით, რომლის საფუძველზეც სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებისთვის შემუშავდა რეგიონული პროგრამა - TRACECA და მის უმთავრეს მიზნად ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის

ევროპულ დერეფანთან მიერთება განისაზღვრა. TRACECA-ს პროგრამამ მალე შეიძინა დინამიზმი და მიიღო საერთაშორისო აღიარება.<sup>96</sup>

TRACECA-ს პროგრამის პარალელურად დაიწყო პროექტების შემუშავება აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის თაობაზე. 1996 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე დაწყებული ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა 1999 წელს დასრულდა და სატრანზიტო დერეფანმა მეტად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ასპექტი შეიძინა. იმავდროულად ექსპლუატაციაში შევიდა TRACECA-ს პროგრამის ფარგლებში აშენებული ფოთის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი, რითაც საქართველომ საერთაშორისოდ აღიარებული სატრანზიტო ფუნქცია დაიმკვიდრა.

საქართველოს სატრანზიტო კორიდორის ფუნქციის გაძლიერებისთვის გეოეკონომიკურად სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როცა სატრანსპორტო დერეფანმა ორი მსხვილი რეგიონული ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-სუფსის, ასევე სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზი) პროექტი განხორციელდა. სამივე ობიექტი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს ენერგეტიკული სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. ამდენად, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის მთავარი ამოცანა ენერგეტიკული დერეფნის განვითარებაში მდგომარეობს.

ბაქო-სუფსის სახელით ცნობილი დასავლეთ მარშრუტის მილსადენი საერთაშორისო ნავთობ-კონსორციუმის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში. მილსადენის საშუალებით აზერბაიჯანში კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობი სანგაჩალის ტერმინალის გავლით სუფსის ტერმინალამდე მიდის. აღნიშნული მარშრუტის საექსპორტო მილსადენის საერთო

---

<sup>96</sup>გეგეშიძე, ა. (2007). ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი)/საქართველოს სატრანზიტო როლის განვითარების ხელშეწყობა რეგიონალური ინტეგრაციის გათვალისწინებით. თბილისი.



სიგრძე 830 კმ-ია, რომლიდანაც 375 კმ საქართველოზე გადის და საბოლოო წერტილში-სუფსის ტერმინალში ჩაედინება, რომლის ტევადობაც 1.000.000 ბარელს აჭარბებს.<sup>97</sup>

სანგაჩალის ტერმინალიდან ნავთობი 1998 წლის დეკემბერში გამოუშვეს, ხოლო მომდევნო წლის იანვრის დასაწყისში იგი საქართველოს ტერიტორიაზე შემოედინა. ნავთობსადენის მაქსიმალური წლიური სიმძლავრე 5,75 მლნ ტონაა. აღნიშნული პროექტის საქართველოს მონაკვეთის მართვას ახორციელებს BP, რომელიც ნავთობ კონსორციუმის უდიდესი წილის მფლობელია. პროექტის უპირატესობებია: მილსადენის სიმოკლე, სხვა მარშრუტებთან შედარებით სიახვე და სუფსის ტერმინალის სეზონური უწყვეტობა.

1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტზე საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს სახელმწიფოთშორისო ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მილსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია. მილსადენის სიგრძე 1768 კმ-ია, აქედან აზერბაიჯანზე მოდის 443 კმ, საქართველოზე - 249 კმ და თურქეთზე - 1076 კმ. მილსადენის გამტარუნარიანობა მხოლოდ აზერბაიჯანული ნავთობის გამტარიანობა 50 მლნ. ტონაა წელიწადში, ხოლო ყაზახური და თურქმენული ნავთობის დამატების შემთხვევაში 80 მლნ. ტონა იქნება წელიწადში.<sup>98</sup> 2000 წლის მარტში თბილისში საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრისას მიღებული შეთანხმებით, საქართველო 40 წლიანი ხელშეკრულების პერიოდში 2100.000.000 აშშ დოლარს მიიღებს, რაც ყოველწლიურად 62,5 მლნ. დოლარის შემოსავალს ნიშნავს. ნავთობსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა, სრულ ექსპლუატაციაში კი მომდევნო წელს შევიდა.

ზემოაღნიშნული მილსადენი აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოზე მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირებას ახდენს. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც პროექტის მმართველ კომპანიად BP გვევლინება. ორივე ობიექტი მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის

<sup>97</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. <http://www.gogc.ge/ge/> (8.07.2018).

<sup>98</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. <http://www.gogc.ge/ge/> (8.07.2018).

თვალსაზრისით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობის მხრივაც. ახლო მომავალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მეშვეობით ყაზახეთის ნავთობის ექსპორტიც იგეგმება, რაც ამ ქვეყნის რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში ჩართვის პირობებს შექმნის.

საქართველოს ტერიტორიაზე გარდა გეოეკონომიკურად სტრატეგიული და საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთობსადენებისა, განთავსებულია ორი უმნიშვნელოვანესი გაზსადენი: ჩრდილოეთ-სამხრეთის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენები. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა, რომლის მეშვეობით რუსული გაზის ტრანსპორტირება ხდება საქართველოსა და სომხეთში.

ზემოაღნიშნული გაზის მილსადენის საქართველოს მონაკვეთის სიგრძე 221 კმ-ია. რაც შეეხება სამხრეთ-კავკასიურ გაზსადენს, იგი საქართველოს გავლით, შაჰ-დენიზისა და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული გაზის თურქეთში ტრანსპორტირებას და შემდგომ ევროპაში დისტრიბუციას ემსახურება. გაზსადენის საქართველოს მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 249 კმ-ს. საქართველო-თურქეთის საზღვარზე გაზსადენი თურქეთის მხარის მიერ აშენებულ განშტოებას უერთდება, რომელიც SCP-ს ერზრუმთან ადგილობრივი გაზომარაგების სისტემასთან აკავშირებს. აღნიშნული გაზსადენის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა და საქართველოში გაზი მომდევნო წლის დასაწყისში შემოვიდა. განვითარების დამატებითი ეტაპების დასრულებისა და სრულად ექსპლუატაციის შემდეგ გაზსადენი წელიწადში 24 მლრდ. კუბურ მეტრამდე გაზის ტრანზიტს შეძლებს. ამჟამად მისი წლიური სიმძლავრე 6 მლნ. ტონას აღწევს.<sup>99</sup> მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საქართველო არა მხოლოდ სატრანზიტო დერეფნად, არამედ ბუნებრივი აირის მომხმარებელ სახელმწიფოდ გვევლინება. საქართველოს, აზერბაიჯანიდან თურქეთში ექსპორტირებული გაზის 5%-მდე მოცულობის შეღავათიან ფასად შესყიდვის პირობა აქვს მიღებული. გარდა ამისა, პროექტის ექსპლუატაციაში ჩაშვებიდან 20 წლის განმავლობაში საქართველო პროექტის

---

<sup>99</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. <http://www.gogc.ge/ge/> (7.08.2018).

ინვესტორებისგან ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობას - წელიწადში 500 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს სპეციალურ ფასში შეისყიდის.

სამხრეთის დერეფნის ფარგლებში გაზის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტის ჩამოყალიბების მიზნით 2010 წელს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის (AGRI-Azerbaijan-Georgia-Romania Interconnector) პროექტის რეალიზაციაზე შეთანხმდნენ, რომელიც საქართველოს ტერიტორიის და შავი ზღვის გავლით (გათხევადებული ფორმით) რუმინეთში და შემდგომ ევროპის ბაზარზე გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს.

2011 წელს, ქ. ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანის და რუმინეთის პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს პროექტის მხარდამჭერ დეკლარაციას.<sup>100</sup> ამავე ღონისძიების ფარგლებში, სამივე ქვეყნის შესაბამისმა კომპანიებმა - SOCAR (აზერბაიჯანი), GOGC (საქართველო) და Romgaz (რუმინეთი) ხელი მოაწერეს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი კომპანიის - SC AGRI LNG Project Company S.R.L. სადამფუძნებლო ხელშეკრულებას და ურთიერთგაგების მემორანდუმს პროექტის განხორციელების თაობაზე. მოგვიანებით SC AGRI LNG Project Company S.R.L.-ს შეუერთდა უნგრული კომპანია MVM.

აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების მიზნით ერთობლივი კომპანიის მიერ დაქირავებული იქნა ინგლისური საკონსულტაციო კომპანია Penspen Ltd. 2015 წლის იანვარში AGRI LNG Project Company S.R.L.-ის დირექტორთა საბჭომ მიიღო Penspen Ltd.-ის მიერ AGRI-ს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.<sup>101</sup> AGRI ევროკავშირის ენერგოდვერსიფიკაციისა და გაზის მიმწოდებელთა ალტერნატიული მარშრუტების შემუშავების პოლიტიკას პასუხობს. პროექტი “გაზის სამხრეთ დერეფნის” შემადგენელი ნაწილია და საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს.

<sup>100</sup>ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. <http://www.energy.gov.ge> (12.08.2018).

<sup>101</sup>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. <http://www.gogc.ge/ge/> (18.09.2018).

ამრიგად, საქართველოზე გამავალი სატრანზიტო სატრანსპორტო სექტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენები: ბაქო-სუფსა, ბაქო-ერზერუმი, ბაქო-ჯეიჰანი, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზე ყაზახი-საგურამო, სომხეთის განშტოება. ეს უკანასკნელი ემსახურება რუსული გაზის ტრანსპორტირებას სომხეთში და იგივე გაზის საქართველოში მოხმარებასაც. ამ მილსადენებს გარკვეული სარგებლობა მოაქვს ქვეყნისათვის, როგორც პირდაპირი სასაქონლო უზრუნველყოფით ანუ ნატურით, ისევე ეკონომიკური და სოციალურად მილსადენების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე დასაქმებულთა გზით; ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის<sup>102</sup> თანახმად, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის დიაპაზონი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რასაც მოწმობს ზემოაღნიშნული მილსადენების პროექტები. არსებული პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად დატვირთვის მიზნით, აუცილებელია საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგეტიკული პოლიტიკის ევროპის მდგრადი, კონკურენტული და უსაფრთხო ენერჯის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა. მნიშვნელოვანია საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგეტიკის პოლიტიკის ევროკავშირის ენერგეტიკის პოლიტიკის ამოცანებთან, ელექტროენერჯის და გაზის შიდა ბაზრის პრინციპებთან თანდათანობითი დაახლოება; კასპიისა და შავი ზღვის რეგიონული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს გავლით ევროპაში კასპიისპირეთის ენერგომატარებლების ტრანზიტის პროცედურების გაჯანსაღება; ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოზე გამავალი ენერგოდერეფნის ეფექტიანად გამოყენება.

## 2.2. სატრანსპორტო სექტორის მიმოხილვა საქართველოში


სატრანსპორტო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რასაც ოფიციალური სტატისტიკაც მოწმობს. 2017 წლის

---


<sup>102</sup>ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (2006). სამოქმედო გეგმა, ევროკავშირი-საქართველო. <http://mfa.gov.ge>(2.10.2018).

მონაცემებით, სატრანსპორტო სექტორს 10,1%-იანი წილით მე-3 ადგილი უკავია ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში (მსპ)<sup>95</sup> და მას უსწრებს ეკონომიკის ისეთი სექტორები, როგორცაა ვაჭრობა - 17,1 % და მრეწველობა - 16,4%. ხოლო სატრანსპორტო და კომუნიკაციური სექტორის შემდგომ წარმოდგენილია მშენებლობა, სახელმწიფო მმართველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ. (ნახაზი 1). თუმცა აქვე გვაქვს 2018 წლის მონაცემები სადაც სექტორის წილი მთლიან მსპ-ში შემცირებულია 9,2%-მდე და იკავებს და ჩამორჩება მრეწველობს, მშენებლობასა და ვაჭრობას (ნახაზი 2). აღნიშნული მონაცემები წინასწარია და შესაძლოა დაკორექტირდეს 2019 წლის 15 ნოემბრამდე.

ნახაზი 1. მთლიანი სამამულო პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2017 წელს



ნახაზი 2. მთლიანი სამამულო პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2018 წელს




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (10.04.2019).

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ბრუნვის მოცულობა 1999 წლიდან დაწყებული 2017 წლის ჩათვლით სტაბილური ზრდით ხასიათდებოდა და ბიზნეს სექტორის საერთო ბრუნვაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. თუ დავაკვირდებით ქვემოთ მოტანილ ტრენდს, რომელიც 1999 წლიდან 2017 წლის ჩათვლით პერიოდს მოიცავს დავინახავთ, რომ 2016 წლის გამოკლებით სატრანსპორტო და კომუნიკაციების სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვების მოცულობა ზრდით ხასიათდებოდა, 2017 წელს კი ის 4.8 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.7 მლნ. ლარით აღემატებოდა. როგორც ქვემოთ ილუსტრირებული დიაგრამა გვიჩვენებს (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 2008 - 2009 წლებში სატრანსპორტო და კომუნიკაციების საერთო გამოშვების დონე პრაქტიკულად

უცვლელი იყო). 2015 წელს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში პროდუქციის გამოშვებამ 4.2 მლნ. ლარს მიაღწია და ბიზნეს სექტორის პროდუქციის საერთო გამოშვების 14.8% შეადგინა (ნახაზი 3).


ნახაზი 3. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროდუქციის გამოშვება



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (9.10.2018)


ასევე, მნიშვნელოვანია დასაქმებულთა ის რაოდენობა, რომლებიც დაკავებულები არიან სრული განაკვეთის სატრანსპორტო და კომუნიკაციების სფეროში. 2017 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 69,4 ათასი ადამიანი შეადგინა, რომელიც უსწრებს 1999 და 2004 წლების უმაღლეს მაჩვენებლებს. როგორც მოცემული ნახაზიდან ჩანს (ნახაზი 4) 1999 წლის მონაცემთან შედარებით, 2017 წელს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულთა რაოდენობა 10 ათასზე მეტი ადამიანით გაიზარდა. მკვეთრის ზრდის ტენდენცია კი 2007 წლიდან იწყება როცა სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 50 ათასამდეც ვერ აღწევდა უკვე ათი წლის შემდგომ 2017 წელს თოთქმის 20 ათასი ადამიანით იზრდება. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობაში თითოეული დასაქმებულის საშუალო თვიური ანაზღაურება 1200-1300 ლარის ფარგლებში ლავირებს, რაც საკმაოდ მაღალია სხვა ბიზნეს სექტორებში დასაქმებულთა ანაზღაურებასთან შედარებით. ამასთან, სატრანსპორტო და კომუნიკაციის სფეროში საშუალო სახელფასო ბადაე 1999 წლიდან დღემდე ზრდადი ტრენდით ხასიათდება. 2017 წლის მონაცემებით, ნახსენებ სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი დაახლოებით 1290 ლარს შეადგენს. (ნახაზი 5).

ნახაზი 4. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულითა რაოდენობა



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (9.10.2018)


ნახაზი 5. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულითა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (9.10.2018).

ნიშანდობლივია, რომ საინვესტიციო ნაკადები სატრანსპორტო და კომუნიკაციების სფეროში საკმაოდ მაღალი რყევებით ხასიათდება და ამის მრავალი არგუმენტი არსებობს საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა 2017 წელს განხორციელებულმა ინვესტიციებმა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ფიქსირებულ აქტივებში 1999 წლიდან დღემდე ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 2125.8 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 869.6 მლნ. ლარით გაუმჯობესდა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სექტორში ინვესტიციების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 550.4 მლნ ლარი დაფიქსირდა 2008 წელს, მას მოსდევდა 2014 წელს განხორციელებული ინვესტიციების მთლიანი დონე, რომელმაც 579.2 მლნ. ლარი შეადგინა. ამის შემდგომ უკვე 2015 წელს კი მკვეთრად გაიზარდა სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში და დაფიქსირდა 1437.0 მლნ. ლარი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს თითქმის 150%-ით აღემატებოდა. (ნახაზი 6).


ნახაზი 6. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში.



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (12.10.2018).

2010 წლის ივლისიდან ყუღევის პორტმა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა დაიწყო. ამ პროექტის რეალიზაციისათვის, რომელიც დიდტონაჟიანი ტანკერების (100 000 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის) მომსახურების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული, ფსკერის დაღრმავების სამუშაოები განახორციელა. 2012 წლის ივლისში კი ნავთობტერმინალში არსებული პროპილენის გადასატვირთი ახალი კომპლექსის მეშვეობით, ყუღევის ტერმინალით ქიმიური პროდუქციის გადატვირთვაც გახდა შესაძლებელი. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2012 წლის პირველი ათი თვის მონაცემების შედარებით ყოველ მომდევნო წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან 2016 წლის ჩათვლით, საზღვაო პორტებსა და ტერმინალებში გადამუშავებული მილიონ ტონებში გამოსახატული ტვირთების მთლიანი რაოდენობა კლებით ხასიათდებოდა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს 2011–2012 წლის აგვისტოს მონაცემები, როცა ტვირთნაკადების მოცულობა თითქმის ერთი და იგივეა და 14.6 მლნ. ტონა შეადგინა. თუ ჯამურად აღვრიცხავთ და შევადარებთ 2012 წლის მონაცემებს - 2016 წლის ანალოგიურ მონაცემებთან დავინახავთ, რომ ტვირთბრუნვის მთლიანი მოცულობა ჯამურად 3.5 მლნ ტონით შემცირდა.<sup>117</sup>

ბაქოს პორტი (დანართი 8) წარმოდგენილია 4 ძირითადი ტერმინალით: ნაყარი ტვირთის, საბორნე, საკონტეინერო და ნავთობ ტერმინალით. ნაყარი ტვირთის

<sup>115</sup>ბათუმის საერთაშორისო ნავთობ ტერმინალი <http://www.batumioilterminal.com/?lang=en> (30.09.2018).

<sup>116</sup>ყუღევის ნავთობ ტერმინალის ოფიციალური ვებ. პორტალი. [kulevioilterminal.com/](http://kulevioilterminal.com/) (28.09.2018).

<sup>117</sup>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. [www.economy.gov.ge](http://www.economy.gov.ge) (8.10.2018).

ტერმინალში მიმდინარე ბრუნვის მოცულობა წელიწადში ორ მილიონ ტონამდე აღწევს, საბორნე ტერმინალის მაქსიმუმ 6 მლნ ტონამდე და ნავთობტერმინალზე 15 მლნ ტონამდე. საკონტეინერო ტერმინალს გააჩნია 5000 TEU- ს შენახვის შესაძლებლობა.

ბაქოს საერთაშორისო საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის (BISTP) (დანართი 9) ყოველწლიური დახურვის დღეების საერთო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია - წელიწადში 90 დღე. ეს იწვევს ჩრდილოეთ კასპიის პორტების საერთო დაყოვნებას და საოპერაციო პრობლემების შექმნას. ამიტომ აუცილებელი გახდა Alyat-ის ახალი პორტის მშენებლობა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება უფრო პროგნოზირებადი და სანდო ოპერირება, ვინაიდან ბაქოს ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ალიატის პორტის შერჩეული მდებარეობა ბუნებრივი ჩრდილოეთ ქარებისა და წვიმებისგან დაცულ ზონაშია. ახალი პორტის მშენებლობა სოფელ ალიატში ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო და ექსპლუატაციაში 2018 წელს ჩაეშვა. ახალი ნავსადგური ბაქოდან 70 კილომეტრში მდებარეობს და აზერბაიჯანული მხარის გადაწყვეტილებით მან სრულად უნდა ჩაანაცვლოს ბაქოს საზღვაო სავაჭრო პორტი. პორტის ნავმისადგომებთან მოეწყო როგორც მშრალი, ისე თხევადი და ნაყარი ტვირთებისთვის შესაბამისი თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფილი ტერმინალები და ასევე რო-რო ტერმინალიც. ხოლო პორტის უკანა მკლავზე დაგეგმილია სპეციალური ეკონომიკური ზონის მოწყობა. ახალი პორტი განაშენიანებულია 400 ჰექტარზე და მისი სრულად დატვირთვისთვის სამი ფაზაა შესასრულებელი. პირველი ფაზა 2018 წელს დასრულდა და 40 000 TEU დასაწყობების საშუალების მქონე ტერმინალი ექსპლუატაციაში ჩაეშვა. მშენებლობის პირველი ფაზის ბოლოს პორტის სრული წლიური გამტარუნარიანობა 10 მლნ ტონამდე უნდა გაიზარდოს

მიმდინარეობს ბაქო-ალიატის სარკინიგზო მარშრუტის მშენებლობა, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობას 546 მლნ ევრო უჯდება. საბოლოოდ მე-3 ფაზის დასრულებისას პორტის გამტარუნარიანობა წლიურად 25 მლნ ტონას მიაღწევს.

ანაკლიის პორტი საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტი იქნება. იგი აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. ეს ფაქტორები უმაღლესი ხარისხის მომსახურებასთან ერთად, ხელს შეუწყობს პორტის პროდუქტიულობასა და

საიმედოობას. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და გახსნა 2020 წელს იგეგმება. მთლიანობაში, პორტი 9 ფაზად განვითარდება. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 2.5 მილიარდ დოლარს შეადგენს. პორტის სიღრმე 16 მეტრი იქნება, რაც საშუალებას იძლევა, მიიღოს 10 000 კონტეინერიანი (TEU) გემები (დანართი 10).

2017 წლის ზაფხულში SSA Marine-ი ოფიციალურად გახდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორი. SSA Marine-ი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერმინალ-ოპერატორია, რომელიც 250 სტრატეგიულად მნიშვნელოვან ლოკაციაზე ოპერირებს და საუკეთესო გამოცდილებით და პროდუქტიულობით გამოირჩევა. SSA Marine-ი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ძირითადი ინვესტორიცაა.

მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ჩართულობა პორტის განვითარებაში. ის უზრუნველყოფს უახლეს საგზაო და სარკინიგზო კავშირს ნავსადგურთან. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია მოსახლეობის განსახლების პროექტზე, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განხორციელდა. საქართველოს მთავრობასა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, კონსორციუმს პორტი გადაეცა აღნაგობის უფლებით, 52 წლის ვადით, Build-Operate-Transfer-ის (BOT) პრინციპით. ამ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მთავრობა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ უზრუნველყოფს 330 ჰა სახმელეთო და 225 ჰა საზღვაო ტერიტორიით, რათა კონსორციუმმა განავითაროს, ააშენოს და ოპერირება გაუწიოს მას. 2017 წლის 30 ოქტომბერს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ მიიღო მშენებლობის დაწყების ოფიციალური ნებართვა პირველი ფაზის განსახორციელებლად.

I ფაზაში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გამტარუნარიანობა 9.3 მილიონ ტონას მიაღწევს. პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2020 წლისთვის, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პანამაქსის და პოსტპანამაქსის ტიპის გემების მიღება.

*I ფაზის მახასიათებლები:* ნავსადგურის კედელი: 625 მეტრი; სიღრმე: 16 მეტრი; ნავმისადგომების რაოდენობა: 2; კონტეინერების ამწეები: 4-დან 6-მდე; RTG ტიპის ამწეები: 12-დან 18-მდე; ჯებირი : 1600 მეტრი; პორტის ოპერაციების ხანგრძლივობა წელიწადში: 95%; ინტერმოდალური ეზო: 800 მეტრის სიგრძის 10 ფაზა.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ დაასრულა პორტის კონცეპტუალურ დიზაინზე მუშაობა და წარადგინა 9 ფაზის გენერალური გეგმა. დიზაინის მიხედვით, ანაკლიის პორტი შეძლებს დაწინაურდეს რეგიონში არსებულ კონკურენტებთან შედარებით, საუკეთესო საგზაო, სარკინიგზო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურითა და ინოვაციური აღჭურვილობით. პორტს ექნება საშუალება მიიღოს 10 000 კონტეინერიანი (TEU) გემები. პირველი ფაზის განმავლობაში მოხდება 60 ჰა სახმელეთო ტერიტორიაზე საკონტეინერო ტერიმინალის მშენებლობა, რომელიც 900 000 კონტეინერსა და 1.5 მილიონ ტონა ტვირთს დაიტევს.<sup>118</sup>

*IX ფაზა - წინასწარი დიზაინი:* ნავსადგურის კედელი: 2 250 მეტრი; ჯებირი: 2 940 (ჩრდილოეთი და სამხრეთი); კონტეინერების სადგომები: 7 (59 მლნ. ტონა); მყარი ტვირთის სადგომი: 2 (5 მლნ. ტონა); თხევადი ტვირთის სადგომი: 1 (36 მლნ. ტონა); სრული 9 ფაზა - 100 მლნ. ტონა.

ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს ექნება ორი ტალღმტეხი და ერთი ნავმისადგომი. მთავარ ნავმისადგომში იქნება 7 საკონტეინერო სადგომი. მყარი ტვირთისთვის განკუთვნილი სადგომები იქნება ჩრდილოეთით არსებულ ტალღმტეხთან, საზღვაო მომსახურების/სანაპირო დაცვის დაწესებულებებთან ერთად. თხევადი ტვირთისთვის განკუთვნილი სამი მისადგომი განთავსებულია სამხრეთ ტალღმტეხზე. როგორც ტრანსპორტირებაზე ზემოქმედების კვლევა ადასტურებს, ცალმხრივი შესასვლელი არხი საკმარისია პორტში გემების გრძელვადიანი ტრაფიკისთვის. მოსაზრუნებლად განკუთვნილი სივრცე მესამე და მეოთხე ნავმისადგომების წინ მდებარეობს, რომლის რადიუსი სრულიად საკმარისია ყველაზე დიდი მოცულობის (10 000 TEU, 300 მ.) მქონე გემების მოსაზრუნებლად.

<sup>118</sup>ანაკლიის განვითარების კონსორციუმის ოფიციალური ვებ. პორტალი. <http://anakliadevelopment.com/ka/info/> (14.11.2018).

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიო ფინანსური კრიზისების მიუხედავად, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ტვირთბრუნვის საერთო მოცულობის ზრდისა, შავი ზღვის რეგიონი საერთაშორისო აქტივობების მიღმა დარჩა. 2003 წლამდე პანამაქსის ტიპის გემები ვერ შემოდიოდნენ შავ ზღვაში ანუ გამგზავნი პირდაპირ ვერ უკავშირდებოდა შავ ზღვაში მყოფ მიმღებს და საჭირო იყო სტამბულისა და პირეუსის პორტებში ტვირთების პატარა გემებზე ანუ ფიდერებზე გადატვირთვა და ამ მეთოდით შავი ზღვის პორტებში მიტანა, რაც გადაზიდვის პროცესში, დამატებით ზრდის სატრანზიტო დროს და საოპერაციო ხარჯებს. შავ ზღვაში არ შემოდის ოკეანეთის დიდი გემები, თუმცა არსებულ შავიზღვისპირა პორტების სიღრმეები ერთმანეთისგან განსხვავდება (ცხრილი 7).

ცხრილი 7. შავიზღვისპირა პორტების სიღრმე და გამტარუნარიანობა

ტერმინალის დასახელება	მფლობელობა	სამუშაო პროექტით 2017	მომსახურე საკონტეინერო გემების მანქანიზაციის ზომა 2017, TEU	დაგეგმილი წლიური გამტარუნარიანობა (TEU, 1000)
HPC-ოდესა (უკრაინა)	HPC (გერმანია)	14 მ	8,000	790 000
BK-ოდესა (უკრაინა)	უკრაინა	13 მ	6,000	250 000
ჩორნომორსკი (უკრაინა)	უკრაინა	14 მ	7,000	500 000
იუჟნი (უკრაინა)	უკრაინა	19 მ (21 მ)	10,000	350 000
DP-ვოსტანცა (რუმინეთი)	DP World (არაბთა გაერთიანებული ემირატები)	16 მ	8,500	1,500 000
NUTEP-ნოვოროსისკი (რუსეთი)	DP World (არაბთა გაერთიანებული ემირატები)	12.5 მ (15.5 მ)	4,500 (10,000)	350 000

მერსკ უკრაინა, მერსკ ბულგარეთი, მერსკ რუმინეთი და მერსკ ნოვოროსისკი. <http://uspa.gov.ua> (20.11.2018).

პირდაპირი სერვისები შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ ევროპის, ამერიკისა და სამხრეთ-აფრიკის რეგიონების პორტებიდან შავი ზღვის პორტებამდე პანა მაქსის ოკეანური გემების შემოსვლით და ამით ფიდერების ანუ პატარა გემებზე გადატვირთვის ოპერაციის თავიდან აცილებით ძალიან დიდი ფინანსურ დანახარჯებს არიდებს თავს საკონტეინერო საზღვაო ხაზები. შავი ზღვის აუზის პორტების მიერ გადამუშავებული საკონტეინერო ტვირთების მოცულობები წლების მიხედვით იცვლება, თუმცა ყველაზე დაბალი ტვირთბრუნვით გამოირჩევა ბულგარეთი, რომელსაც მცირეოდენით აღემატება ქართული პორტების მიერ გადამუშავებული ტვირთების საერთო მოცულობა 2012-2017 წლების ჯამურ რაოდენობაში.

შავი ზღვის რეგიონის საზღვაო საკონტეინერო ტერმინალებს შორის ყველაზე დიდი ზრდა უკანასკნელ წლებში ფიქსირდება შემდეგ ტერმინალებში: NUTEP (რუსეთი),

BKP (უკრაინა), NLE (რუსეთი) და TIS (უკრაინა). 2017-2018 წლებში DPW (რუმინეთი) რჩება ლიდერ პოზიციაზე კონტეინერების საერთო ბრუნვის მიხედვით, NUTEP (ნოვოროსისკი) რუსეთი იკავებს მეორე ადგილს. APMT ფოთის საზღვაო ტერმინალი ინარჩუნებს მესამე ადგილს. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა იქონია შავი ზღვის საკონტეინერო ბაზარზე 2008 წელს, თუმცა კვლავინდებური მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა უკვე 2010-2011 წლებში. კრიზისიდან გამოსვლის შემდგომ ბაზარმა დაიწყო გამოცოცხლება და ზრდის დონემ 26%-ს მიაღწია, მაგრამ მომდევნო წლებში ზრდის ტემპი კვლავ შემცირდა, თუმცა კრიზისის პერიოდში დაფიქსირებულ ზღვარს მაინც არ მიახლოვებულა. 2012 წელს ბაზრის ზრდის დონე 2.65%-ს შეადგენდა, 2013 წელს კი 9.95% -მდე გაიზარდა. 2014 წელს ახალი კრიზისი დაიწყო,<sup>119</sup> რამაც შავი ზღვის საკონტეინერო ბაზარზე 1,08%-იანი ვარდნა გამოიწვია და უკვე 2015 წელს აღნიშნული ვარდნის დონე 12.1%-მდე გაიზარდა. 2016 წელს ბაზრის 7.2%-იანი ზრდა, დაფიქსირდა. 2017 წელს ზრდის ტენდენციამ 11.9% შეადგინა.<sup>120</sup>

მიუხედავად სათანადო გამტარუნარიანობისა და მაღალი ტარიფებისა რუსეთის მხარემ 2013 წელს მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია, თუმცა უკვე 2014 წელს მან 0.33%-იანი ვარდნა დააფიქსირა და ეს უარყოფითი ტრენდი უფრო თვალსაჩინო გახდა მომდევნო წელს, როდესაც ტვირთბრუნვის საერთო მოცულობა ნოვოროსისკის პორტში 18.93%-ით შეიკვეცა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. უკრაინაში ტვირთბრუნვის შემცირება ძირითადად განპირობებული იყო საბაჟო პროცედურების საკითხებზე საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩო-პირობების ცვლილებებით. აღნიშნულის შედეგად უკრაინულმა პორტებმა, სხვადასხვა გათვლებით, დაახლოებით 50 000 – 100 000 TEU მოცულობის ტვირთი დაკარგა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების პორტებიდან წამოსული (ჰამბურგი, ანტვერპენი, როტერდამი) ბალტიისპირა ქვეყნების პორტებისა და რუმინეთის პორტის საპირწონედ. შედეგად, 2015 წელს ტვირთბრუნვის საერთო მოცულობა 22% შემცირდა წინა წელთან მიმართებაში. ამავე წელს ტვირთბრუნვის

<sup>119</sup>Ukraine Crisis - Russian Military Intervention. (2014). [www.globalsecurity.org/military/world/ukraine/politics2014-ext.htm](http://www.globalsecurity.org/military/world/ukraine/politics2014-ext.htm) (3.12.2018).

<sup>120</sup>Informall, (29 Dec. 2018). Black Sea Container Market – Overview. [www.hellenicshippingnews.com/black-seacontainer-market-nine-month-increase-of-10-21/](http://www.hellenicshippingnews.com/black-seacontainer-market-nine-month-increase-of-10-21/) (11.01.2019).



დრამატული ვარდნის მთავარი მიზეზი რუსეთთან ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და სამხრეთის სანაპირო ზოლში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტშიც უნდა ვეძებოთ. 2016 წელს ქვეყანამ არაპროგნოზირებადი შედეგი მიიღო და ტვირთბრუნვის ზრდამ 31%-იან ნიშნულს მიაღწია. მომდევნო წელს კი 6.38%-იანი ზრდით შემოიფარგლა. 2017 წელს შავი ზღვის რეგიონის პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდა დააფიქსირა. რუმინეთმა - 6.42%, ბულგარეთი - 9.79%; უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტი და დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების პირობებში ნოვოროსისკის პორტის მიერ დამუშავებული ტვირთების საერთო მოცულობა მნიშვნელოვნად შეიკვცა და 2016 წელს ზრდამ 5% შეადგინა, თუმცა 2017 წელს ეს მაჩვენებელი გაოთხმაგდა და 20%-იან ნიშნულს მიაღწია.<sup>121</sup>

მსოფლიო ბანკის მონაცემებით,<sup>122</sup> მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო მაჩვენებლის ზრდა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ 3.58%-ის ოდენობით დაფიქსირდა. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 0.44%-ს შეადგენდა. 2009 წლიდან მოყოლებული საკონტეინერო ტვირთების მოცულობის საშუალო ზრდის მაჩვენებელი რეგიონის წევრ სახელმწიფოთა მსკ-ს 1%-იან ზრდასთან მიმართებაში 4.72%-ს შეადგენდა. ამდენად, 2015 წელს მსკ-ს საშუალო ზრდის 0.44%-იანი მაჩვენებლის პირობებში კონტეინერების ბრუნვის საერთო მოცულობა 12.1%-ით შემცირდა. 2016 წელს მსკ-ს ზრდის 1.52%-იანი მაჩვენებლის პირობებში კონტეინერების მოცულობის 7.2%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2017 წელს კი ანალოგიური თანაფარდობა შემდეგნაირად განაწილდა მსკ-ს ზრდა - 3.27% და კონტეინერების მოცულობის ზრდა - 11.9%. 2018 წელს კი მსკ-ს 3.56%, ხოლო კონტეინერების მოცულობის ზრდა 10.3%. მსოფლიო ბანკის პროგნოზის მიხედვით, 2019 წელს კონტეინერების მოცულობის ზრდა მოსალოდნელია 12%-მდე, ხოლო მსკ-ს ზრდის საშუალო მაჩვენებელი კი 3.72%-ს შეადგენს<sup>123</sup>.

<sup>121</sup>Informall. (2016 FY). Black Sea Container Market – Overview. <http://www.informall.biz/en/> (6.12.2018).

<sup>122</sup>მსოფლიო ბანკის მონაცემთა ოფიციალური ვებ. პორტალი. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD> (6.11.2018).

<sup>123</sup>მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD> (7.11.2018).

ცხრილი 8. მთლიანი სამამულო პროდუქტის მოსალოდნელი ზრდა (წელი,%)

	00-13	2014	2015	2016	2017	2018	2019
ბულგარეთი	1.75	1.3	3.6	3.9	3.8	3.9	4
საქართველო	4.9	4.6	2.9	2.8	4.3	4.2	4.7
რუმინეთი	2.75	3.1	3.9	4.8	6.4	4.5	4.1
რუსეთი	2.65	0.7	2.8	0.2	1.7	1.7	1.8
უკრაინა	1.6	6.6	9.8	2.3	2	3.5	4

მსოფლიო ბანკი - <https://www.worldbank.org> (4.11.2018).


გლობალური საზღვაო საკონტეინერო ხაზები იბრძვიან მოიპოვონ მასშტაბის ეკონომია და ამისათვის ხშირ შემთხვევაში მიმართავენ ოკეანური გაერთიანებებისა და ალიანსების ფორმირებას (ცხრილი 9). აღნიშნული პოლიტიკა ემსახურება პანა მაქსის ტიპის გემებზე საკუთარი კონტეინერებისათვის ადგილების გაყოფა ერთმანეთში და ამით გადაზიდვის რაციონალიზაციას. ამ პირობებში მნიშვნელოვანია, რომ საზღვაო ხაზებს არ უწევდეთ დამატებითი გადატვირთვის ოპერაციების უზრუნველყოფა (პანა მაქსის ტიპის გემებიდან ფიდერების ტიპის ანუ პატარა გემებზე კონტეინერების გადასროლა) და პორტიდან პროტამდე გადაზიდვა შესრულდეს სრული, პირდაპირი სერვისის მეშვეობით. 2016 წელს მსგავსი სურვილით გლობალური საკონტეინერო ბაზრის ორი ლიდერი კომპანია MAERSK და MSC გაწევრიანდა M2 ალიანსში<sup>124</sup>, რის საფუძველზეც ტრანსოკეანურ მარშრუტებზე ისინი ინაწილებენ საკუთარ გემებზე კონტეინერებისთვის ადგილებს, კერძოდ, შორეული აღმოსავლეთ-ხმელთაშუა ზღვისა და ტრანსატლანტიკურ მარშრუტებზე. 2016 წლის მდგომარეობით, პირდაპირი ოკეანური მომსახურება განხორციელდა მსოფლიოს უმსხვილესი საზღვაო ხაზებისა და ალიანსების მიერ შავი ზღვის პორტების მიმართულებით.

ცხრილი 9. მსოფლიოს უმსხვილესი საზღვაო ხაზებისა და ალიანსების მარშრუტები შავი ზღვის მიმართულებით<sup>125</sup>

სერვისი/საზღვაო ხაზი	წრიული მარშრუტი	გემების სიხშირე / გამტარუნარიანობა	ტრანზიტული დრო (დღეები)
მერსკი და ემ ეს სი	იოკოჰამა-ნაგოია-ბუსანი-შანხაი-ნინგბო-იანტიანი-სინგაპური-იზმირი-სტამბული(ამბარლი)-კონსტანცა - ჩონომოსკი-ოდესა-ნოვოროსისკი-კონსტანცა-სტამბული(ამბარლი)-პორტ საიდ-ტანჯუნგ-ჰონგ კონგ-იანტიანი-შანხაი-ბუსან	8 x 4500 TEU	70
სიემი სიჯემ, არაბთა გაერთიანებულ საამიროების საზღვაო კომპანია, კოსკო.	დალიანი-ტიანჯინი-კვანგია-ბუსან-შანხაი-ნინგბო-ჩივან-პორტ კლანგ-ბირუთ-იზმირი-სტამბული(ამბარლი)-კოსტანცა-ოდესა-ილიჩევსკი-სტამბული(ამბარლი)-პირეუს-დალიანი	11 x 9000 TEU	75
აღმოსავლეთ ხმელთაშუა ექსპრესი: ზიმი, ოუოუსი.	ბუსანი-ნინგბო-შანხაი-შენჯენი-პორტ კლანგი-სუეცის არხი-ჰაიფა-სტამბული(ამბარლი)-ნოვოროსისკი-ოდესა-სტამბული(ამბარლი)-ჰაიფა-ნავა შევა-პორტ კლანგ-შენჯენ-ბუსანი	10 x 4200 TEU	70
ეკვადორი-ხმელთაშუა: მერსკ	გუაიკუილი-ბალბოა-მანხანილო-ალგესირასი-იზმირი-სტამბული(ამბარლი)-ნოვოროსისკი-იუენი(ოდესა)-სტამბული	8 x 3500 TEU	69

<sup>124</sup>Crouch, D. (10 Jul. 2014). Maersk Forms new alliance with MSC after China setback. <https://www.ft.com/content/-00144feab7de> (9.04.2018).  
<sup>125</sup>New shipping alliances: What you need to know (21 Mar. 2017). <https://www.icontainers.com/us/2017/03/21/newwhat-yoknow/> (17.06.2018).

ნახაზი 15. საზღვაო ხაზების საბაზრო წილი ქართულ პორტებში 2017 წელს




ეს პი ემ ტერმინალს ფოთის ადმინისტრაცია <http://www.apmterminalsputi.com/index.php/en> (20.10.2018)

ზემოთ მოცემული ნახაზი 15-დან ჩანს, რომ ეს პი ემ ტერმინალს, ფოთის ადმინისტრაციის 2017 წლის მონაცემებით, ემ-ეს-სი და მერსკი ერთობლივად იყოფენ საქართველოში 61.3%-იან საბაზრო წილს, ხოლო შემდგომ მათ მოსდევს ისეთი საზღვაო ხაზები, როგორებიცაა ევერგრინი – 16.2% და სი-ემ-ეი სი-ჯი-ემ – 10%. ფოთის პორტში შემოსული კონტეინერების რაოდენობით მერსკი ლიდერ პოზიციაზეა, მაგრამ ვინაიდან ემესი ფოთის გარდა, ბათუმის პორტშიც შედის, სწორედ ბათუმის ტერმინალზე შეტანილი კონტეინერების რაოდენობა განაპირობებს ემესის ლიდერობას. გემების ზომების (4 500 TEU) და მერსკისა და ემესის (2M Alliance, ECUMED) გემების ვოიაჟის სიხშირის გათვალისწინებით, (წლიურად 80 პორტი ემსახურება), ტრანსკავკასიური კორიდორის პორტები მუდმივად ივსება ამ ორი გიგანტი საზღვაო ხაზის მიერ შავი ზღვის ხუთ საზღვაო პორტში (კონსტანცა-ოდესა-ჩორნომორსკი-ნოვოროსისკი-ფოთი/ბათუმი) ჩატანილი 1200 TEU-თი.

საზღვაო ნავსადგურებსა და ტერმინალებში (ფოთი, ბათუმი, ყულევი, სუფსა) გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა ჯამურად 2012-2018 წწ. კლებადი ხასიათისაა, თუ არ ჩავთვლით 2013 წელს, როცა 0.04%-იანი ზრდა დაფიქსირდა. აბსოლუტურ ციფრებში: 2013 წელს 0.1 მლნ ტონით მეტი გადამუშავდა - წინა წელთან შედარებით. ჯამური რაოდენობა 2012 წელს შეადგენდა 21.8 მლნ. ტონას, 2018 წლის ანალოგიური პერიოდისათვის ტვირთბრუნვის საერთო მოცულობამ 15.1 მლნ ტონას მიაღწია, რაც იმას ნიშნავს რომ ჯამური მაჩვენებელი 2012-2018 წწ. 30.7%-ით შემცირდა და დრამატულად გაუარესდა. (ნახაზი 16).

ნახაზი 16. საზღვაო ნავსადგურებში და საზღვაო ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა (ჯამური) - მლნ ტ.




საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო [www.economy.ge](http://www.economy.ge) (23.01.2019).

ქართულ საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობის გაანალიზებით ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ 2012-2018 წლებში კლების ტენდენცია ფიქსირდებოდა თუ ზრდის, რადგან ამ წლებში გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა საკმაოდ ეკლექტურია. ქვემოთ მოცემული ნახაზიდან (ნახაზი 17) ჩანს, რომ 2012-2014 წწ. ზრდადი ტენდენცია ფიქსირდება. მაგალითად, 2012 წელს ფოთისა და ბათუმის პორტებში ჯამურად გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა 358 646 ტეუ-ს შეადგენდა, რომელიც 2013 და 2014 წლებში მნიშვნელოვნად იზრდებოდა და 2014 წელს მაქსიმალურმა რაოდენობამ 446 972 ტეუ შეადგინა, რაც 2012 წლიდან ტვირთბრუნვის 24.6%-იან ზრდას გულისხმობს. სამწუხაროდ, 2014 წლის მაჩვენებელი 2015-2016 წლებში გაუარესდა და 2016 წელს გადამუშავებული კონტეინერების ჯამურმა რაოდენობამ 329 805 ტეუ შეადგინა, რაც 2014 წლის მაჩვენებელიდან 26.2%-იან კლებას გულისხმობს. ამის შემდგომ 2018 წლის ჩათვლით კვლა ზრდადი ტრენდი დაფიქსირდა და უკვე 2018 წელს დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელი - 453.938 ტეუ, 2012 წლიდან დღემდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გახდა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 37.6%--იან ზრდას გულისხმობს. ჯამურად ყველაზე მეტი კონტეინერი გადამუშავდა ფოთისა და ბათუმის პორტებში. ფოთის საზღვაო ნავსადგური ყოველთვის იყო ლიდერი და უკანასკნელი წლებიც ინარჩუნებს ამ პოზიციას, რითაც ამტკიცებს, რომ ფოთის ნავსადგური არის ძირითადი საზღვაო კარიბჭე და ბათუმის პორტი წარმოადგენს მის დამხმარე შემადგენელ ნაწილს. თუ დავაკვირდებით ქვემოთ მოცემულ დიაგრამას დავინახავთ, რომ ფოთის პორტში გადამუშავებული კონტეინერების მოცულობის ცვლილება მიჰყვება ჯამურად გადამუშავებული კონტეინერების ტრენდს და 2012-2014 წლებში 294.808 ტეუ-დან 384.992 ტეუ-მდე

გაიზარდა. 2014-2016 წლებში ფოთის პორტში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ 28.8%-იანი შემცირება დააფიქსირა, თუმცა 2016-2018 წლების მონაცემები კვლავ ზრდის ტენდენციით აღინიშნა და 2018 წელს 363,936 ტეუს მიაღწია. თუმცა 2018 წელს გადამუშავებული კონტეინერების ჯამური რაოდენობისგან განსხვავებით, 2018 წელს მხოლოდ ფოთის პორტში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა არ წარმოადგენს 2012-2018 წლებში ფოთის პორტში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობების მაქსიმალურ რაოდენობას, რადგან 2014 წელს დაფიქსირდა ფოთის პორტში გადამუშავებული ყველაზე მეტი კონტეინერების რაოდენობა და ეს ნიშნული - 384 992 ჯერ კიდევ მიუღწეველი რჩება. ბათუმის პორტის შემთხვევაში ტრენდი ფაქტობრივად იგივეა რაც ფოთი პორტის შემთხვევაში, გარდა 2014 წლის გამონაკლისისა, როცა ფოთში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა და ჯამურად არ აღემატებოდა 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ბათუმის შემთხვევაში, პირიქით, კლება დაფიქსირდა 2013 წლის მონაცემთან შედარებით, თუმცა 2015 წლიდან გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა კვლავ გაიზარდა. 2018 წელს, 2015 წელთან შედარებით, ბათუმში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა 64.5%-ით გაიზარდა. თვალნათლივ ჩანს, რომ ფოთის პორტის კონტრიბუცია საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობაში გაცილებით აღემატება ბათუმისას, მაგრამ საშუალოდ ბათუმისა და ფოთის პორტების მიერ გადამუშავებული კონტეინერების წილი ჯამურად გადამუშავებულ მოცულობაში გადნაწილებლია 15%/85% თანაფარდობით. (ნახაზი 17).


ნახაზი 17. საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა 2012-2018 (TEU)



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო [www.economy.ge](http://www.economy.ge) (25.01.2019).

საინტერესოა გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობასა და რკინიგზაზე გატარებული კონტეინერების მოცულობას შორის. ქვემოთ მოცემული ნახაზიდან (ნახაზი 18) ნათლად ჩანს, რომ რკინიგზის გამოყენება საკონტეინერო გადაზიდვებში მინიმალურია და ყოველწლიურად ქართულ პორტებში გადამუშავებული კონტეინერების ჯამური რაოდენობის დაახლოებით საშუალოდ 10%-15% გადაიზიდება რკინიგზის გამოყენებით, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. 2012 წელს ფოთისა და ბათუმის პორტებში გადამუშავებული კონტეინერების მხოლოდ 15.6% გადაიზიდა საქართველოს რკინიგზის გამოყენებით, ხოლო დანარჩენი საავტომობილო გზით იქნა ტრანსპორტირებული. ასევე 2018 წლის მონაცემებით (ნახაზი 18), ჯამურად გადაზიდული კონტეინერების 453 938 ტეუ-დან მხოლოდ 38 495 ტეუ-ს გადაზიდვა განხორციელდა საქართველოს რკინიგზით, რაც ჯამური რაოდენობის მხოლოდ 8.48%-ია. 2017 წელს რკინიგზით გადაიზიდა კონტეინერების ჯამური რაოდენობის 10%, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს რკინიგზა არ ან ვერ არის ფოკუსირებული მულტიმოდალური გადაზიდვების განხორციელებაზე, არ არასებობს საზღვაო პორტებსა და რკინიგზას შორის თანამშრომლობა არც ოპერაციული და არც საფასო პოლიტიკის მიმართულებით, რათა მოხდეს სპეციალური პირობების დათქმა ტვირთების საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ერთობლივი ჩართულობით ორგანიზებისთვის. მაშინ როდესაც, ევროკავშირის ქვეყნების სტატისტიკური მონაცემებით, პორტიდან/პორტამდე გადაზიდვების 45-50% ხორციელდება სწორედ სარკინიგზო გზით მისი უსაფრთხოებისა და რაც მთავარია სიჩქარის გამო. (ნახაზი 18).

ნახაზი 18. კონტეინერების მთლიანი რაოდენობა ქართულ პორტებსა და რკინიგზაზე 2012-2018 (TEU)



საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო [www.mta.gov.ge/](http://www.mta.gov.ge/) (4.02.2019).

*საკონტინენტო ტვირთბრუნვის პროგნოზი ქართულ პორტებზე*

არც თუ ისე იშვიათად გვხვდება რაოდენობრივი კვლევები იმის შესახებ თუ რა მეთოდებით შეიძლება განვსაზღვროთ საზღვაო პორტებში ტვირთების მოცულობის ცვლილება. წრფივი რეგრესიის მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას დროითი მწკრივის მონაცემების ანალიზისთვის, სადაც ცვლადი განიხილება, როგორც დამოკიდებული (პორტში დამუშავებული ტვირთი TEU) და სხვა ცვლადები (მეპ), როგორც დამოუკიდებელი განმსაზღვრელი ან ამხსნელი. პროგნოზირებული ცვლადი განიხილება, როგორც ამხსნელი ცვლადის ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ მიდგომა განიხილება, როგორც მარტივი, ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება პირდაპირი ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს ურთიერთდამოკიდებულებებს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის, ასე მაგალითად, მსპ-სა და პორტის მიერ საკონტინენტო ტვირთების გამტარუნარიანობას შორის. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ეს მოდელი საქართველოს პორტების საკონტინენტო გამტარუნარიანობასთან მიმართებაში, რათა გავაანალიზოთ ტვირთბრუნვის საშუალო მოსალოდნელი დინამიკა.

ფოთისა და ბათუმის საკონტინენტო ტერმინალები წარმოადგენენ საერთო კარიბჭეს არა მხოლოდ ქართული ბაზრისთვის, არამედ სომხური და აზერბაიჯანული ბაზრებისთვისაც და შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პორტებში ტვირთბრუნვის ინტენსივობის ზრდა TEU-ში გამოსახული ხელს უწყობს კავკასიის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 10) მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში მოპოვებული მსპ დაფიქსირებულია მუდმივ მაჩვენებელში (დოლარი), რათა აღმოვხვრას მონაცემთა დამახინჯება სამი სხვადასხვა ადგილობრივი ვალუტის მკვეთრი გაცვლითი კურსის ცვლილების გამო, სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი და ქართულ ლარი და რათა მივიღოთ ინფორმაცია, რომელიც უფრო მჭიდროდ ასახავს ეკონომიკურ ზრდას რეალურ პირობებში.

*ცხრილი 10. კავკასიის ქვეყნების მსპ და ქართული პორტების მიერ გადამუშავებული ტვირთების მოცულობა, 2000-2018 წწ.*

	სომხეთის მსპ მუდმივ ფასებში მლრდ. (2010 USD)	აზერბაიჯანის მსპ მუდმივ ფასებში მლრდ. (2010 USD)	საქართველოს მსპ მუდმივ ფასებში მლრდ. (2010 USD)	ქართული პორტების მიერ გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა TEU
2000	4310688308	13146538453	6331045822	35 206
2001	4722645336	14448045760	6635281199	40 088
2002	5345387543	15979538495	6998485748	48 983

2003	6095922453	17769246844	7772385449	62 602
2004	6734033975	19581710093	8222871319	79 927
2005	7667755682	24751281716	9011304085	105 931
2006	8679746346	33290473787	9860235676	126 905
2007	9873142201	41629404407	11100533051	184 970
2008	10554389013	46113899019	11368955406	253 810
2009	9060944166	50453518393	10953977076	181 613
2010	9260284938	52902703376	11638536862	226 028
2011	9695518330	52937578302	12479016506	261 532
2012	10393595650	54102205125	13271494212	363 111
2013	10736584306	57238335961	13721005572	403 897
2014	11123101341	58383102680	14355373148	446 972
2015	11479040584	59025316699	14768853662	379 816
2016	11501998665	57195531762	15189614371	329 805
2017	12364648565	57252727187	15923763449	394 787
2018	12667503919	56051935704	16448986948	453 938

მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა <https://data.worldbank.org/> (12.05.2019).

რეგრესიისთვის პროგრამული პაკეტი სტატას<sup>126</sup> დახმარებით ჩვენ ავაგეთ წრფივი რეგრესიული განტოლება, რათა განისაზღვროს მოცემული სამი ქვეყნის მსპ-სა და ქართული პორტების მიერ გადამუშავებული კონტეინერიზებული ტვირთნაკადების მოცულობებს შორის ურთიერთკავშირის განმსაზღვრელი ძალა. შედეგი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 11).

ცხრილი 11. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მსპ-სა და ქართული პორტებს შორის დამოკიდებულების რეგრესიული განტოლება

Source	SS	df	MS	Number of obs = 19		
Model	3.6934e+11	3	1.2311e+11	F( 3, 15) =	74.81	
Residual	2.4684e+10	15	1.6456e+09	Prob > F =	0.0000	
Total	3.9403e+11	18	2.1891e+10	R-squared =	0.9374	
				Adj R-squared =	0.9248	
				Root MSE =	40566	

TEU	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
ArmGDP	-.0000173	.0000173	-1.00	0.332	-.0000542	.0000195
AzerGDP	1.55e-06	1.73e-06	0.90	0.383	-2.13e-06	5.24e-06
GeoGDP	.0000494	.0000138	3.58	0.003	.00002	.0000787
_cons	-237555.3	47191.44	-5.03	0.000	-338141.4	-136969.1

გაანგარიშებულია: სტატას მეშვეობით (24.03.2019)

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ კორელაცია და დეტერმინაციის კოეფიციენტები არის საკმაოდ მაღალი. მოდელების დადასტურება ვერ მოხერხდება, რადგან დამოუკიდებელი ცვლადები X1 (სომხეთის მსპ) და X2 (აზერბაიჯანის მსპ) უარყოფითად კავშირშია რეგიონული პორტების ზრდის დონესთან. გარდა ამისა, მოცემული ცვლადები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და შესაბამისად ჰიპოთეზის დადასტურება, რომ სომხური და აზერბაიჯანული მოთხოვნის დინამიკა დაკავშირებულია ქართულ პორტებში ტვირთბრუნვის გამტარუნარიანობის ზრდაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

<sup>126</sup>მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კომპიუტერული პროგრამა - (STATA).



უფრო მეტიც, მიღებული შედეგი წარმოშობს კითხვას თუ რამდენად გამართლებულია დაშვება, რომ ქართული პორტები წარმოადგენენ რეგიონის კარიბჭეს საკონტეინერო ტვირთების ტრანსპორტირებაში ისეთი ჩაკეტილი და ზღვაზე გასასვლელის არმქონე მეზობელი ქვეყნებისათვის, როგორცაა სომხეთი და აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი დამოკიდებულია ნავთობის ექსპორტზე და მისი მსპ შესაძლოა გაიზარდოს არაპროპორციულად ქართული პორტების მიერ წლიური ტვირთნაკადებთან მიმართებაში. სომხეთი პატარა ბაზარია, რომლის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს რუსეთი წარმოადგენს, რომელთანაც ტვირთზიდვისთვის იყენებს მხოლოდ საავტომობილო გზას საქართველოზე გამავალი ლარსის გამშვები პუნქტის მეშვეობით.

აღნიშნული მოდელი შედეგს გვანახებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ცვლადის პირობებში, საქართველოს მსპ, რომელსაც ჰქონდა ძლიერი დეტერმინაციის კოეფიციენტი და მოცემული ცვლადი ამავე დროს იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შედეგების ცხრილის კოეფიციენტი ასევე აღწერს TEU-ს ზრდის ელასტიურობას, როგორც 0,000044 აშშ დოლარის ზრდის მუდმივ ფასებში.

საქართველოს მსპ/საკონტეინერო ტვირთების რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ შორის არსებობს მაღალი კორელაცია (95%), მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტის საპროგნოზო მაჩვენებელი R2 (93%) და მსპ-ს/TEU-ს ელასტიურობის კრახის დაბალი ალბათობა და სხვა სტატისტიკური მაჩვენებლები/პარამეტრები აჩვენებს, რომ მოდელი ამართლებს TEU-ს საპროგნოზო მაჩვენებელს საქართველოს მსპ-თან მიმართებაში.

ცხრილი 12. საქართველოს მსპ/კონტეინერიზებული ტვირთის რეგრესია

Source	SS	df	MS	Number of obs = 19		
Model	3.6708e+11	1	3.6708e+11	F( 1, 17) =	231.58	
Residual	2.6947e+10	17	1.5851e+09	Prob > F =	0.0000	
				R-squared =	0.9316	
				Adj R-squared =	0.9276	
Total	3.9403e+11	18	2.1891e+10	Root MSE =	39813	

TEU	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
GeoGDP	.000044	2.89e-06	15.22	0.000	.0000379	.0000501
_cons	-269442.3	34099.77	-7.90	0.000	-341386.5	-197498.1

გაანგარიშებულია: სტატას მეშვეობით (26.04.2019)

რეგრესიის წრფის ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Y (\text{ქართული პორტები}) = -269442.3 + 0.000044 (\text{მსკ})$$

მიღებული ცვლადი რეგრესიის განტოლების ერთ ცვლადში გვიჩვენებს ძლიერი ურთიერთობებისა და პროგნოზირების ძალას (R2) ქართული პორტების კონტინენრიზებული ტვირთის ნაკადთან მიმართებით. ამდენად, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ტვირთბრუნვის (TEU-ში) დონის შეფასებისთვის, რომელიც მოცემული იქნება საქართველოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის გარკვეულ მოცულობასთან მიმართებაში მომავალში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქვეყნებს მოსალოდნელი რეალური მსკ-ს მოცულობა მომდევნო წლების განმავლობაში წინასწარ. ამდენად, პროგნოზირებული დონე ქვემოთ მოცემული ცხრილიდან შესაძლოა გამოყენებულ იქნას ყოველწლიური მსკ-ს დონის შესაფასებლად 2025 წლამდე.

ცხრილი 13. პროგნოზირებული ტვირთბრუნვის მოცულობა (TEU) საქართველოს პორტებში 2020-2025 წწ.

	საქართველოს მსკ-ს პროგნოზი 2010 წლის მუდმივ მაჩვენებელში (აშშ დოლარი)	ელასტიურობის კოეფიციენტი	საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი მსკ-ს ზრდა (%)	პროგნოზირებადი ტვირთბრუნვის მაჩვენებელი
2020	17842576276	0,0044%	4.99%	515 631
2021	18817673070	0,0044%	5.47%	558 535
2022	19859983981	0,0044%	5.54%	604 397
2023	20649219745	0,0044%	3.97%	639 123
2024	21573685313	0,0044%	4.48%	679 800
2025	22646113210	0,0044%	4.97%	726 986

საერთაშორისო სავალუტო ფონდი <https://www.imf.org> (6.05.2019).

ფოთისა და ბათუმის ამჟამინდელი ჯამური გამტარუნარიანობის სიმძლავრე წელიწადში 500 000 TEU-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი ტვირთის დამუშავებას არსებული საპორტო ინფრასტრუქტურა ვერ მესძლებს. 2020 წელის მეოთხე კვარტალში უკვე ქართულ პორტებს მოუწევთ შეფერხებით მოემსახურონ არსებულ ტვირთნაკადებს ამდენად უმნიშვნელოვანესია რომ განხორციელდეს ახალი პორტის მშენებლობის პროექტი დაგეგმილი ტემპებით ან/და არსებული ეი პი ემ ტერმინალს ფოთის მიერ დაგეგმილი 2 მლნ. TEU-იანი ტერმინალის მეგა პორტის მშენებლობა განხორციელდეს რათა მოხდეს დროული და შეუფერხებელი ტვირთი დვა ქართულ სატრანზიტო კორიდორში.

მთლიანობაში: საზღვაო გადაზიდვების ანალიზისას მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ტვირთბრუნვის მაჩვენებლები - პორტებში დამუშავებული ტვირთების მთლიანი მოცულობა ტონებში და დამუშავებული ტვირთების რაოდენობა TEU-ში, რადგან ქართული პორტების მიერ დამუშავებული ტვირთების მოცულობა ტონებში 2012-2018 წწ. კლებადი ხასიათისაა, იგივე ტრენდი კი TEU-ს შემთხვევაში არ ფიქსირდება; საზღვაო გადაზიდვების შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია - სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, რომელიც ამცირებს გადაზიდვების დროსა და ხარჯებს, ასევე ღრმაწყლოვანი პორტის არსებობა, რომელიც ზრდის ქართული საზღვაო კორიდორის გამტარუნარიანობას და ამცირებს საზღვაო გადაზიდვების დანახარჯებს მასშტაბის ეკონომიის ზრდის პირობებში; უმნიშვნელოვანესია ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი დაგეგმილი ტემპებით განხორციელება ან/და ეი პი ემ ფოთის მიერ დაგეგმილი 2 მლნ. TEU-იანი ტერმინალის მეგა პორტის მშენებლობა; პორტებში ტვირთბრუნვის ზრდისათვის აუცილებელია მასთან პირდაპირ ბმაში იმყოფებოდეს საქართველოს რკინიგზა, რაც გააუმჯობესებს საფასო და საოპერაციო მდგომარეობას.

### 2.2.3. საავტომობილო სექტორი

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში საავტომობილო ტრანსპორტი უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. საბჭოთა კავშირის დროს ამ დარგის საქმიანობა ძირითადად ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებაზე იყო მორგებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სატრანსპორტო სექტორი საერთაშორისო ბაზარზეა ორიენტირებული. თურქეთთან საზღვრის გახსნამ მკვეთრად გაზარდა საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის მასშტაბები. შესაბამისად იზრდება საავტომობილო გზებით გადაზიდული ტვირთების მოცულობა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლები. ქვეყნის საავტომობილო გზებით საშუალოდ ყოველწლიურად თითქმის 17.2 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება. საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9%, საავტომობილო

გადაზიდვებზე მოდის.<sup>127</sup> 1990 წლის შემდეგ საავტომობილო მაგისტრალებმა თავისი ფუნქცია დაიბრუნეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოუვლელობის შედეგად მაგისტრალების უმეტესობა ამორტიზირდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ შეიძინა აზია-ევროპის დამაკავშირებელი კორიდორის სტატუსი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნისთვის პრიორიტეტული გახდა. საავტომობილო გადაზიდვების გაზრდილმა მოთხოვნებმა, დღის წესრიგში არსებული გზების რეკონსტრუქციის და ზოგ შემთხვევაში, ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა დააყენა.


საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაადგილებისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე 1467კმ-ია, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი გზის საერთო სიგრძე - 3477 კმ.<sup>128</sup>

ქვემოთ მოცემული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით (ნახაზი 19) საავტომობილო გადაზიდვები წამყვან პოზიციებს არ თმობს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და მცირე, თუმცა მაინც ზრდით ხასიათდება. 2012-2018 წწ. სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობის ყველაზე დიდი წილი მოდის საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელიც საქართველოს რკინიგზის მთავარ კონკურენტს წარმოადგენს, როგორც ქვეყნის შიგნით ექსპორტისა და იმპორტის გადაზიდვებში, ისე ტრანზიტული ტვირთზიდვის შესრულებისას. საავტომობილო გადაზიდვებს მოსდევს სამოქალაქო ავიაციის მიერ განხორციელებული სატვირთო გადაზიდვების მოცულობა და ბოლოს სარკინიგზო გზებით გადაზიდული ტვირთების მოცულობა, რაც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც (ნახაზი 19) კარგად ჩანს, სადაც მოცემულია 2017-2018 წლების საავტომობილო, სარკინიგზო და საავიაციო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობების შედარებითი მაჩვენებლები.

<sup>127</sup> ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. <http://www.economy.ge/> (16.01.2019).

<sup>128</sup> საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. <http://www.georoad.ge/> (18.01.2019).


ნახაზი 19. სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (16.01.2019).

საავტომობილო სექტორი და მასზე გატარებული ტვირთების რაოდენობა 2012-2018 წლებში მზარდი ხასიათისაა. ქვემოთ მოცემული ნახაზზე (ნახაზი 20) ჩანს, რომ 2012 წელს ჯამურად გადაზიდულია დაახლოებით 20 მლნ. ტონა ტვირთი. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 31 მლნ. ტონას აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ 7 წლის თავზე საავტომობილო სექტორში გადაზიდული ტვირთის მოცულობა დაახლოებით 55 %-ით გაიზარდა. ეს მაღალი მაჩვენებელია იმის ფონზე თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რკინიგზაზე ტვირთზიდვის კლებად ხასიათს. 2015 წელს განსაკურებულად მაღალი მოცულობით მოხდა ტვირთზიდვის შესრულება სწორედ საავტომობილო სექტორში და 47 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვით ჯერ კიდევ მოუხსნელ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ნახაზი 20. საავტომობილო დარგის მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (მლნ. ტ.), 2012-2018 წწ.




საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო [www.economy.ge](http://www.economy.ge) (28.01.2019)

საავტომობილო ტრანსპორტით სატრანზიტო გადაზიდვების ზრდა შესაძლოა დაკავშირებული იყოს შემდეგ ფაქტორებთან: 1. რუსეთსა და სომხეთს შორის ძირითადი ტვირთების საავტომობილო ტრანსპორტზე გადართვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლის გადაზიდვა ლარსის გამშვები პუნქტის დახმარებით; 2. აზერბაიჯანის მიერ 2015 წელს გატარებულმა რეფორმამ, რომელიც მიმართული იყო აზერბაიჯანის

ტერიტორიაზე, არაოფიციალური საბაჟო გადასახადების გაუქმებისკენ, თურქეთ - ირანის/ცენტრალური აზიის საავტომობილო ნაკადი, საქართველო აზერბაიჯანის მიმართულებით გადმორთო.

ქვემოთ მოცემული ნახაზიდან (ნახაზი 21) კარგად ჩანს 2012 – 2018 წლებში ტრანსკავკასიურ კორიდორში ტრანზიტის რეჟიმში მოძრავი საავტომობილო ტრანსპორტის ერთეულის რაოდენობა, კერძოდ, საქართველოს სატრანზიტო დერეფანში პერმანენტულად იზრდება. თუ 2012 წელს 99896 ერთეულმა დატვირთულმა სატვირთო მანქანამ გაიარა, 2018 წელს - 198184 ერთეული ფიქსირდება, რაც 5 წელში 88%-იან ზრდას ნიშნავს, თუ არ ჩავთვლით რეკორდულ ზრდას 2015 წელს, როდესაც ჯამურად 236466 ერთეული სატვირთო ავტომანქანა დაფიქსირდა.

ნახაზი 21. საქართველოს სატრანსპორტო დერეფნით ტრანზიტით მოძრავი ავტოტრანსპორტის რაოდენობა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო [www.police.ge](http://www.police.ge) (15.02.2019).

საავტომობილო ტრანსპორტი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო სახეობაა არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალური სატრანსპორტო სექტორი, არამედ მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სხვა სახის სატრანსპორტო სექტორის განვითარებაში, როგორც საზღვაო, ისე სარკინიგზო და საჰაერო მიმართულებებში. ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის პირობებში საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს გადაზიდვის ყველაზე მოქნილ მოდელს.


სატრანზიტო ფუნქციის რეალიზაციის კონტექსტში ტვირთის გადაზიდვის უმრავლესობა საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. საქართველოსა და აზერბაიჯანში საავტომობილო გზები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ. საავტომობილო ტრანსპორტის მოცულობების გაზრდის გათვალისწინებით, გზების რეკონსტრუქცია ტრანსკავკასიური კორიდორის

განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო გაწევრიანებულია ტრანსევროპულ საგზაო კავშირში<sup>129</sup> (დანართი 11).

საქართველოს საავტომობილო ქსელის საერთო სიგრძე 23 ათას კმ-ს შეადგენს, რაც შიდა სატვირთო გადაზიდვებს ემსახურება და მთავარ საერთაშორისო გზებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.<sup>130</sup> გამოიყოფა:

- საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 1 603 კმ;
- ეროვნული მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 5 298.1 კმ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზები - 15 415 კმ;
- საერთაშორისო მნიშვნელობის ხიდები - 567;
- ეროვნული მნიშვნელობის ხიდები - 1609;
- გვირაბები - 16 - საერთო სიგრძე 9.9 კმ.

ნახაზი 22. საგზაო ტრანსპორტის კავშირი საქართველოში



სავტომობილო გზების დეპარტამენტი [www.georoad.ge](http://www.georoad.ge) (17.11.2018).

შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი საგზაო ხაზი ფოთი/ბათუმი-თბილისი-წითელი ხიდის მონაკვეთზე გადის. მსოფლიო ბანკი საგზაო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო მაგისტრალური სტანდარტების შესაქმნელად ქართული და აზერბაიჯანული მხარისთვის გასცემს დაბალპროცენტის და გრძელვადიან კრედიტს. პროექტი დასავლეთ-აღმოსავლეთის მაგისტრალების გაუმჯობესების სახელითაა ცნობილი East-West Highway Improvement Project (EWHIP). მისი მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, რის შედეგად მათი გამტარუნარიანობა უპასუხებს არსებული ტვირთბრუნვის გამოწვევებს. პროექტის სამი

<sup>129</sup>ევროკომისია, ტრანსპორტი და მობილობა. [https://ec.europa.eu/transport/home\\_en](https://ec.europa.eu/transport/home_en) (06..05.2018).

<sup>130</sup>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაცია. <http://lta.gov.ge> (09.10.2018).

ფაზა უკვე დასრულებულია, რომელიც დაკავშირებულია ალაიანი-აგარის მაგისტრალური მონაკვეთის რეკონსტრუქციასთან. მე-4 ფაზა იმპლემენტაციის პროცესშია და აგარა-ოსიაურისა და ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის საგზაო მონაკვეთებს მოიცავს. შემდგომი ფაზა ითვალისწინებს ჩუმათელეთისა და ხევის საგზაო მარშრუტის დაფარვას, რაც თავის რიკოთის ხეობაში საგზაო გვირაბების მშენებლობას გულისხმობს. ასევე, მიმდინარეობს და დაგეგმილია სხვადასხვა საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები (დანართი 12; დანართი 13).

აზიის განვითარების ბანკის (ADB)- ის ფინანსური მხარდაჭერით, საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვან პროექტს აჭარის რეგიონში - ქობულეთის და ბათუმის შემოვლითი გზების მშენებლობას. დიდი რაოდენობით საერთაშორისო ტრანსპორტიორები იყენებენ ბათუმისა და ფოთის მონაკვეთს. დასრულდა ქობულეთის შემოვლითი გზის პირველი მონაკვეთი და მიმდინარეობს მეორე ნაწილის მშენებლობა. ბათუმის შემოვლითი გზის მონაკვეთის გახსნა ტურისტულ ზონაში მოძრაობას მთლიანად განტვირთავს და სატრანზიტო დროს შეამცირებს.

საქართველოში, ევროპული სტანდარტების ჰარმონიზებასთან დაკავშირებით ტვირთის გადაზიდვის პირობებში განისაზღვრა რეგულაციები. კერძოდ, ნებადართული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების ზომები არ უნდა აღემატებოდეს სიგანეში 2.5 მ-ს, სიმაღლეში 4 მ-ს, სიგრძეში 20 მ-ს. თითო ღერძის წონა არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას და მთლიანი წონა-44 ტონას. ქვეყანაში არაგაბარიტული და წონაგადაჭარბებული მანქანების გადაადგილება აუცილებელია ესკორტირების რეჟიმით.


აზერბაიჯანის საავტომობილო ქსელის მთლიანი სიგრძე დაახლოებით 29 000 კმ-ით შიდა სატვირთო გადაზიდვებს ემსახურება და საერთაშორისო მაგისტრალებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს (დანართი 14). საავტომობილო გზები, ძირითადად რეაბილიტირებულია, თუმცა ტრანსპორტის მზარდი ტრანზიტის ჩასატარებლად საერთაშორისო სტანდარტების განახლება კვლავაც საჭიროა. ძირითადი და სოფლის გზები სავალალო მდგომარეობაშია და გადაუდებელ რეაბილიტაციას მოითხოვს.



ქვემოთ მოცემულია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მონაცემები:

- საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 1 490 კმ;
- ეროვნული მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 4 640 კმ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 14 353 კმ.

ნახაზი 23. საგზაო ტრანსპორტის კავშირი აზერბაიჯანში



აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი [www.stat.gov.az](http://www.stat.gov.az) (26.11.2018).

საერთაშორისო მიმოსვლის ძირითადი მაგისტრალი გადის ბაქო-ალატი-განჯა-ქაზახი-საქართველოს სასაზღვრო დერეფნის (CTC- ის აზერბაიჯანული სექცია) 503 კმ-იანი სიგრძის მონაკვეთს და ასევე მოიცავს ე.წ. ჩრდილო-სამხრეთის სატრანსპორტო 521 კილომეტრიან მონაკვეთს რუსეთიდან ირანის საზღვრამდე. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის გამო, სომხეთთან საგზაო კავშირები ჩაიშალა.

საავტომობილო გზის მშენებლობის თვალსაზრისით, მთავარი გამოწვევაა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა. ტრანზიტული ტვირთის მოსაზიდად, როგორც აზერბაიჯანის, ასევე ეროვნული და საერთაშორისო გზების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა და გზებისა და მაგისტრალების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობა.

განჯისა და აზერბაიჯანის საზღვრის გზის დერეფნის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, EBRD განიხილავს აზერბაიჯანის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გზის სააგენტოს - აზერავთიოლის დაფინანსებას. შემოთავაზებული სამუშაოები ითვალისწინებს არსებული ორი საავტომობილო გზის სავალი ნაწილის გაფართოებასა

და/ან გადაადგილებას დააცენტრალური რეზერვაციით ორმაგი ორსართულიანი სავალი ნაწილის შექმნას (მაგალითად, ოთხი შესახვევი).

რეგულირება არაგაბარიტულ და წონაგადაჭარბებულ ტრანსპორტზე შეესაბამება "საერთაშორისო შეთანხმებას სატვირთო მანქანის ზომებისა და წონების შესახებ საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის სტანდარტს დსთ ქვეყნებში." სატვირთო მანქანის ზომები არ უნდა აღემატებოდეს 4 მ სიმაღლეში, 2.55 მ სიგანეში, 20 მ სიგრძეში და მანქანის წონა არ უნდა აღემატებოდეს 44 ტონას. სხვა შემთხვევებში, საჭიროა მხოლოდ ერთჯერ სპეციალური მანქანის ავტორიზაცია. ესკორტი სავალდებულო ხდება იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის სიგანე, სიგრძე და წონა აღემატება 3.5 მ, 30 მ და 80 ტ. ავტომობილის ღერძის დატვირთვა მერყეობს 10 ტონადან ერთი ღერძიანი სატრანსპორტო საშუალებით ტრიპლელური მანქანებისათვის 22 ტონამდე. თუმცა, ამ რეგულაციის აღსრულება სუსტია და ლიმიტი ხშირად დარღვეულია, რაც აზიანებს გზებისა და ხიდების საფარველს.

სატვირთო ავტომობილების რეგისტრაციის რაოდენობა 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით სულ უფრო იზრდება როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო და ეროვნულ გზებზე პოტენციურად იზრდება საავტომობილო მიმოსვლის ინტენსივობა. 2018 წელს საქართველოში რეგისტრირებულ საავტომობილო გზებზე სატვირთო მანქანების რაოდენობა 2012 წელთან შედარებით 37%-ით გაიზარდა, აზერბაიჯანის შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი 2018 წელს, 2012 წელთან შედარებით, 40%-იან ზრდით ფიქსირდება.<sup>131</sup>

ვაჭრობის ხელშეწყობა შესაძლოა სხვადასხვა ეფექტით გამოვლინდეს, როგორცაა საზღვრისკვეთის პროცედურების გამარტივება, გადაზიდვების რისკის უკეთესი გათვლა და დოკუმენტების გაფორმების თვალსაზრისით პერსონალის მომსახურების მაღალი პროდუქტიულობა. ვაჭრობის გამარტივების მაჩვენებლები აღწერს და ასახავს ვაჭრობის ხელშეწყობის სხვადასხვა ასპექტებს. ყველაზე ხშირად გამოყენებული ინდიკატორები ფოკუსირებულია შემდეგ ასპექტებზე:

---

<sup>131</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. [www.police.ge](http://www.police.ge) (22.09.2018).

- ✓ სასაზღვრო პუნქტიდან საქონლის გათავისუფლებისთვის ძირითადი პროცესებისა და პროცედურებისთვის მოთხოვნილი დრო;
- ✓ სატრანსპორტო ან სატვირთო ხარჯები;
- ✓ საქონლის განბაჟებისათვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა;
- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა/ხარისხი;
- ✓ კანონის უზენაესობის გავრცელება ან კორუფციის დონე.

საქართველო შეესაბამება ან აჭარბებს ქვედა საშუალო შემოსავლის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს საზოგადოებრივი და კერძო დიალოგის, დოკუმენტების გამარტივებისა და ჰარმონიზების, პროცედურების ავტომატიზაციის თვალსაზრისით. თუმცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში საუკეთესოდ ვერ გამოიყურება.

აზერბაიჯანმა საშუალო დონის მისაღწევად საჭიროა გააუმჯობესოს მთელი რიგი ვაჭრობის პროცედურები. აქ მომავალი რეფორმები ორიენტირებული უნდა იყოს ვაჭრობისა და საბაჟო პროცედურების გაუმჯობესებაზე: მარტივი, გამჭვირვალე და საოპერაციო წესები და პროცედურები; დუბლირების თავიდან აცილება; სავაჭრო კონსულტაცია; კორექტირებისა და გასაჩივრების მექანიზმები; ნაკლები ბიუროკრატიული/ნაკლებდოკუმენტური ვაჭრობა; რისკების მართვა და მოვაჭრეების ავტორიზაცია; დოკუმენტების სტანდარტიზაცია და მონაცემთა ელექტრონული მოთხოვნები და ვაჭრობის მონაცემების საერთაშორისო ელექტრონული გაცვლა.

საშუალო სიჩქარე კორიდორებს შორის ძალიან დაბალია და დაახლოებით 18 კმ/სთ შეადგენს. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია საზღვრის კვეთის პროცედურებთან და რიგების სისტემაში დიდი ხნით დაყოვნებასთან. რიგის სისტემაში დაყოვნების დრო და სასაზღვრო კონტროლის ხანგრძლივობა ზოგჯერ სრული მარშრუტის ტრანზიტული დროის 60% -ს აღემატება.

საქართველოს საბაჟოს მიერ მიღებული წარმატებული ღონისძიებების მიუხედავად, საზღვრებზე ლოდინი ჯერ კიდევ ტრანსკავკასიური კორიდორის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. თურქულ-ქართულ სასაზღვრო პუნქტში - სარფში დაყოვნების

საშუალო დრო მინიმუმ 24 საათია, თუმცა დეკემბრის ე.წ. მაღალი სეზონის პერიოდში, მოლოდინის ხანგრძლივობა გრძელდება სამი დღის განმავლობაში. მსგავსი პრობლემებია წითელ ხიდზეც, თუმცა სარფთან შედარებით დაყოვნების ნაკლები დროა. სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მთავარი პრობლემა თურქეთის მხარის შეზღუდული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებია, რაც აფერხებს მაღალი მოცულობის ტვირთის მოძრაობას. თურქეთის მთავრობის მიერ სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მოდერნიზაციის პროექტი მიმდინარეობს, თუმცა მთიანი რელიეფის და ზღვის კომბინაცია ტვირთზიდვის ტექნიკურ მხარეს ბუნებრივი შეზღუდვებს უქმნის.

სარფში, ორ ქვეყანის საზღვრის მაკონტროლებელ სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის დონე დამაკმაყოფილებელია. შეიქმნა ერთობლივი ინსპექცია. კარგად არის ორგანიზებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პროცესი. მაქსიმალურ დონეზეა ჰარმონიზებული კანონები და წესები. მეთოდები და საშუალებები სტანდარტიზებულია, პროცედურები გამარტივებული. საზღვრის ორივე მხარეს, სასაზღვრო კონტროლის უწყებებმა შექმნეს თითქმის ყველა ხელსაყრელი პირობები. საქართველოსა და თურქეთს შორის ორი ალტერნატიული საზღვრის კვეთის პუნქტი არსებობს - ვალე და კარსტახი, თუმცა ნაკლებად გამოიყენება ძირითადად რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და რთული ლანდშაფტის გამო.

"წითელი ხიდი" საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავარ სასაზღვრო პუნქტს წარმოადგენს. წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ინფრასტრუქტურას უფრო მაღალი შესაძლებლობები აქვს, თუმცა სასაზღვრო თანამშრომლობა და საბაჟო პროცედურების ეფექტიანობა, ძირითადად, აზერბაიჯანის მხარეს, საშუალო სტანდარტისაა. აზერბაიჯანისა და საქართველოს სასაზღვრო კონტროლის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული თანამედროვე მეთოდების დანერგვის, საბაჟო ინსპექციის და სატრანსპორტო საშუალებების რიგის სისტემაში მომლოდინე რეჟიმში ყოფნის დროის მინიმალიზების საშუალებას იძლევა.

სატრანზიტო დრო აზერბაიჯანის კასპის ზღვის მიმართულებით საბორნე გადაზიდვების განხორციელებისას კიდევ უფრო დიდია, კასპის ზღვაზე აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთის შეფერხების გამო. ტვირთზიდვის პროცესში მსხვილ პროექტებში აზერბაიჯანული რკინიგზის მიერ ორგანიზებულ გადაზიდვებში კასპის ზღვაზე გადასაზიდად უპირატესობა ენიჭება აზერბაიჯანის კასპის საზღვაო გადაზიდვების კომპანიას (კასპის გადაზიდვის ძირითადი სატრანსპორტო საშუალების მქონე საბორნე კომპანია), რაც ხელს უშლის ავტოსატრანსპორტო გადაზიდვების განვითარებასა და საიმედოობას ტრანსკავკასიურ კორიდორში. სატრანსპორტო მოცულობები კასპის გამოყენებით ცენტრალური აზიის მიმართულებით სავარაუდოდ მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან თურქმენეთი, უზბეკეთი და ყაზახეთი ბაქოს ტრანსსასაზღვრო პროცედურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებით არიან დაინტერესებულნი რათა მათ შეძლონ საკუთარი ნედლეულის შეუფერხებელი ტრანსპორტირება როგორცაა ზამბა, პოლიეთილენი, ალუმინიუმის ხვეულები, კარბამიდი და სხვ.

დამატებითი ლოგიკური გაგრძელებაა საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის ელექტრონული წინასწარი დეკლარაციისა (TIR-EPD) და ე.წ. მწვანე ბილიკების ფორმირება, რაც საშუალებას მისცემს სატვირთო მანქანებს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე დამატებით დრო არ დაკარგონ და ყველა საჭირო საბაჟო და ტექნიკური პროცედურა წინასწარ ელექტრონულად გაიარონ, ვიდრე საზღვრისკვეთის პუნქტამდე მივა ტვირთით სავსე მანქანა. თუ წინასწარი რისკის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის კონტროლს, შესაბამისი პროცედურები შესრულდება გამარტივებული რეჟიმის ზონაში ანუ მწვანე ზონაში, რაც შესაძლებელს გახდის საზღვრების და სატრანსპორტო ხარჯების საგრძნობ შემცირებას, საბაჟო კონტროლის, მუშახელის საბაჟო ოპერაციაში ჩართულობის ინტენსივობის შემცირებას და საბოლოოდ შეამსუბუქებს საზღვრის გადაკვეთის ინფრასტრუქტურაზე დატვირთვას. TIR-EPD უკვე წარმატებით აპრობირებულია 33 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლიდან TIR-EPD-ის განაცხადი ძალაშია, სატრანსპორტო ოპერატორები აქტიურად არ იყენებენ მას, რადგან მათი აზრით, მოლოდინები ხარვეზებთან

დაკავშირებით და ასევე ფინანსური კუთხით არარენტაბელურია. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში (ცხრილი 14; ცხრილი 15 და ცხრილი 16) ტრანსკავკასიურ კორიდორში არსებული საზღვრისკვეთის ძირითადი პუნქტებია წარმოდგენილი.

ცხრილი 14. საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული საერთაშორისო საზღვრისკვეთის პუნქტები

	საზღვრისკვეთის პუნქტები საქართველოში	დისლოკაცია საქართველოში	საზღვრისკვეთის პუნქტები თურქეთში	დისლოკაცია თურქეთში
1	სარფი	აჭარა, სოფ. სარფი	სარფი	ტრაპზონი, ართვინის პროვ.
2	ვალე	სამცხე-ჯავახეთი, სოფ. ვალე	პოსოფი	ერზურუმი, არდაჰანის პროვ.
3	კარწახი	სამცხე-ჯავახეთი, სოფ. ვალე	ჩილდირი	ერზურუმი, არდაჰანის პროვ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დაცვის პოლიცია <http://bpg.gov.ge/ge/> (26.08.2018).

ცხრილი 15. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული საერთაშორისო საზღვრისკვეთის პუნქტები

	საზღვრისკვეთის პუნქტები საქართველოში	დისლოკაცია საქართველოში	საზღვრისკვეთის პუნქტები აზერბაიჯანში	დისლოკაცია აზერბაიჯანში
1	წითელი ხიდი	ქვემო-ქართლი, მუდანლო	წითელი ხიდი	განჯა, შიხლი II
2	ვახტანგისი	ქვემო-ქართლი, სოფ. ვახტანგისი	სადახლო	განჯა, სოფ. სადახლო
3	ცოდნა	კახეთი, ლაგოდეხი	ცოდნა	შაკი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დაცვის პოლიცია <http://bpg.gov.ge/ge/> (26.08.2018).

ცხრილი 16. აზერბაიჯანსა და ირანს შორის არსებული საერთაშორისო საზღვრისკვეთის პუნქტები

	საზღვრისკვეთის პუნქტები აზერბაიჯანში	დისლოკაცია აზერბაიჯანში	საზღვრისკვეთის პუნქტები ირანში	დისლოკაცია ირანში
1	ჯოღღა	ნახიჩევანი	ჯოღღა	ჯოღღა
2	ასტარა	ასტარა	ასტარა	გილანის პროვ.

ტრასეკა <http://www.traceca-org.org/en/> (27.08.2018).

საკითხის გაანალიზებამ ცხადყო, რომ ამჟამად საავტომობილო გადაზიდვები უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ტრანსკავკასიურ კორიდორში, საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვებთან შედარებით, სადაც ტვირთბრუნვა ყოველწლიური ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, თუმცა მათ შორის უმთავრესია საოპერაციო სიმარტივე და კონკურენციის მაღალი დონე, რაც საავტომობილო გადაზიდვებს უფრო მოქნილს და იაფს ხდის ტვირთმფლობელებისთვის. საავტომობილო გადაზიდვების კიდევ უფრო განვითარების მთავარ დამაბრკოლებელ საკითხს წარმოადგენს საზღვრის კვეთის რთული პროცედურები მეზობელ სახელმწიფოებთან და არასათანადო ინფრასტრუქტურა რათა მიიღონ შესაბამისი რაოდენობის საავტომობილო საშუალება, შედეგად იზრდება მოცდენის დრო, ხარჯი და საბოლოო ჯამში ტრანზიტული დროც. ამდენად, საქართველოს საბაჟოს მიერ მიღებული ქმედითი ღონისძიებების მიუხედავად, მეზობელი ქვეყნების საზღვრებზე მოლოდინი ჯერ კიდევ ტრანსკავკასიური კორიდორის

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. მნიშვნელოვანია მოხდეს აზერბაიჯანისა და საქართველოს სასაზღვრო კონტროლის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, არაგაბარიტული და მძიმეტონაჟიანი ტვირთების რეგულაციის გადახედვა და ახალი სტანდარტების დაწესება ექსპორტის ხარჯის თავიდან აცილების მიზნით, ან თავად საექსპორტო მომსახურების ღირებულების შემცირება, ტვირთზიდვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ოპერატიული და შეუფერხებელი გაცვლისთვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა, საბაჟო ინსპექციის და სატრანსპორტო საშუალებების რიგის სისტემაში მომლოდინე რეჟიმის მინიმალიზება. სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ხანგრძლივი დოკუმენტური მონიტორინგისა და რიგების თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია სავალდებულო წესით საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის ელექტრონული წინასწარი დეკლარაციისა (TIR-EPD) და ე.წ. მწვანე ბილიკების ფორმირება, რაც საშუალებას მისცემს სატრანსპორტო საშუალების მფლობელებს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე დამატებით დრო არ დაკარგონ და ყველა საჭირო საბაჟო და ტექნიკური პროცედურა წინასწარ ელექტრონულად გაიარონ, ვიდრე საზღვრისკვეთის პუნქტამდე მივა ტვირთით სავსე სატრანსპორტო საშუალება;

მთლიანობაში, ზემოაღნიშნული სატრანსპორტო სექტორების და მათზე გატარებული ტვირთნაკადების გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სატრანსპორტო დერეფნები უნდა განვიხილოთ არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკური და სატრანსპორტო დერეფნებში ინტეგრაციის პოზიციიდან, არამედ უპირველ ყოვლისა, როგორც მსოფლიო ლოჯისტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ამასთან, ლოჯისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურულ შემადგენლობას წარმოადგენენ გამანაწილებელი ცენტრები, მულტიმოდალურ/ინტერმოდალურ სატრანსპორტო ქსელთა ურთიერთმოქმედი მულტიმოდალურ-ტერმინალური კომპლექსები, რომლებიც შეკრულნი არიან ერთ სისტემად, მუშაობენ ერთიანი სტანდარტებით, ნორმებით და წესებით „კარიდან კარამდე“<sup>132</sup> და „ზუსტად დროში“ ტექნოლოგიებით მაღალეფექტიანი საბოლოო შედეგის მიღწევით. აღნიშნულ ლოჯისტიკურ სისტემაში კი უმნიშვნელოვანეს

<sup>132</sup> სატრანსპორტო ლოჯისტიკა. (2015). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ.

ოპერაციულ რგოლებს წარმოადგენენ საზღვაო პორტები, რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტი, რომლის ტექნიკური მაჩვენებლები, გამტარუნარიანობა და საფასო პოლიტიკა სატრანსპორტო კორიდორში ტვირთზიდვის მოცულობის ცვლილებას განსაზღვრავს. ზემოთმოცემული ანალიზიდან ჩანს, რომ ყველა სატრანსპორტო საშუალების მიერ გადაზიდული ტვირთების ჯამური რაოდენობა უკანასკნელი წლების განმავლობაში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ტვირთზიდვის ტრენდი განსხვავდება ერთამანეთისაგან სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და ლიდერი პოზიცია საავტომობილო გადაზიდვებს უკავია, რომელსაც მოსდევს საზღვაო და შემდგომ სარკინიგზო გადაზიდვები, თუმცა საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვებში გათვალისწინებულია ტვირთების ის მოცულობა, რომლებიც ქართულ პორტებში შემოდის საკონტეინერო და ნაყარი ტვირთების სახით და ნაწილდება საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ცენტრალურ აზიაში. ამდენად, რეალურად საზღვაო გადაზიდვების წილი ტვირთბრუნვის მთლიან მოცულობაში საერთაშორისო გადაზიდვების კუთხით მოწინავეა და მას მოსდევს საავტომობილო გადაზიდვები და ბოლოს სარკინიგზო გადაზიდვები. სატრანსპორტი საშუალებებისა და მასზე განხორციელებული ტვირთბრუნვების მიხედვით ნათლად გამოიკვეთა, რომ პოტენციური გამტარუნარიანობა ჯერ კიდევ აუთვისებელია, თუმცა არსებობს ტექნიკური, ადმინისტრაციული და საფასო საკითხები, რომელთა მოგვარება უნდა მოხდეს, როგორც ქვეყნის შიგნით სექტორულ დონეზე, ისე მეზობელ და პარტნიორ სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადებით თამაშის საერთო წესის ფორმირებისათვის, რათა ხელი შეეწყოს ყველა სატრანსპორტო საშუალების ორკესტრირებულ ამოქმედებას შეუფერხებელი მიწოდების ჯაჭვის ფორმირებისათვის არა მხოლოდ ქართულ სატრანსპორტო მონაკვეთზე, არამედ მთლიანად ტრანსკავკასიური კორიდორის ყველა ლოჯისტიკური რგოლის გაერთიანებით, ისე, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები და ინფრასტრუქტურული პროექტები იყვნენ ტვირთზიდვის პროცესში ურთიერთშემავსებელი ფუნქციის მატარებლები და არა ურთიერთგამომრიცხავი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ერთი



სატრანსპორტო დარგის გაძლიერებ-განვითარების სანაცვლოდ სხვა სატრანსპორტო დარგის ჩავარდნას, ამისათვის კი მნიშვნელოვანია სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო სექტორებმა იდენტიფიცირება მოახდინონ ძირითადად განსხვავებული ტიპის ტვირთების გადაზიდვაზე და ითანამშრომლონ საერთო ინტერესის ტვირთზიდვებზე, რათა თითოეულმა მათგანმა საკუთარი კონტრიბუციით შექმნას მიწოდების ჯაჭვის ის ნაწილი, რომელიც შეუძლებელი იქნება სხვა სატრანსპორტო დარგის მიერ და პირიქით.

*თავი 3. კონკურენტი სატრანზიტო დერეფნების შედარებითი ანალიზი*

ევროპისა და აზიის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთკავშირში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია ყველა იმ სატრანზიტო მარშრუტს, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთნაკადების გადაზიდვას, როგორც სარკინიგზო, ისე სა, საზღვაო და შერეული ფორმით. მსოფლიო ტვირთნაკადების 50%-ზე მეტი მოდის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შესრულებულ ტვირთზიდვაზე. 2017 წელს ევროკავშირი იყო ჩინეთისთვის რიგით მეორე უდიდესი სავაჭრო პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ. ამერიკაზე მოდიოდა ჩინური ექსპორტის 18%. ევროკავშირსა და ჩინეთზე ჯამურად მოდის მსოფლიოს მოსახლეობის 64% და გლობალური მსკ-ს 30%-ზე მეტი. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილით (ცხრილი 17 და 18) ჩანს სარკინიგზო მარშრუტზე ევროკავშირ-ჩინეთს შორის ვაჭრობის დაახლოებით 1% მოდის და ძირითადად ტვირთზიდვა ხორციელდება საზღვაო მარშრუტით, რომელიც ტვირთბრუნვის საერთო მოცულობის 90%-ს აჭარბებს.

*ცხრილი 17. ევროკავშირის იმპორტი ჩინეთიდან 2018 წ.*

<i>სატრანსპორტო მარშრუტი</i>	<i>მოცულობა</i>	<i>წილი (%)</i>
საზღვაო	213.7 მლრდ. ევრო	90.80%
საჰაერო	83.4 მლრდ. ევრო	2.00%
საგზაო	27.7 მლრდ. ევრო	4.40%
სარკინიგზო	506 მლრდ. ევრო	1.00%
სულ	342.5 მლრდ. ევრო	

*ევროპის სტატისტიკის სამსახური <https://ec.europa.eu/eurostat> (01.02.2019).*

*ცხრილი 18. ევროკავშირის ექსპორტი ჩინეთში 2018წ.*

<i>სატრანსპორტო მარშრუტი</i>	<i>მოცულობა</i>	<i>წილი (%)</i>
საზღვაო	101.9 მლრდ. ევრო	96.40%
საჰაერო	52.5 მლრდ. ევრო	1.50%
საგზაო	3.5 მლრდ. ევრო	1.30%
სარკინიგზო	4.5 მლრდ. ევრო	0.80%
სულ	164.2 მლრდ. ევრო	

*ევროპის სტატისტიკის სამსახური <https://ec.europa.eu/eurostat> (01.02.2019).*

სატრანსპორტო/ლოჯისტიკური კომპანიები და ის ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობენ სატრანსპორტო სისტემებში, ყოველწლიურად ასეულობით მილიონ აშშ დოლარის შემოსავალს იღებენ. თანამედროვე ეტაპზე აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროზე განლაგებული ქვეყნები დასავლეთ ევროპის ატლანტიკის ოკეანისპირა განვითარებულ სახელმწიფოებს ხუთი არსებული საერთაშორისო მარშრუტით უკავშირდებიან,

რომელთაგანაც ერთ-ერთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ეს საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნებია:

- ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი;
- სამხრეთის საზღვაო დერეფანი;
- ტრანსციმბირული სატრანზიტო დერეფანი;
- სამხრეთის საგზაო სატრანსპორტო დერეფანი;
- ახალი აბრეშუმის გზის ანუ ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფანი.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ ზემოთ ჩამოთვლილი კორიდორების შეფასება და მათი შედარებითი ანალიზი უნდა გავითვალისწინოთ, რომ შედარებისათვის უმთავრეს ორ ინდიკატორს წარმოადგენს ამ კორიდორში გატარებული ტვირტის ტრანსპორტირების ხარჯი და მისი ტრანსპორტირებისთვის საჭირო ტრანზიტული დრო, რაც ფულადი გამოხატულებით იანგარიშება ტვირტმფლობელების მიერ საკუთარი ფულადი ნაკადების ანუ ე.წ. Cashflows-ს გამოთვლისას დროსთან მიმართებაში ფულის ბრუნვის სიჩქარის კონტექსტში.

აქვე მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მარშრუტები წარმოადგენენ ქართული ანუ ტრანსკავკასიური კორიდორის კონკურენტ დერეფნებს მხოლოდ ევროპასა და აზიას შორის ტვირტშიდგების კუთხით და ამ თვალსაზრისით საუბარი გვაქვს საერთაშორისო მოთამაშეების ანუ ჩინეთისა და ევროკავშირის ინტერესებზე რაც შეიძლება უმოკლესი და ნაკლებდანახარჯიანი გზით მოახდინონ ურთიერთვაჭრობის განვითარება სატრანსპორტო დროისა და დანახარჯების მინიმიზალიზებისა და გამარტივების გზით, მაგრამ ასევე აუცილებელია ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნას ორი დამატებითი მარშრუტი: ე.წ. სამხრეთის მულტიმოდალური (შერეული) სატრანზიტო კორიდორი, რომელიც აზიური ტვირტების გადაზიდვას უზრუნველყოფს ირანის პორტ ბანდარ აბასამდე სამხრეთის საზღვაო კორიდორით და შემდგომ სარკინიგზო და საავტომობილო გზებით ახდენს ტვირტების გადამისამართებას სომხეთში, აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიაში, ქართული ანუ ტრანსკავკასიური კორიდორის გვერდის ავლით და მეორე ე.წ. ჩრდილოეთის მოკლე

ზღვის მულტიმოდალური კორიდორი, რომელიც ევროპული ტვირთების ტრანსპორტირებას ახდენს ჩრდილოეთ ევროპის მაღალგამტარიანი პორტებიდან (როტერდამი, ჰამბურგი, ანტვერპენი) რიგის პორტამდე და იქიდან რუსეთის გავლით რკინიგზით ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში. აღნიშნული უკანასკნელი ორი მარშრუტი ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ როგორც საშინაო რეგიონული (აზერბაიჯანი და სომხეთი) და საგარეო რეგიონული (ცენტრალური აზიის ქვეყნები) სახელმწიფოების ტვირთზიდვის პროცესში უმნიშვნელოვანეს კონკურენტ დერეფნებად. ამ პროცესში კი არ განიხილება ჩინეთსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის სატრანზიტო ტვირთები.

### 3.1. ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვაო დერეფანი

ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტი გულისხმობს მანძილს ჩრდილოეთ ევროპის სკანდინავიური ქვეყნების ნავსადგურებიდან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის გავლით წყნარი ოკეანის აზიური ქვეყნების პორტებამდე. ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტის უპირატესობა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამხრეთის საზღვაო დერეფანთან მიმართებაში მდგომარეობს მისი მანძილის სიმოკლეში, რამაც შეიძლება ნახსენები სატრანზიტო დერეფანი მეტად კონკურენტუნარიანი გახადოს ევროპასა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ტვირთნაკადების გადაზიდვის პროცესში. გემების მოძრაობა ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანში მკვეთრად ამცირებს გადაზიდვის სატრანზიტო დროს იაპონიისა და კორეის პორტებიდან. მაგალითად, იოკოჰამას, ნაგოიას, ბუსანისა და ინჩეონის საზღვაო ნავსადგურებიდან როტერდამისა და ჰამბურგის პორტამდე ტრანზიტული დრო სულ რაღაც დაახლოებით 28-30 დღემდე მერყეობს. ასევე ჩინეთის პორტი ქინგდაოდან ჰელსინკის პორტამდე მანძილი 11500 კმ-ს არ აჭარბებს, რაც პრაქტიკულად სამხრეთის საზღვაო კორიდორის ნახევარი მანძილია. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რუსეთის აქტიური მუშაობა ჩრდილოეთ საზღვაო დერეფნის კომპლექსური განვითარების მიმართულებით, რათა მისი უპირატესობები მკვეთრად დაფიქსირდეს მსოფლიო სატრანზიტო რუკაზე, თუმცა, დღემდე არქტიკული ზონის

ფაქტორი მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის და დერეფანს სეზონურობის რისკს სძენს. ამდენად, ამ მარშრუტის გამოყენება დამატებით დამხმარე საშუალებების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია და გემების მოძრაობა შეუფერხებლად წელიწადში მაქსიმუმ 4 თვემდე მიმდინარეობს. გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონზე მძლავრი ცინულმჭრელების დახმარების გარეშე გადამზიდავი გემები დიდი პრობლემების წინაშე დგანან, რაც სერიოზულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. აღარაფერს ვამბობთ ზამთრის სეზონზე, როდესაც მოცემული დერეფანი სრულად პარალიზებულია. მსგავსი სეზონურობით არ ხასიათდება სამხრეთის საზღვაო დერეფანი. იგი სტაბილურ საზღვაო მარშრუტს წარმოადგენს, თუმცა დიდი მანძილის გამო სატრანზიტო დრო მერყეობს 40 დან 55 დღემდე. მიუხედავად დიდი ტექნიკური სირთულეებისა, ზამთრის სეზონზე ისეთმა საზღვაო გიგანტმა, როგორცაა დანიური მერსკი (A.P. Moller Maersk) გადაწყვიტა მის ფლოტში არსებული გემების კონკრეტული რაოდენობა აღჭურვოს ცინულმჭრელი დანადგარებით და მაქსიმალურად აითვისოს გვიანი შემოდგომისა და ადრეული გაზაფხულის პერიოდი ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტზე და პირველი ვოიაჟი საკონტინერო გადაზიდვაზე უკვე ჩაინიშნა 2020 წლისთვის.<sup>133</sup>

ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი (დანართი 15) დღეის მდგომარეობით მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: აზია - ჩრდილოეთ ცინულოვანი ოკეანის აუზი - ჩრდილოეთ ევროპა (სკანდინავიური ქვეყნები). მისი ძირითადი უპირატესობები:

- მოკლე მანძილი;
- მცირე სატრანზიტო დრო;
- საერთაშორისო გადატვირთვის პორტების სიმცირე.

მისი ძირითადი ნაკლოვანებებია:

- სეზონურობა;
- ტექნიკური ბარიერების მაღალი დონე;
- მაღალხარჯიანობა (გადაზიდვის მაღალი ტარიფები);
- საოპერაციო მართვის პროცედურების სირთულე.

---

<sup>133</sup><https://www.highnorthnews.com/en/maersk-container-ship-transits-arctic-ocean-icebreaker-escort> (08.05.2018).

სამხრეთ კორეის მაღალგამტარუნარიანი პორტიდან ბუსანიდან როტერდამის პორტამდე მანძილი შეადგენს 12 700 კმ-ს ჩრდილოეთის საზღვაო კორიდორის ანუ არქტიკული კორიდორის პირობებში, ხოლო იგივე პორტებს შორის მანძილი ტრადიციული ე.წ. საზღვაო აბრეშუმის გზის ანუ სამხრეთის საზღვაო კორიდორის გავლით 20100 კმ-ს რაც ფაქტობრივად აორმაგებს სატრანზიტო დროს ტვირთზიდვისას.

ვინაიდან ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი ჯერ აუთვისებელია და მისი კონტრიბუცია პრაქტიკულად ნულის ტოლია დასავლეთ-აღმოსავლეთისა და პირიქით ტვირთზიდვის პროცესში, ამდენად რთულია რაიმე გათვლების გაკეთება ტვირთზიდვის განხორციელებაზე თუ რამდენი დანახარჯი შეიძლება ქონდეს ერთი TEU-ს პირობებში, ამგვარი დათვლის საშუალება მოგვეცემა საორიენტაციოთ 2020 წლისთვის, როცა მერსკი თავის პირველ საკონტეინერო გემს გაატარებს აღნიშნულ მარშრუტზე და დააფიქსირებს საზღვაო ფრახტის ღირებულებას მშრალი კონტეინერების შესაბამისი ტიპების მიხედვით.

სამხრეთის საზღვაო დერეფანი გულისხმობს სამხრეთ ევროპული ქვეყნების, როგორც ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნების, ისე ჩრდილოეთ ევროპის პორტებიდან სუეცის არხით ინდოეთის ოკეანესთან დაკავშირებას და საბოლოოდ აზიის წყნარი ოკეანისპირა ქვეყნებამდე მანძილს (დანართი 16).

ქვემოთ (ცხრილი 19) მოცემულია ჩინეთის ძირითადი პორტებიდან (ქინგდაო, შანხაი, ნინგბო, ქსიამენი, იანტიანი) ჩრდილოეთ ევროპის ყველაზე მეტად გამტარუნარიან პორტებამდე (ჰამბურგი, როტერდამი, ფელიქსტოუ) სატრანზიტო მარშრუტი და დრო. საზღვაო მარშრუტის დიდ სატრანზიტო დროს კიდევ უფრო მეტად აფერხებს სეზონურობა. კლიმატური პირობების გამო საკონტეინერო ხაზები პორტებში საოპერაციო რიგებს ქმნიან და ვერ ხერხდება მათგან კონტეინერების გადმოტვირთვა. გარდა ამისა, შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ე.წ. გადატვირთვის საერთაშორისო პორტები, სადაც ხშირია ტვიტების შეფერხება ჭარბი ტვირთბრუნვის გამო ანუ საერთაშორისო გადატვირთვის პორტი სხვადასხვა საზღვაო ხაზს შესაძლოა განსხვავებულ პორტებში ქონდეს და აღნიშნულ პორტებში ხდება კონტეინერების

გადმოტვირთვა შემდგომი გადანაწილებისა და მიზნობრივი დატვირთვის მიხედვით. ამდენად, ხშირად კონკრეტული კონტეინერი საერთაშორისო გადატვირთვის პორტებში ტერმინალებზე გადმოიტვირთება და შემდგომ რიგითობის პრინციპით ხდება მათი დაჯავშნა გემებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე არის შემთხვევები, როცა კონკრეტული კონტეინერები ერთი და ორი თვითაც კი რჩებიან საერთაშორისო გადატვირთვის პორტებში და ამასობაში პრიორიტეტულ კონტეინერებს ტვირთავენ უახლოეს გემზე (როგორც წესი რეფრიჟერატორიან კონტეინერებში მოთავსებული ტვირთების ტრანსპორტირება ყოველთვის პრიორიტეტულია ანუ მალფუჭებადი პროდუქციას ამგვარი შემთხვევა ნაკლებად შესაძლოა დაუდგეს). ეს იწვევს საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების დროის გაზრდას. სწორედ ამიტომაც საზღვაო გადაზიდვის მთავარ დოკუმენტში (კონოსამენტი) ხაზგასმით მითითებული, რომ საზღვაო ხაზი არ არის პასუხისმგებელი დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ტვირთის თავდაპირველად შეთანხმებულ სატრანზიტო დროზე გვიან მიწოდებასთან დაკავშირებით.

ცხრილი 19. საზღვაო ფრახტის ღირებულება და სატრანზიტო დრო ჩინეთი-ჩრდილოეთ ევროპა (FOB პირობა) - ფასის მოქმედების ვადა 1.01.2019-31.01.2019

მარშრუტი		გენერალური, მშრალი ტვირთი		დრო (დღე)
დატვირთვის პორტი	დაცლის პორტი	ხარჯი/ 20' კონტეინერი (26 t)	ხარჯი/ 40' კონტეინერი (26 t)	
ქინგდაო	ჰამბურგი; როტერდამი; ანტვერპენი	850	1550	35
შანხაი		850	1550	35
ნინგბო		850	1550	35
ქსინგანგი		850	1550	35
ქინგდაო	რიოა; ტალინი; კლიპედა	815	1425	48
შანხაი		815	1425	48
ნინგბო		815	1425	48
ქსინგანგი		815	1425	48

შპს მერსკ საქართველო. <https://www.maersk.com/> (16/01/2019).

ზემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 19) ნაჩვენებია ჩინეთის უმსხვილესი პორტებიდან ევროპის მაღალგამტარუნარიან პორტებამდე დანახარჯი და სატრანზიტო დრო, როგორც მშრალი 20 ფუტიანი კონტეინერით ტრანსპორტირების შემთხვევაში, ისე 40 ფუტიანის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ ცხრილში გათვალისწინებულია მხოლოდ საზღვაო ფრახტის დანახარჯი. იმისათვის, რომ სრულად შეგვექმნას წარმოდგენა რა სატრანსპორტო დანახარჯი შეიძლება ჰქონდეს ტვირთმფლობელს, ასევე უნდა გავითვალისწინოთ დატვირთვისა და დაცლის პორტებში არსებული სატერმინალო მომსახურების დანახარჯები, კონტეინერის ტერმინალიდან გატანის მოსაკრებლები, საიმპორტო და საექსპორტო განბაჟების

ხარჯები და ძალიან ბევრი სხვა ხარჯი, რომელიც სპეციფიკურია ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურად, თუმცა ჩვენ მხოლოდ სტანდარტულ ხარჯებს დავაფიქსირებთ და ვნახავთ ე.წ. FREE ON BOARD (FOB) კომერციული გარიგების პირობით ტრანსპორტირებისას ანუ პორტიდან-პორტამდე რა ჯდება მშრალი, კონტეინერიზებული ტვირთის ტრანსპორტირება. როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალოდ დაახლოებით ტრანზიტული დრო ჩინეთის ძირითადი პორტებიდან ჩრდილოეთ ევროპის პორტებამდე (ჰამბურგი, როტერდამი, ანტვერპენი) მერყეობს 35 დღის ფარგლებში და 20 ფუტიანი კონტეინერის საზღვაო ფრახტი შეადგენს 850 აშშ დოლარს, მაშინ როცა 40 ფუტიანის დანახარჯი თითქმის გაორმაგებულია და შეადგენს 1550 აშშ დოლარს. ბალტიურ პორტებამდე კი ტრანზიტული დრო იზრდება დაახლოებით 48 დღემდე, მაშინ როცა 20 ფუტიანი კონტეინერის დანახარჯი ცოტათი ნაკლებია - 815 აშშ დოლარი, ისევე როგორც 40 ფუტიანის საზღვაო ფრახტი და შეადგენს 1425 დოლარს.

სატრანსპორტო დანახარჯზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია საზღვაო ფრახტთან ერთად გავითვალისწინოთ საექსპორტო და საიმპორტო სატერმინალო მომსახურების ღირებულებები. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში (ცხრილი 20 და 21) წარმოდგენილია ჩინეთის ძირითად პორტებში საექსპორტო და საიმპორტო სატერმინალო მომსახურების დანახარჯები, როგორც 20 ფუტიან, ისე 40 ფუტიან მშრალ კონტეინერებზე. ასევე წარმოდგენილია ჩრდილოეთ ევროპის ძირითადი, მაღალგამტარუნარიანი პორტების ანალოგიური დანახარჯები.

ცხრილი 20. სატერმინალო მოსახურება ჩინეთში ექსპორტი/იმპორტი - მოქმედების ვადა: 01/01/2019-31/12/2019

პორტი	20 ფუტიანი მშრალი კონტეინერი		40 ფუტიანი მშრალი კონტეინერი	
	ექსპორტი (USD)	იმპორტი (USD)	ექსპორტი (USD)	იმპორტი (USD)
ქინგდაო	95	95	145	145
შანხაი	90	90	140	140
ნინგბო	100	100	150	150
ქსინგანგი	90	90	140	140

შპს მერსკ საქართველოს ოფიციალურ ინფორმაციაზე დარყდნობით <https://www.maersk.com/> (16/01/2019).

ცხრილი 21. სატერმინალო მოსახურება ჩრდილოეთ ევროპაში ექსპორტი/იმპორტი - მოქმედების ვადა: 01/01/2019-31/12/2019

პორტი	20 ფუტიანი მშრალი კონტეინერი		40 ფუტიანი მშრალი კონტეინერი	
	ექსპორტი (USD)	იმპორტი (USD)	ექსპორტი (USD)	იმპორტი (USD)
ჰამბურგი	320	320	320	320
რიგატალინი, კლაიპედა	115	115	115	115

შპს მერსკ საქართველოს ოფიციალურ ინფორმაციაზე დარყდნობით <https://www.maersk.com/> (16/01/2019).



ამდენად, ჯამური ხარჯი პორტიდან პორტამდე გადაზიდვის პირობით ადგილობრივი სატერმინალო მომსახურების ხარჯის გათვალისწინებით გამოიყურება შემდეგნაირად (ცხრილი 22):

ცხრილი 22. ჯამური ხარჯი პორტიდან პორტამდე გადაზიდვის პირობით ჩინეთიდან ჩრდილოეთ ევროპამდე - მოქმედების ვადა: 01/01/2019-31/12/2019

მარშრუტი		გენერალური, მშრალი ტვირთი		დრო (დღე)
დატვირთვის პორტი	დაცლის პორტი	OF+THC/LD ხარჯი/ 20' კონტეინერი (26 t)	OF+THC/LD ხარჯი/ 40' კონტეინერი (26 t)	
ქინგდაო	ჰამბურგი	1265	1965	35
შანხაი		1260	1960	35
ნინგბო		1270	1970	35
ქსინგანგი		1260	1960	35
ქინგდაო	რიგა; ტალინი; კლაიპედა	1025	1635	48
შანხაი		1020	1630	48
ნინგბო		1030	1640	48
ქსინგანგი		1020	1630	48

შპს მერსკ საქართველოს ინფორმაციაზე დარყდნობით <https://www.maersk.com/> (19/01/2019).

სამხრეთის საზღვაო დერეფანი დღეის მდგომარეობით მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: აზია - ხმელთაშუაზღვის აუზი - ჩრდილოეთ ევროპა - სკანდინავია - ბალტიისპირა ქვეყნები. მისი ძირითადი უპირატესობები:

- უსაფრთხოება;
- დაბალი ტარიფები;
- დაფარვის მასშტაბები;
- კონკურენციის მაღალი დონე საზღვაო ხაზებს შორის;
- ვოიაჟი სრული წელი.

მისი ძირითადი ნაკლოვანებები:

- შორი მანძილი;
- დიდი სატრანზიტო დრო;
- მრავალი საერთაშორისო გადაზიდვის პორტი.

ტარიფებსა და სატრანზიტო დროის გარდა, მნიშვნელოვანია სამხრეთის საზღვაო კორიდორის ისეთი უპირატესობის აღნიშვნა, როგორცაა დაფარვის მაღალი მასშტაბი. ჩინეთის ძირითადი პორტებიდან წამოსული პანა მაქსის ტიპის გემს შეუძლია გზად ძალიან ბევრი ქვეყნის ტვირთი წამოიღოს ერთსა და იმავე მარშრუტზე და ამით მასშტაბის ეკონომიას მიაღწიოს. მაგალითისათვის ქვემოთ მოტანილია საზღვაო გიგანტის - მერსკის მარშრუტი, რომელიც მოიცავს ჩინეთის პორტებიდან ჩრდილოეთ

ევროპის პორტებამდე საზღვაო კორიდორს. როგორც ვხედავთ ამ კორიდორში გამავალი გემი რეალურად არა მხოლოდ ჩინური ტვირთის ტრანსპორტირებას ახდენს ევროპაში არამედ ინდოეთის, არაბეთის, სამხრეთ ევროპის ანუ ხმელთაშუაზღვისპირა ევროპული ქვეყნების ტვირთის მიწოდებასაც ახდენს ერთიდამავე ვოიაჟის დროს. ასევე, ჩინეთიდან წამოსული ტვირთი, რომელიც ევროპის დამაკავშირებელ მარშრუტზე გადის შესაძლოა ევროპაში სულაც არ ჩავიდეს და განკუთვნილი იყოს არაბული ბაზრისთვის და გადმოიტვირთოს ჯებელ ალის პორტში საერთაშორისო გადატვირთვის პორტში.

რაც შეეხება კონკურენციის მაღალ დონეს, ეს უპირატესობა პრინციპში ქმნის ამ კორიდორში გადაზიდვის დაბალბიუჯეტურობის უპირატესობასაც. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ვაჭრობის უმეტესი ნაწილი დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ვაჭრობაზე მოდის და იმის გათვალისწინებითაც, რომ მსოფლიო ვაჭრობის 90%-ზე მეტი სრულდება სწორედ საზღვაო გადაზიდვებით, გასაკვირი არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ სამხრეთის საზღვაო კორიდორში წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა უმსხვილესი საზღვაო ხაზი (MAERSK, MSC, CMA CGM, COSCO, EMC და სხვა). მათ უწევთ ერთმანეთთან ფასით და ტრანზიტული დროით კონკურენცია. ამდენად იმისათვის, რომ ბაზრის წილი მათთვის სასარგებლოდ გადანაწილდეს უწევთ ფასების შემცირება კონკრეტულ მარშრუტებზე და ლავირება ტრანზიტულ დროზე კონკრეტული გადატვირთვის პორტების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ტვირთმფლობელები ირჩევენ, მათი სასაქონლო ნომეკლატურის საჭიროებებიდან გამომდინარე, იმ საზღვაო ხაზს, რომელსაც უფრო დაბალ ფასად და მინიმალურ დროში შეუძლია ტვირთგადაზიდვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტვირთის თვისებიდან გამომდინარე ეს პრიორიტეტებიც იცვლება. მაგალითად, მალფუჭებადი პროდუქციის შემთხვევაში შესაძლოა ტვირთმფლობელმა არჩიოს უფრო სწრაფად და ნაკლებ სატრანზიტო დროში ტვირთის ტრანსპორტირება მეტი ფასის გადახდის პირობებში ან პირიქით ტვირთმფლობელს გააჩნდეს ისეთი ტვირთი (მაგ. ჯართი, მინერალური სასუქები, მანქანები და სხვ.), რომლის გადაზიდვის სისწრაფე ნაკლებად პრიორიტეტულია იმის საპირწონედ, რომ

მნიშვნელოვანი იყოს გადაზიდვის დაბალი დანახარჯი თავად ტვირთის თვითღირებულების სიიაფიდან გამომდინარე.

სამხრეთის საზღვაო კორიდორი წარმოადგენს არა მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ტვირთზიდვის უმთავრეს არტერიას, არამედ ის გვევლინება შორეული აღმოსავლეთიდან საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, მეტიც, ცენტრალური აზიის ქვეყნებში ტვირთზიდვის უმთავრეს მარშრუტად. ამდენად, განსხვავებით ჩრდილოეთ საზღვაო კორიდორისაგან, რომელიც ქართული ტრანსკავკასიური კორიდორის ალტერნატივა შეიძლება გახდეს მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ვაჭრობის ტვირთნაკადების დამუშავებაში, სამხრეთის საზღვაო კორიდორი გვევლინება კონკურენტად, როგორც ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის ტვირთბრუნვაში, ისე შორეული აღმოსავლეთიდან კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ტვირთზიდვების ნაწილშიც, თუმცა ამას ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რადგან მას ურთიერთშემავსებლის და ურთიერთგამომრიცხავობის შესაძლებლობა შეიძლება გააჩნდეს. მაგალითად, თუ განვიხილავთ ტვირთებს, რომლებიც ჩინეთიდან სამხრეთ საზღვაო კორიდორით მოდის საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში ან ცენტრალური აზიის რომელიმე ქვეყანაში ბოსფორისა და შავი ზღვით საქართველოს პორტების გავლით, მაშინ ტრანსკავკასიური კორიდორი ამ ტვირთების გადაზიდვაში ჩართულია და ეს კარგია, მაგრამ თუ იგივე ტვირთი ჩინეთიდან მიდის ირანში ბანდარ აბასის პორტის მეშვეობით, შემდგომ ნაწილდება სომხეთში, აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მაშინ ქართული და ზოგადად, ტრანსკავკასიური კორიდორის ათვისება ვერ ხერხდება და ეს უარყოფითად ისახება ქართულ კორიდორში ტვირთზიდვის საერთო მოცულობის ტრენდზე. აღნიშნული მარშრუტი ე.წ. სამხრეთის მულტიმოდალური კორიდორი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კონკურენტ ტრანზიტულ მარშრუტს ტრანსკავკასიური კორიდორისათვის და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამრიგად: ტრანსკავკასიური სატრანზიტო კორიდორის საერთაშორისო კონკურენტებია ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვაო დერეფნები, რომლებიც

კონკურენციას უწევს ტრანსკავკასიურ კორიდორს შორეული აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ტვირთგადაზიდვაში. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ამჟამად ძირითად საზღვაო მარშრუტს ქმნის სამხრეთის ე.წ. აბრეშუმის ზღვის კორიდორი, რომელიც „გამწევი ძალაა“ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ტვირთზიდვის პროცესში. მისი ძირითადი ძლიერი მხარეებია უსაფრთხოების მაღალი დონე, კონკურენციით განპირობებული დაბალი ტარიფები, ტვირთდაფარვის დიდი მასშტაბი და სხვ. მის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის გრძელი მარშრუტი და ტვირთგადასაზიდად საჭირო მეტი დრო, რასაც ემატება სხვადასხვა საერთაშორისო გადატვირთვის პორტებში შესვლის დრო - დამატებით საოპერაციო დრო, რაც საბოლოოდ აისახება გაზრდილ სატრანზიტო დღეებში; ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი (ჩრდილოეთის მარშრუტი), რომელიც აერთიანებს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანის აუზსა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს (სკანდინავიური ქვეყნები, ბალტიის ქვეყნები), სამხრეთის საზღვაო მარშრუტზე უფრო მოკლეა და ნაკლებ სატრანზიტო დროს მოითხოვს (ამის გამაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი საერთაშორისო გადატვირთვის პორტების რაოდენობის სიმცირეცაა), თუმცა მისი შემაფერხებელი ბარიერი სეზონურობაა, რომელიც ქმნის არასტაბილურობას ტვირთზიდვის პროცესში და ზრდის გადაზიდვის დანახარჯებს.

### 3.2 . ტრანსციმბირული სარკინიგზო და სამხრეთის საზღვაო დერეფანი

ტრანსციმბირული სატრანზიტო დერეფანი მოიცავს იმ სარკინიგზო მარშრუტს, რომელიც რუსეთის ტერიტორიის გავლით, იაკონიას, ჩრდილოეთ კორეას, მონღოლეთს, ჩინეთს და შუა აზიის ქვეყნებს აკავშირებს ჩრდილოეთის სკანდინავიურ ქვეყნებსა და აღმოსავლეთით ბალტიისპირა სახელმწიფოებთან (დანართი 17).

ტრანსციმბირული სარკინიგზო დერეფანს, რომელიც თავდაპირველად მოსკოვისა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ერთმანეთთან დასაკავშირებლად აიგო, ამჟამად უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქცია გააჩნია დასავლეთ-

აღმოსავლეთის ტვირთზიდვის პროცესში. რუსეთის რკინიგზა მსოფლიოში ყველაზე გრძელი 9289 კმ-იანი სარკინიგზო ხაზით იაპონიის ზღვასთან უკავშირდება მონღოლეთის, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის სარკინიგზო ხაზებს. 2008 წელს ჩინეთი, მონღოლეთი, რუსეთი, ბელორუსი, პოლონეთი და გერმანია შეთანხმდნენ ტვირთზიდვის პროცესში ბეიჯინგიდან ჰამბურგის პორტამდე სარკინიგზო ხაზით თანამშრომლობაზე, რომელიც ანახევრებს და ხშირ შემთხვევაში მესამედამდე დაჰყავს სატრანზიტო დრო რომელიც ფიქსირდება სამხრეთის საზღვაო დერეფნით სარგებლობისას. მოცემულ დანართში (დანართი 18) წარმოდგენილია მანძილი და სატრანზიტო დრო ტრანსციმბირული სარკინიგზო ხაზის საკვანძო პუნქტებს შორის.

ტრანსმანჯურიული მარშრუტი მიჰყვება ტრანსციმბირულ მიმართულებას მოსკოვი-ჩიტას სარკინიგზო ხაზს და შემდგომ ჩინეთში შედის. ჩინეთის სასაზღვრო ქალაქ მანჯოულიდან ბეიჯინგამდე 1443 კმ-ია, ხოლო მოსკოვიდან ბეიჯინგამდე- 6638 კმ. მოსკოვიდან ბეიჯინგამდე სატრანზიტო დრო 6 დღე-ღამეს შეადგენს. რაც შეეხება ტრანსმონღოლურ მარშრუტს, იგი მიჰყვება ტრანსციმბირულ სარკინიგზო ხაზს მოსკოვი – ულან-უდემდე და შემდეგ გრძელდება მონღოლეთსა და ჩინეთში (ბეიჯინგში). ქალაქ ერენჰოტი, რომელიც ბეიჯინგიდან დაშორებულია 842 კმ-ით არის ჩინეთის სასაზღვრო ქალაქი. აღნიშნული მარშრუტით მოსკოვიდან ბეიჯინგამდე მანძილი 8961 კმ-ია.

ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციაზე გამავალი სახმელეთო, კერძოდ, სარკინიგზო დერეფანი, რომელსაც ტრანსციმბირულ სარკინიგზო დერეფანსაც უწოდებენ, კონკურენცია უწევს აბრეშუმის გზას და შესაბამისად - ტრანსკავკასიურ სატრანზიტო დერეფანს ტვირთზიდვისთვის ნაკლები ლოჯისტიკური და ოპერაციული საჭიროებების თვალსაზრისით. რადგან რეალურად მხოლოდ ერთ ქვეყანაზე ხდება ტვირთების ტრანზიტული გადაადგილება, ეს ამცირებს ადმინისტრაციულ ბიუროკრატიასა და საბაჟო პროცედურას და რაც მთავარია, სატარიფო პოლიტიკა კორიდორში ჩართულ მხარეებს შორის შეთანხმებულია და საერთო „თამაშის წესებს“ ითვალისწინებს, ამის გამო, ფასი გადაზიდვებზე მნიშვნელოვნად დაბალია და სტაბილური მკვეთრი და ინტენსიური რყევებისა და ცვლილებებისაგან. რაც ამ

კორიდორის ბენეფიციარებს სტაბილურობის შეგრძნებას აძლევს, გაატარონ ნებისმიერი სახის ტვირთი გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი კონტრაქტის პირობებში ისე, რომ გადაზიდვის პროცესში არ გაუძვირდებათ ფასები ყოველი შემდგომი ლოტის გადაზიდვისას. ექსპერტთა აზრით, ტრანსციმბირულ სარკინიგზო დერეფანს შეუძლია გაატაროს ევროპასა და აზიას შორის მოძრავი ტვირთების 30%, რაც უხეში გათვლებით 160.000 TEU-ს შეადგენს წელიწადში. ბოლო პერიოდში ყოველი შემდგომი ლოტის გადაზიდვისას რუსეთის, როგორც სატრანზიტო დერეფნის მიმართ ინტერესი მცირდებოდა არსებული საბაჟო პროცედურების, ტარიფების, ადმინისტრაციული სირთულეებისა და მოძველებული ტექნოლოგიების გამო. შედეგად, რუსეთის ფედერაცია ყოველწლიურად ათეულობით მილიონ დოლარს კარგავდა, მაგრამ განახლებული საბაჟო პროცედურების და მოდერნიზებული ჩქაროსნული კონტეინერმზიდების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა იაპონიიდან - რუსეთის გავლით - დასავლეთ ევროპაში (პოლონეთი, გერმანია და საფრანგეთი) ტვირთის 19 დღეში ჩატანა, სამხრეთ კორეიდან - 17 დღეში, ჩინეთის ჩრდილოეთის პორტებიდან კი 18 დღეში. ანუ საოპერაციო და ინფრასტრუქტურულმა რეფორმებმა მეტად სწრაფი და კომფორტული გახადა ეს დერეფანი, თუმცა დღემდე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს რუსეთში არსებული კორუფციის მაღალი დონე და კრიმინალური მდგომარეობა, რაც სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს ტვირთების გადაზიდვის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ტრანსციმბირული სარკინიგზო დერეფნის ნაკლოვანებას წარმოადგენს სარკინიგზო ხაზებში არსებული ტექნიკური სტანდარტების განსხვავებულობა. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებული გაბარიტული/განიერი სარკინიგზო ლიანდაგები არ შეესაბამება ჩინეთის, მონღოლეთისა და ევროპის სარკინიგზო ხაზებს, რაც ჩინეთის, მონღოლეთის, უკრაინისა და ბელორუსის საზღვრებთან ქმნის შემაფერხებელ ბარიერებს და თავის მხრივ, დაკავშირებულია გადატვირთვების ორგანიზებასთან და დამატებით ფინანსურ დანახარჯებთან.

ზემოაღნიშნული სატრანზიტო დროის სიმცირის გარდა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გერმანიას, პოლონეთს, ბელორუსს, რუსეთს, მონღოლეთსა და ჩინეთს

შორის 2008 წელს დაიღო ხელშეკრულება გადაზიდვაზე გამჭოლი ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გადაზიდვების ღირებულება 1500 დოლარია, რაც 20%-ით ჩამორჩება ამჟამად არსებულ სამხრეთის საზღვაო დერეფანში სტანდარტული კონტეინერის გადაზიდვის ტარიფს და მაგალითად, იოკოჰამადან, ბუსანიდან და ჩინეთის სხვა ძირითადი პორტებიდან პოლონეთამდე 40 ფუტიანი სტანდარტულის კონტეინერის ტრანსპორტირების ფასი 1900 აშშ დოლარიდან 2200 დოლარამდე მერყეობს.<sup>134</sup>

ამჟამად, ტრანსციმბირული სარკინიგზო დერეფნის ძირითადი უპირატესობებია:

- არ გააჩნია სეზონურობა;
- ერთი სატრანზიტო ქვეყანა ჩინეთსა და ევროპას შორის;
- ერთი საბაჟო პროცედურა;
- გამჭოლი და ფიქსირებული ტარიფები.

მისი ძირითადი ნაკლოვანებებია:

- შორი მანძილი;
- დიდი სატრანზიტო დრო (ტრანსკავკასიურ კორიდორთან შედარებით);
- კორუფციისა და კრიმინალის მაღალი დონე;
- ტექნიკური შეუთავსებლობა საზღვრისკვეთისას.
- გადატვირთვის საოპერაციო სირთულე.

ტრანსკავკასიური კორიდორის კიდევ ერთი კონკურენცია - ე.წ. სამხრეთის საგზაო დერეფანი (დანართი 19), რომელიც თავდაპირველად განსაზღვრული იყო როგორც ახალი რკინის აბრეშუმის გზა ჩინეთიდან ევროპამდე. 2016 წლის 15 თებერვალს ჩინეთიდან დაძრული სატვირთო მატარებელი თეირანში ჩავიდა, რომელმაც ირანის მიმართ პოსტსანქციების პირობებში, ჩინეთ-ირანის ურთიერთობებში ახალი ფურცელი გადაშალა. ირანის საზღვრამდე აღმოსავლეთ ჩინეთის ჟეჯიანგის პროვინციის ქალაქ ივუდან სატვირთო მატარებელმა გაიარა ყაზახეთისა და თურქმენეთის ტერიტორია და დაფარა 10 399 კმ 14 დღის მანძილზე. ეს სატრანზიტო დრო დაახლოებით 20 დღით

---

<sup>134</sup>Chapter 4: Freight Rates. (2011). Review of Maritime Transport (United Nations Conference on Trade and Development). New York.

ნაკლებია, ვიდრე შანხაიდან სამხრეთის საზღვაო კორიდორის გავლით ბანდარ აბასის პორტამდე მარშრუტი. 2017 წელს უკვე მეორედ დაიძრა სატვირთო მატარებელი ჩრდილოეთ ჩინეთის ნინქსია ჰუის ავტონომიური რეგიონის ქალაქ ინჩუანიდან თეირანის მიმართულებით მანქანის ნაწილების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კერამიკული და მინის ნაწარმის გადასაზიდად რასაც 15 დღე დასჭირდა.<sup>135</sup> ირანიდან კი თურქეთის გავლით დანარჩენ ევროპაში ტვირთების გადასაზიდად თითქმის იგივე ტრანზიტური დრო სჭირდება, რაც ჯამურად 25-26 დღემდე ზრდის სატრანზიტო დროს ჩინეთიდან დასავლეთ ევროპულ ქვეყნებამდე.

სამხრეთის საზღვაო კორიდორთან შედარებით, მნიშვნელოვნად მცირე სატრანზიტო დროის მიუხედავად, სამხრეთის საგზაო/სარკინიგზო მარშრუტს საკუთარი სირთულეებიც გააჩნია, კერძოდ, ტვირთს უწევს რამოდენიმე ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა და იმავე რაოდენობის საბაჟო პროცედურების გავლა (ყაზახეთი, თურქმენეთი, ირანი, თურქეთი და შემდგომ ევროკავშირი). ეს, რა თქმა უნდა, ზრდის დაყოვნების დროს და ადმინისტრაციულ ბარიერებს. როგორც ჩინელი ტვირთმზიდველებისთვის და მით უფრო ევროპული მხარისთვის. ტვირთების დაკარგის მაღალი რისკია ყაზახეთსა და თურქმენეთში. აღნიშნულის გარდა, ცენტრალურ აზიასა და ირანში, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხარვეზებია სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურად ეფექტიანი ოპერირებისთვის. ერთადერთი, რაც გადაზიდვის ფასს ამცირებს, საწვავზე იაფი წვდომაა, თუმცა საოპერაციო და ლოჯისტიკური დანაკარგები იმდენად დიდია, რომ აღნიშნული ფაქტიც ვერ ახდენს ამის კომპენსირებას და საბოლოო ჯამში 20 ფუტიანი კონტეინერის გადაზიდვა ჩინეთი-პოლონეთის მიმართულებით 3450 აშშ დოლარი ჯდება, ხოლო 40 ფუტიანი მშრალი კონტეინერისა - 6550 აშშ დოლარი, რაც დიდი თანხაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ძირითადად რა ტიპის ტვირთებზეა საუბარი. ამ კორიდორზე გამავალი ტვირთი, როგორც წესი, ძალიან დაბალი თვითღირებულებით ხასიათდება. ამდენად, აღნიშნული ხარჯი ხშირ შემთხვევაში უბრალოდ არარენტაბელურია არა თუ

---

<sup>135</sup>Xinhua. (16 Feb. 2016). First train from China to Iran stimulates Silk Road revival. [www.chinadaily.com.cn/china/2016-02/16/content\\_23502293.htm](http://www.chinadaily.com.cn/china/2016-02/16/content_23502293.htm) (6.08.2018).



ევროპა-ჩინეთს შორის სავაჭრო ტვირთების გადაზიდვის შესასრულებლად, არამედ ამჟამად თავად ჩინეთ-ირანს შორის სავაჭრო ტვირთების გადასაზიდადაც.

რაც შეეხება სამხრეთის სახმელეთო დერეფანს, ის მოიცავს ევროპიდან თურქეთის გავლით, ირანის, თურქმენეთის, უზბეკეთის და ყაზახეთის მარშრუტს, რომელიც ჩინეთის წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე მიდის. გრძელი მანძილის, გაუმართავი და არარენტაბელური მომსახურების, პოლიტიკურად არასტაბილური სახელმწიფოს – ირანის ფაქტორისა და გართულებული საზღვრისკვეთის პროცედურების გამო, აღმოსავლეთ-დასავლეთის ვაჭრობისთვის აღნიშნული გზა მნიშვნელოვნად არასდროს ყოფილა დატვირთული. ის ძირითადად გამოიყენება თურქეთის, ირანისა და შუააზიის ქვეყნების ტვირთების გადასაზიდად და არა ჩინური საქონლის ევროპაში ტრანსპორტირებისთვის. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მარშრუტი შესაძლებელია უფრო მეტად გამოიყენებადი გახდეს სხვა პარალელური პროექტების განხორციელების პირობებში. მაგალითად, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მარშარის გვირაბით, რომელიც ბოსფორის სრუტის ქვეშ გადის.<sup>136</sup> ამ პროექტის დასრულება უზრუნველყოფს ტვირთნაკადებს ევროპიდან თურქეთის გავლით ირანსა და შუა აზიაში და იქიდან ჩინეთში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მარშარის გვირაბში სარკინიგზო ხაზით ტვირთზიდვის შეზღუდული პირობები იქნება, რადგან აღნიშნული გვირაბი მოემსახურება მგზავრთა გადაყვანასაც, რის გამოც სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ამ რკინიგზით აიკრძალება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული დერეფანი სრულად ვერ აითვისებს თავის პოტენციალს და მნიშვნელოვან კონკურენციას ვერ გაუწევს სხვა დანარჩენ სახმელეთო და საზღვაო საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნებს.<sup>137</sup>

მთლიანობაში, სამხრეთის საგზაო დერეფნის ძირითადი უპირატესობებია:

- მოკლე მანძილი;
- მცირე სატრანზიტო დრო.

<sup>136</sup>Onur, U. (20 May 2013). False Facts About Marmaray, Rail Turkey. Istanbul. <https://railturkey.org/2013/05/20/complet-ely-false-facts-about-marmaray/> (12.09.2018).

<sup>137</sup>Onur, U. (12 Nov. 2013). Is Marmaray Key for Europe-Asia Rail Connection?, Rail Turkey. Istanbul. <https://railturkey.org/2013/11/12/marmaray-connects-asia-europe/> (3.10.2018).

მისი ძირითადი ნაკლოვანებებია:

- გადაზიდვის საოპერაციო სირთულე;
- კორუფციისა და კრიმინალის მაღალი დონე;
- გამჭოლი ტარიფების არ არსებობა;
- შეთანხმებული საერთო საბაჟო პროცედურების არ არსებობა;
- განსხვავებული საზღვრისკვეთის პროცედურები კორიდორში;
- ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის დაბალი დონე.

ამრიგად: ტრანსკავკასიური კორიდორის სახმელეთო საერთაშორისო კონკურენტ კორიდორებს წარმოადგენენ ტრანსციმბირული სარკინიგზო და სამხრეთის სახმელეთო კორიდორი. ორივე მათგანს აქვს ამბიციის მოახდინოს დასავლეთ-არმოსავლეთს შორის ტვირთნაკადების მოზიდვა და საკუთარ დერეფანში გადაზიდვა, თუმცა ამას მეტ-ნაკლები წარმატებით მხოლოდ ტრანსციმბირული სარკინიგზო კორიდორი ახერხებს, ვიდრე სამხრეთის სახმელეთო დერეფანი. რუსეთზე გამავალი კორიდორის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ტვირთი გადაზიდვა ხდება მხოლოდ ერთი ქვეყნის გადაკვეთით, რაც ამარტივებს საბაჟო პროცედურასა და არ არის საჭირო სხვა ქვეყნებთან საზღვრისკვეთის პროცედურების გავლა. აღნიშნულ კორიდორში დაწესებულია გამჭოლი და ფიქსირებული ტარიფები, რაც გადაზიდვას იაფს, სტაბილურს და პროგნოზირებადს ხდის. მიუხედავად ნახსენები უპირატესობებისა, სარკინიგზო კორიდორი საქმოდ გრძელია და შესაბამისად მოითხოვს უფრო მეტ ტრანზიტულ დროს, ვიდრე თანაბარ პირობებში დასჭირდებოდა სამხრეთის სახმელეთო კორიდორის შემთხვევაში ერთი ერთეული ტვირთის გადასაზიდად. ასევე აღსანიშნავია კორუფციისა და კრიმინალის მაღალი დონე სამხრეთის კორიდორის შემთხვევაშიც. ხაზგასასმელია საოპერაციო სირთულეც, რომელიც დაკავშირებულია საზღვრისკვეთისას ტექნიკურ შეუთავსებლობასთან მოსაზღვრე ქვეყნებსა და რუსეთს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსციმბირულ სარკინიგზო კორიდორსა და სამხრეთის სახმელეთო დერეფანს შორის ფაქტობრივად მანძილი და სატრანზიტო დრო განსხვავდება, რადგან სხვა კომპონენტში როგორცაა

ტვირთის ადმინისტრირება, მონიტორინგის სისტემები, ტექნიკური შეუთავსებლობა კორიდორში, საბაჟო და საზღვრის კვეთის პროცედურები თითქმის იდენტურია.

### 3.3. ახალი აბრეშუმის გზის (ტრანსკავკასიური) სატრანზიტო დერეფანი

ისტორიულ აბრეშუმის გზაზე გამავალი სატრანსპორტო კორიდორი და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი საქართველო, ევროპა-აზიის შემაერთებელ დერეფანს წარმოადგენს. ზემოთ ნახსენები წინა ოთხი სატრანზიტო მარშრუტისაგან განსხვავებით იგი მოიცავს მულტიმოდალურ გადაზიდვებს, რაც გულისხმობს სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო გადაზიდვების კომპლექსურ გამოყენებას. აღნიშნული მარშრუტით ცენტრალური და სამხრეთ ევროპული ქვეყნების ტვირთნაკადები შავი ზღვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის, შემდეგ კასპიის ზღვისა და ყაზახეთის გავლით ხვდება ჩინეთში.

ევროპა-კავკასია-აზიის ანუ ტრანსკავკასიური სატრანსპორტო დერეფნის ისევე, როგორც სხვა დერეფნების კონკურენტუნარიანობას გადაზიდვების სიიარაღე, სისწრაფე და საიმედოობა განსაზღვრავს. ყოველივე აღნიშნული, თავის მხრივ, დამოკიდებულია სატრანსპორტო დერეფნის სიგრძეზე და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის ხარისხზე, მათ შორის საკუთრივ სატრანსპორტო კომუნიკაციების მდგომარეობაზე, სამართლებრივ რეგულაციებსა და სატარიფო პოლიტიკის მოქნილობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსკავკასიური დერეფნის საქართველოს მონაკვეთში სატრანზიტო ტვირთზიდვის მოცულობის დინამიკა წლების მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, კონკურენტებთან შედარებით მაგისტრალის საერთო კონკურენტუნარიანობა ქვეითდება. მაგალითად, საავტომობილო ტრანსპორტი, ძირითადად, მხოლოდ საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებთან ორმხრივ ტვირთზიდვას უზრუნველყოფს და დერეფნის გასწვრივ სატრანზიტო გადაზიდვებში უმნიშვნელოდ მონაწილეობს. გარდა ამისა, ქვეყნის გავლით როგორც საავტომობილო ტრანსპორტით, ისე რკინიგზით გადაზიდული ტრანზიტული ტვირთების 60%-ზე მეტი მოდის აზერბაიჯანზე და სომხეთზე, ხოლო

აზიური ქვეყნების ტვირთების წილი უმნიშვნელოა და ბოლო წლების მიხედვით იკლებს კიდევ. ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთზე და ირანზე გამავალ დერეფნებში უფრო მოქნილი სატარიფო პოლიტიკაა. ნავსადგურებშიც დამუშავებული სატრანზიტო ტვირთის დიდი ნაწილი დაახლოებით 85% აზერბაიჯანსა და სომხეთზე მოდის, ხოლო აზიურ ტვირთებზე - არაუმეტეს 15%.<sup>138</sup>

ახალი აბრეშუმის გზის უპირატესობები აქამდე განხილულ კორიდორებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე მოკლე მანძლია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. 2015 წელს ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა მოხდა: ჩინეთიდან საქართველოში პირველი სატვირთო მატარებელი ჩამოვიდა. საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ჩინეთის პროექტის შედეგად ჩინეთიდან საქართველოში ტვირთის ტრანსპორტირება 9 დღეში, განხორციელდა, მაშინ როცა სამხრეთი საზღვაო დერეფნის გამოყენებით ტვირთის ჩამოტანას 45 დღე სჭირდება (დანართი 20).

ტრანსაზიურ-კავკასიური მატარებელი ჩინეთიდან საქართველოს შავი ზღვის პორტების მიმართულებით იმოდრავებს, საიდანაც ტვირთი შემდგომ ევროპის, ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სხვა ქვეყნებს მიეწოდება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს უარყოფითი მხარეც, რომელიც მულტიმოდალურ გადაზიდვას გულისხმობს და სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის ერთდროულად გამოყენებით გამოიხატება. ეს ართულებს გადაზიდვის საოპერაციო მხარეს და ზრდის სატრანსპორტო ხარჯებს. საუბარია იმაზე, რასაც შევხებით სამხრეთის სარკინიგზო კორიდორის განხილვისას ანუ ახალი აბრეშუმის გზა, რომელიც ტრანსკავკასიური კორიდორის გავლას გულისხმობს აერთიანებს მრავალ ქვეყანას, რაც კორიდორს რთულსა და კომპლექსურს ქმნის. კერძოდ, ჩინეთიდან წამოსულმა ტვირთმა უნდა გაიაროს ისეთი არასაიმედო და არასტაბილური ქვეყნების ტერიტორია, როგორცაა თურქმენეთი და ყაზახეთი, შემდგომ კასპიის ზღვის გადაკვეთით გაიაროს აზერბაიჯანის ტერიტორია, გადაკვეთოს ქართული სატრანზიტო კორიდორი და შავი ზღვით ან თურქეთზე გავლით მოხვდეს ევროკავშირის ზონაში. ეს კი ზრდის ადმინისტრაციულ პროცედურებს. აღნიშნულ კორიდორში რამდენი ქვეყნის

---

<sup>138</sup>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო <http://mta.gov.ge/> (22.10.2018).

საზღვარსაც გადაკვეთს ერთეული ტვირთი, იმდენჯერ უწევს საბაჟო პროცედურის გავლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტვირთის გადაზიდვის პროცესში ტვირთმფლობელმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები კონკრეტული სახის ტვირთის გატარებასთან დაკავშირებით, რადგან არ არსებობს საერთო საბაჟო კონტროლის მექანიზმი და საერთო მარეგულირებელი საკანონმდებლო შეთანხმება სახელმწიფოთშორის დონეზე. გარდა ამისა, გადაზიდვის ღირებულება იზრდება საოპერაციო სირთულიდან გამომდინარე. კერძოდ, ჩინეთიდან წამოსული მატარებელი უნდა გადაიტვირთოს ყაზახურ სარკინიგზო პლატფორმებზე, იქიდან თურქმენულზე პორტში, შემდგომ ტრანსპორტირება ისევ საავტომობილო ან სარკინიგზო გზით ფოთისა და ბათუმის პორტამდე და შავი ზღვით რუმინეთში ან ბულგარეთში გადატვირთვა ან საქართველოს გავლით ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მარშრუტით, თურქეთის გავლით ტვირთების ევროკავშირში გატანა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ზრდის ტვირთების ფასს, ასევე ზრდის თავად ტვირთების გატაცებისა და დაკარგვის რისკს თურქმენეთსა და ყაზახეთში გატარებისას. ამას ემატება ისიც, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის არ არის შემუშავებული და დაფიქსირებული გამჭოლი ტარიფები, რათა მოხდეს კორიდორში საფასო პოლიტიკის საერთო „თამაშის წესების“ დანერგვა და გათვალისწინება. ახალი აბრეშუმის გზის წევრ ქვეყნებს შორის ამ ეტაპზე არსებობს მრავალი ტექნიკური ბარიერი, არ არის შეთანხმებული სამართლებრივი საკითხები. ამდენად, მოკლევადიან პერიოდში ახალი აბრეშუმის გზის და კერძოდ, ტრანსკავკასიური სატრანზიტო ფუნქციის განხილვა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის ტვირთების გადასაზიდი დერეფნების კონკურენციის კრილში ემბრიონულ მდგომარეობაშია. მაგალითად, 2015 წელს საქართველომდე 20 ფუტიანი ტვირთის გადაზიდვის ფასი 2015 წელს სარკინიგზო მარშრუტით იყო 5200 აშშ დოლარი, ხოლო 40 ფუტიანი - 8480 აშშ დოლარი.<sup>139</sup> საქართველოს გავლით ევროკავშირის ქვეყნებამდე გაცილებით მაღალი დანახარჯებია საჭირო, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ამ კორიდორის კონკურენტუნარიანობის

---

<sup>139</sup>საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია - ჯიარ ლოჯისტიკა და ტერმინალები. <http://www.railway.ge/> (30.11.2018).

განხილვა შესაძლებელია გარკვეული პირობების გათვალისწინებით, რადგან მნიშვნელოვანია რა ტიპის ტვირთებზე იქნება ორიენტირი ალებული. სამხრეთის საზღვაო მარშრუტი ჯერ-ჯერობით ყველაზე დაბალდანახარჯიანი და იაფი კორიდორია, თუმცა მაღალი სატრანზიტო დროით. ამგვარი პირობები მისაღებია დაბალი და საშუალო ღირებულების ტვირთების გადასაზიდად, მაგრამ არსებობს საშუალოზე უფრო მაღალი და მაღალი ღირებულების ტვირთები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია დანიშნულების ადგილამდე მინიმალურ დროში მიწოდება. ამ შემთხვევაში ტრანსპორტირების სიჩაფე არ არის გადამწყვეტი, რადგან სატრანზიტო დროის სიმცირე ტვირთმფლობელს უკომპენსირებს ტრანსპორტირების ღირებულებას დროში. ფულის ბრუნვის სიჩქარე ანუ დაბალი სატრანზიტო დრო ფულად ნაკადებს უზრდის კომპანიაში.

ამრიგად, ტრანსკავკასიური კორიდორი საკმაოდ ახალგაზრდაა სხვა კორიდორებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი მაღალია, სატრანზიტო კორიდორის გააქტიურება და ჩინური ტვირთების ევროპაში გადაზიდვის პროცესი ფერხდება. ამიტომ იგი მხოლოდ რეგიონულ სატრანზიტო კორიდორად რჩება და არა საერთაშორისო მოთამაშედ. უმთავრეს ნაკლოვანებას ქმნის კორიდორის მულტიმოდალურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტვირთზიდვაში ჩართულია, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ტრანსპორტი, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს ტრანსპორტირებას კორიდორში. ასევე აღსანიშნავია არასაკმარისი სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული დონე, ამას ემატება ისიც, რომ ე.წ. ახალი აბრეშუმის გზის სახელმწიფოებს შორის არ არის შემუშავებული და დაფიქსირებული გამჭოლი ტარიფები, საერთო საფასო პოლიტიკა. ახალი აბრეშუმის გზის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ტექნიკური ბარიერები და განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები ტვირთზიდვის საკითხებთან დაკავშირებით ართულებს საზღვრისკვეთისა და საბაჟო პროცედურებს. ამდენად, მოკლევადიან პერიოდში ახალი აბრეშუმის გზის და მის ავანგარდში ტრანსკავკასიური კორიდორის ანუ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხილვა ევროპასა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ტვირთების გადასაზიდი კორიდორების კონკურენციის ჭრილში ემბრიონულ მდგომარეობაშია;

გრძელვადიან პერიოდში ამ კორიდორის კონკურენტუნარიანობის განხილვა შესაძლებელი იქნება გარკვეული ტიპის სასაქონლო ნომენკლატურის გადაზიდვის შემთხვევაში. კერძოდ, ახალი აბრეშუმის გზის კორიდორი, საერთაშორისო კონკურენტებთან შედარებით, შესაძლოა უფრო მომხიბვლელი იყოს მოკლე მანძილითა და მცირე სატრანზიტო დროით მაღალღირებულების მქონე ტვირთებისთვის, რომლის ტრანსპორტირებისას პრიორიტეტია მინიმალურ დროში მიწოდება. ამ შემთხვევაში ხარჯები არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან თავად სატრანზიტო დროის სიმცირე ტვირთმფლობელს უკომპენსირებს ტრანსპორტირების ღირებულებას.

#### 3.4. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მულტიმოდალური სატრანზიტო დერეფნები

საქართველოს და ზოგადად ტრანსკავკასიური კორიდორის სატრანზიტო ჰაბად ფორმირებისთვის, სამწუხაროდ, ჯერ სრულყოფილ კონკურენციას ვერ გავუწევთ დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ანუ ევროპა-ჩინეთს შორის ვაჭრობის ტვირთბრუნვის გამტარებელ კორიდორებს, კერძოდ, უკვე ნახსენებ ტრანსციმბირულ სარკინიგზო კორიდორს და სამხრეთის საზღვაო კორიდორს. მათ მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნიათ განსაკუთრებით დაბალი და საშუალო ღირებულების ტვირთების გადაზიდვაში, რომელიც ორმხრივი ვაჭრობის უმეტესობას შეადგენს. უპირველესად, მნიშვნელოვანია გამოვიცნოთ ამჟამინდელი გამოწვევები და ის კონკურენტი კორიდორები, რომლებიც სამამულო რეგიონული და საგარეო რეგიონული ტვირთზიდვის პროცესში არიან ჩართულები. ამდენად, გამოსაყოფია ერთმანეთში მძლავრ კონკურენციაში მყოფი სამი კორიდორი (მათ შორისაა ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფანი):

*ა) ჩრდილოეთის მულტიმოდალური სატრანზიტო დერეფანი:*

- ✓ ანტვერპენი/როტერდამი/ჰამბურგი (ევროკავშირი) - რიგა - ალმა-ატა (რკინიგზა);
- ✓ სავანა/ჩარლსტონი (აშშ) - რიგა - ალმა-ატა (რკინიგზა).

*ბ) სამხრეთის მულტიმოდალური სატრანსპორტო დერეფანი:*

- ✓ შანხაი/ქინგდაო/ნინგბო - ბანდარ აბასი - ბაქო, ერევანი, ცენტრალური აზია;

✓ შანხაი/ქინგდაო/ნინგბო - ამბარლი/სტამბული - ბაქო, ცენტრალური აზია.

გ) ტრანსკავკასიური ანუ ახალი აბრეშუმის გზის სატრანზიტო დერეფანი:

✓ ანტვერპენი, როტერდამი, ჰამბურგი - ფოთი - ბაქო/აქტაუ - ალმა-ატა;

✓ სავანა/ჩარლსტონ (აშშ)- ფოთი - ბაქო/აქტაუ - ალმა-ატა;


✓ სტამბული/ამბარლი - ფოთი - ბაქო/აქტაუ - ალმა-ატა;

✓ შანხაი - ფოთი - ბაქო/აქტაუ - ალმა-ატა;

✓ სტამბული/ამბარლი-სარკინიგზო/საავტომობილო მარშრუტი-ბაქო/აქტაუ-ალმა-ატა.

ქვემოთ მოცემული ილუსტრირებიდანაც (ნახაზი 24) კარგად ჩანს თუ რა ტრანსპორტით ექიშება ერთმანეთს ზემოაღნიშნული რეგიონული კორიდორები სწორედ, რომ კავკასიური და ცენტრალური აზიური ტვირთების ტრანსპორტირებაში და აქ არ განიხილება დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის ტვირთები, როგორც ეს გვხვდებოდა საერთაშორისო კორიდორების შემთხვევაში.

ნახაზი 24. ალტერნატიული მარშრუტები ჩინეთიდან ევროკავშირის და ევროკავშირიდან ცენტრალური აზიის მიმართულებით



აბრეშუმის გზის ფორუმის მასალები მოწოდებული ინვესტ ინ ჯორჯიას ადმინისტრაციიდან <http://www.investingeorgia.org/> (20.11.2017).

უმნიშვნელოვანეს ბარიერს ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის საერთაშორისო საზღვრის კვეთა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ბალტიის რეგიონისა და რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ მარშრუტს აქვს შემდეგი უპირატესობები: საზღვრისკვეთის პროცედურების სიმარტივე რუსეთსა და ყაზახეთს შორის შექმნილი ევრაზიული საბაჟო კავშირიდან გამომდინარე; არსებული რეგულარული ბლოკ ჩეინ მატარებლების მომსახურება რიგასა და ალმაატას შორის და კონტეინერებისა და ვაგონების მარტივი მიწოდების საშუალება აადვილებს და ამცირებს სატრანზიტო დროს; რეგულარული



უზრუნველყოფის ინდექსის თითოეული კომპონენტის კონტრიბუცია წლების მიხედვით ჯამურ მაჩვენებელში ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2010 წელს საქართველოს ლოჯისტიკური უზრუნველყოფის უმთავრეს მასტიმულირებელ კომპონენტს წარმოადგენდა დროულობა - 3.8 ქულით (მაქსიმუმ 5 ქულიდან), რომელსაც მოჰყვებოდა საერთაშრისო გადაზიდვების ხარჯიანობა 2.73 ქულით და შემდგომ მონიტორინგისა და კონტროლის დონე 2.67 ქულით. ყველაზე უმნიშვნელო კონტრიბუცია ინფრასტრუქტურის დონეზე მოდის, რომელმაც 2.17 ქულას მიაღწია. 2012 წელს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსი მაქსიმალურ დონეს აფიქსირებდა, რაშიც უმთავრეს როლს საბაჟო პროცედურების კომპონენტი ასრულებდა 2.90 ქულით. მას მოსდევდა დროულობისა და ინფრასტრუქტურის კომპონენტები 2.86 და 2.85 ქულებით. ყველაზე სავალალო მდგომარეობა მონიტორინგისა და კონტროლის ნაწილში დაფიქსირდა 2.59 ქულით. რაც შეეხება 2018 წელს ქვეყნის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსში უმნიშვნელოვანესი წილი მოდიოდა დროულობის კომპონენტზე 2.95 ქულით, მას მოსდევს საბაჟო პროცედურები 2.42 ქულით, ინფრასტრუქტურის დონე და საერთაშრისო გადაზიდვების ხარჯიანობის კომპონენტები - 2.38 ქულით და ბოლოს 2.26 ქულიანი მაჩვენებლებით ფიქსირდებიან ლოჯისტიკური მომსახურების ხარისხის, მონიტორინგისა და კონტროლის კომპონენტები. მოცემულ წელს საქართველოს ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის ექვსივე კომპონენტის ჯამური და ინდივიდუალური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება კავკასიის რეგიონისა და შავი ზღვის აუზის წევრ სახელმწიფოთა ანალოგიურ მაჩვენებლებს (დანართი 22).

სამამულო მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეფასებას ლოჯისტიკური სექტორის მხრიდან იმ პროფესიონალების მიერ, რომლებიც თავად საკვლევ ქვეყანაში მუშაობენ. ეს მაჩვენებელი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ლოჯისტიკური გარემოს შესახებ, საკვანძო ლოჯისტიკურ პროცესებს, ინსტიტუტებსა და ლოჯისტიკური ოპერაციის შესრულების დროსა და ხარჯების მონაცემებს.

სამამულო ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსი დეტალურ დონეზე განიხილავს ლოჯისტიკურ გარემოს კონკრეტულ ქვეყნებში (100 ქვეყანა) და განსაზღვრავს ყველა ლოჯისტიკური ოპერაციის სიმარტივის დონეს, უმთავრეს სატრანსპორტო საშუალებებსა და ინსტიტუციურ ბაზისს, ლოჯისტიკური მომსახურების დროსა და ხარჯებს. აღნიშნული ინდექსი განიხილავს ქვეყნის ლოჯისტიკურ პოზიციონირებას არა მხოლოდ ქვეყნის საზღვრებთან არსებული ინფრასტრუქტურით, როგორცაა პორტები, საზღვრისპირა პუნქტები და სხვა, არამედ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ლოჯისტიკური წერტილებითა და ტერმინალებით უზრუნველყოფის დონეს. მაგალითად:

- ინფრასტრუქტურა;
- მომსახურების დონე;
- სასაზღვრო პროცედურები და დროის მენეჯმენტი;
- მიწოდების ჯაჭვის უწყვეტობა და საიმედოობა.

გარდა ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალისა, სამამულო ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსი გულისხმობს ლოჯისტიკური გარემოსა და ინსტიტუციური უზრუნველყოფის მაჩვენებლების გაერთიანებას ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ხარჯებისა და მოსაკრებლების დონე;
- ინფრასტრუქტურის ხარისხი;
- მომსახურების კომპეტენცია და ხარისხი;
- პროცედურათა ეფექტიანობა და დაგვიანების წყაროები.

გამოყენებული კითხვარის (დანართი 23) შედეგები საქართველოს მაგალითზეა მოცემული, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ 2018 წელს ხარჯებისა და მოსაკრებლების დონე ქვეყანაში არსებულ ყველა სატრანსპორტო საშუალებების მიწოდების რგოლის კომპონენტებზე არაა მაღალი. უფრო მეტიც, რესპოდენტთა სრული უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ 2018 წელს გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფს იმ ფაქტს, რომ ხარჯები და მოსაკრებლები მაღალი

ან ძალიან მაღალი იყო სააგენტოების მომსახურებისა და დასაწყობა/შენახვის კომპონენტში. ინფრასტრუქტურის ხარისხის ნაწილში შეფასებათა შორის მკვეთრი განსხვავება უფრო თვალნათელია, ვიდრე ხარჯებისა და მოსაკრებლების დონის ნაწილში. გამოკითხულთა ნახევარმა დაბალი ან ძალიან დაბალი შეფასება მისცა ისეთ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურებს, როგორცაა საზღვაო პორტები, საავტომობილო გზები და რკინიგზა. თუმცა გამოკითხულთაგან აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფს იმ ფაქტს, რომ ანალოგიური შეფასებას იმსახურებს ისეთი კომპონენტები, როგორცაა აეროპორტის, სასაწყობო/სატერმინალო ინფრასტრუქტურა, ტელეკომუნიკაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები. მნიშვნელოვანია ასევე შევხვით ლოჯისტიკური მომსახურების კომპეტენციის საკითხს და შესაბამისი ხარისხის დონეს. ამ ნაწილში სავალალო მდგომარეობა ფიქსირდება, რადგან მაღალი/ძალიან მაღალი შეფასების მიმცემ რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელი 0-ს უტოლდება საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების კომპეტენციისა და ხარისხის დეტერმინანტიდან დაწყებული ტვირთგამომგზავნისა და ტვირთმიმღების მომსახურების შესაბამისი მაჩვენებლების ჩათვლით. აქვე აღსანიშნავია პროცედურათა ეფექტიანობის კომპონენტი. გამოკითხულ რესპოდენტთა 100%-ის შეფასებით ხშირად ან თითქმის ყოველთვის ეფექტიანია განბაჟების პროცედურის, სასაზღვრო სააგენტოების ოპერაციების გამჭვირვალობა და ადეკვატური და დროული ინფორმაციის რეგულარული გაცვლა. ხოლო ისეთი საკითხების ეფექტიანობა, როგორცაა საექსპორტო/საიმპორტო საბაჟო პროცედურები და წინასწარი /დაჩქარებული განბაჟების ეფექტიანობა ხშირად ან თითქმის ყოველთვის ეფექტიანობით ხასიათდება გამოკითხულთა მხოლოდ 50%-სთვის. როგორც მომსახურების კომპეტენციისა და ხარისხის კომპონენტში დაფიქსირდა სავალალო მდგომარეობა, ანალოგიური შემთხვევა გვხვდება დაგვიანების წყაროების კომპონენტშიც. კერძოდ, რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უარყოფს ფაქტს, რომ დაგვიანების წყაროები ხშირად ან თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია სავალდებულო სასაწყობო პროცესებთან, წინასწარი გადაზიდვის ინსპექტირებასთან, საზღვაო საერთაშორისო გადატვირთვებთან, კრიმინალურ ქმედებებთან და

არაფორმალური გადახდების შუამავლობის დროსთან. რაც შეეხება 2015 წლიდან ლოჯისტიკურ გარემოში ცვლილებებს რესპოდენტთა სრული უმრავლესობის შეფასებით გაუმჯობესდა საბაჟო და სხვა სავალდებულო პროცედურები. გაუმჯობესებას აფიქსირებს გამოკითხულთა ნახევარი ისეთ საკითხებშიც, როგორცაა ვაჭრობისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, ტელეკომუნიკაციები და ინფორმაციული ტექნოლოგიები, კერძო ლოჯისტიკური მომსახურების ხარისხი და არაფორმალური გადახდების შუამავლობა. ერთადერთი კომპონენტია ლოჯისტიკასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლის გაუმჯობესებაც არ ფიქსირდება. დაბოლოს, 2015 წლიდან რესპოდენტთა 50%-ის შეფასებით ტრადიციულ ფორვარდულ კომერციულ მომსახურებაზე მოთხოვნა შემცირდა. თუმცა რესპოდენტები იზიარებენ იმ აზრს, რომ კიბერუსაფრთხოების რისკები და კიბერშეტევის მიმართ კომპანიათა მზადყოფნის დონე არ შემცირებულა. გაიზარდა ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმების გამოყენების სიხშირე B2B და B2C .

ზემოაღნიშნული ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის პირობებში განისაზღვრა სატრანზიტო ფუნქციაზე პირდაპირი გავლენის მქონე დეტერმინანტები, თუმცა არსებობს სხვა ისეთი განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებსაც არაპირდაპირი ანუ ირიბი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ტვირთზიდვის მოცულობის ცვლილებაზე და შესაბამისად, სატრანზიტო ფუნქციის განვითარებაზე, ესენია მაკრო და საერთაშორისო დონეზე არსებული დეტერმინანტები.

მაკრო დონეზე მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ ისეთი ფაქტორი, როგორცაა ქვეყანაში შემუშავებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო ვტავაზობს, რადგან სწორედ ეს ორი ტიპის პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყანაში საექსპორტო წარმოების შესაძლებლობებსა და განვითარების პერსპექტივებს, ისევე როგორც იმპორტირებულ საქონელსა და მოსახურებაზე მოთხოვნის ტრენდს. ბოლო ათწლეულში საქართველოში მოქმედებს ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ 2005 წელს საგადასახადო კოდექსი კარდინალურად შეიცვალა, რამაც მთლიანად შეცვალა საქართველოს ფისკალური ლანდშაფტი. საკანონმდებლო

ცვლილებების მიღების შედეგად, 2004 წელს არსებული ოცდაერთი გადასახადიდან მხოლოდ 6 შენარჩუნდა. ახალი სისტემა ისეთი დაბალი დაბეგვრის დონით ხასიათდება, რომელიც საქართველოს მსოფლიო რეიტინგში მე-4 ადგილზე აყენებს.<sup>150</sup> გარკვეული ცვლილებისა და დამატების შემდეგ საგადასახადო კოდექსი დღევანდელი ფორმით აწესებს შემდეგ გადასახადებს და საგადასახადო განაკვეთებს: საშემოსავლო გადასახადი – 20% ; მოგების გადასახადი – 15%<sup>151</sup>; დამატებული ღირებულების გადასახადი – 18%; აქციზი – განაკვეთი მერყევა; საბაჟო გადასახადი – 0%, 5% ან 12%; ქონების გადასახადი – ქონების ღირებულების არა უმეტეს 1%.<sup>152</sup>

საგადასახადო განაკვეთების ასეთი ფართომასშტაბიანი შემცირება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული 3-ქიმიანი მიდგომის ერთ-ერთი კომპონენტია.<sup>153</sup> დანარჩენი ორი გახლავთ გადამხდელთა ბაზის გაზრდა და საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების გაუმჯობესება. რესტრუქტურირზაციამ, კადრების გადამზადებამ და ინოვაციების დანერგვამ (მაგალითად, გადასახადების ელექტრონულად გადახდა), საგადასახადო ორგანოების ერთ კალაპოტში მოქცევას და მათი ეფექტიანობის გაზრდას შეუწყო ხელი.

ამრიგად, დღეის მდგომარეობით საქართველოში არსებული ფისკალური პოლიტიკა მაქსიმალურად ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. მაკრო დონეზე მნიშვნელოვანია ასევე მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრა, რადგან გაცვლითი კურსის არასტაბილურობა და მკვეთრი მერყეობა მოქმედებს როგორც საიმპორტო, ისე საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთნაკადების მოცულობაზე. კერძოდ, საქართველოში ლარის დევალვაცია აშშ დოლართან მიმართებაში აძვირებს აშშ დოლარში ნაყიდ იმპორტირებულ პროდუქციას. საქართველოს მსგავსი იმპორტდამოკიდებული სახელმწიფოსთვის დევალვირებული ევროვნული ვალუტა გაძვირებულ იმპორტს უფრო

<sup>150</sup>საგადასახადო სიდუხჭირისა და რეფორმების 2009 წლის ინდექსი. (2009). ჟ. ფორბსი. თბილისი. [www.forbes.com](http://www.forbes.com) (10.08.2018).

<sup>151</sup>მეწარმე, რომელიც კომპანიის მოგებას თავად კი არ დაიტოვებს, არამედ ისევ კომპანიის შიგნით ინვესტირებისთვის გამოიყენებს, მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება. ასე შეიძლება განიმარტოს ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ე.წ. ესტონურ მოდელს ეყრდნობა.

<sup>152</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 202. (18.08.2018).

<sup>153</sup>Bird, R. M. (2008). Tax Challenges Facing Developing Countries, Institute for International Business Working Paper No. 9. Delhi. [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1114084](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1114084) (16.09.2018).

ნაკლებად მოიხმარს და შედეგად იმპორტის მოცულობის წილი ვაჭრობის მთლიან ბრუნვაში მცირდება. ამის პარალელურად, ექსპორტირებული პროდუქცია უცხოელი მომხმარებლისთვის იაფდება და შესაძლოა ექსპორტიც წახალისდეს, თუმცა ამის ერთმნიშვნელოვნად მტკიცება რთულია კონკრეტულ სიტუაციებზე დაკვირვების გარეშე.

ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივების განმაპირობებელ დეტერმინანტების განხილვისას, აუცილებლად უნდა გავანალიზოთ იმ სახელმწიფოთა მაკრო ფაქტორები, რომელთა მიერ შექმნილი ვაჭრობის ბრუნვა, სატრანზიტო ტვირთების მოცულობის თვალსაზრისით, პირდაპირ აისახება ჩვენი ქვეყნის ტრანზიტულ ფუნქციაზე. მაგალითად, როდესაც ვანალიზებთ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების შესაძლებლობებს და მის ინდიკატორად განვიხილავთ ქვეყნის ვაჭრობის ბრუნვას ანუ საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის მოცულობას, არ უნდა დაგვავიწყდეს, ის ტრანზიტული ტვირთნაკადები, რომლებიც ჩვენი მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების ვაჭრობის ბრუნვის იმპორტს ან და ექსპორტს წარმოადგენენ. ამდენად, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში არსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, როგორც შიდა ფაქტორის შემთხვევაში, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის ყველა შემადგენელი კომპონენტის განვითარების დონე პირდაპირ ქმნის საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას. სატრანზიტო კორიდორის განვითარება ვერ იქნება სატრანზიტო დერეფნის მონაწილე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიმე მხარის წარმატებით განპირობებული კონკრეტულ ფაქტორთან მიმართებაში. წარმატების მისაღწევად საჭიროა სატრანზიტო კორიდორში ჩართული ყველა ქვეყნის ერთობლივი, კომპლექსური მიდგომა და თანამშრომლობა.

ტრანსკავკასიური სატრანზიტო კორიდორის და უფრო ფართოდ, ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობაში იგულისხმება სატრანზიტო ფუნქციის განვითარების საერთაშორისო ფაქტორი. იგი გულისხმობს ტრანზიტული დერეფნის მონაწილე და პარტნიორ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმირებას. საქართველოს სატრანზიტო



ფუნქციის განვითარებისთვის მხოლოდ ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ადმინისტრაციული ბარიერების შემსუბუქება, მაკრო ფაქტორების გაუმჯობესება-გამარტივება არ კმარა. მნიშვნელოვანია მეზობელ სახელმწიფოებთან, რეგიონულ მოთამაშეებთან და ვაჭრობის პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, გაფორმდეს ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები, რომლებიც გაამარტივებენ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს ქვეყნებს შორის და ხელს შეუწყობს მეტი სასაქონლო-ნომენკლატურის რეალიზებას ერთმანეთში შეღავათიანი პირობებით, ეს კი დადებით გავლენას იქონიებს ტვირთნაკადების ინტენსივობაზე. ამ მხრივ, ქართული სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები უკვე გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA). 2017 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. მსგავსი სავაჭრო შეთანხმებები კარს უღებს ახალ ბაზრებში ქართული პროდუქციის ინტერვენციას, წარმოადგენს საექსპორტო ზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რაც ავტომატურად ნიშნავს ტვირთზიდვის ინტენსივობის პონტეციურ ზრდას.

*შეჯამება:*

- საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივების გაანალიზებისას გამოიკვეთა მისი განმაპირობებელი სამი ძირითადი ფაქტორი, რომელთა დეტერმინანტებიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენენ სატრანზიტო დერეფანში ტვირთნაკადების მოცულობაზე. განხილული შიდა, მაკრო და საერთაშორისო ფაქტორებიდან საქართველოს მაგალითზე ტრანსკავკასიური კორიდორის სატრანზიტო ფუნქციის განვითარების უმთავრეს შემაფერხებელს წარმოადგენს შიდა ფაქტორი. აღნიშნული განსაზღვრავს სახელმწიფოთა ლოჯისტიკური უზრუნველყოფის დონეს, რომელიც თავის მხრივ აანალიზებს ქვეყანაში არსებულ საბაჟო მომსახურებისა და სასაზღვრო მართვის ოპერაციათა ეფექტიანობას, ვაჭრობისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ხარისხის დონეს, კონკურენტუნარიან ფასებში

საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების სიმარტივეს, ლოჯისტიკური მომსახურების ხარისხსა და კომპეტენციას, ტვირთზიდვის მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებსა და ტრანსპორტირების დროულად შესრულებისა და გადაცდომების სიხშირეს;

- ტრანსკავკასიური კორიდორი მხოლოდ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის რეალიზაციასთან არ არის დაკავშირებული, უნდა განვიხილოთ ყველა იმ სახელწიფოთა ლოჯისტიკური ჩავარდნები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ქმნიან ტრანსკავკასიური კორიდორის ტრანზიტულ ფუნქციას და რომლებზეც დამოკიდებულია ამ ფუნქციის განვითარება. მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს ლოჯისტიკური უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის დონე უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა და ჩამორჩა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ისევე როგორც საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მაჩვენებლებს. საქართველომ ექვსივე კომპონენტში დააფიქსირა უარესი შედეგი, ვიდრე რეგიონში მეზობელმა სომხეთმა, (რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია) და აზერბაიჯანმა, რომლის დამოკიდებულება ქართულ პორტებზე ძალზედ დიდია. ფაქტობრივად ყველა კომპონენტის მაჩვენებელი (მაქსიმალურ დონესთან შედარებით 2.5-ჯერ ნაკლები) იმდენად დაბალი აღმოჩნდა, რომ რთულია რომელიმე კომპონენტის ცალკე გამოყოფა რათა დავასკვნათ, რომ ვთქვათ, რომ ეს კომპონენტი ყველაზე დიდი უარყოფითი ფონის შემქმნელია ქვეყნის მთლიანი ლოჯისტიკური ეფექტიანობის შეფასებისას. თანაბრად ყურადსადებია ინფრასტრუქტურის, კვალიფიციური ლოჯისტიკური მომსახურების, მონიტორინგის, კონტროლის მექანიზმებისა და კონკურენტულ ფასებში საერთაშორისო გადაზიდვის დონე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შესაბამისი სიღრმისეული კვლევების ჩატარება და შემდგომ მათ აღმოსაფხვრელად პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საჭიროა შესაბამის პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში დარგობრივი პროგრამების შემუშავება, რათა ბაზრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს

სატრანსპორტო-ლოჯისტიკის დარგის სპეციალისტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სისტემებით ტვირთზიდვის მონიტორინგისა და კონტროლის ელექტრონული მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, როგორც სახელმწიფო უწყებრივ დონეზე, ისე ბიზნეს სუბიექტებისთვის თავიანთი ლოჯისტიკური მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასეთი მიდგომები, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს ტრანსკავკასიური კორიდორის მიმართ სანდოობის ხარისხს და ხელს შეუწყობს გამჭვირვალე, დროულ და შეუფერხებელ ტვირთზიდვის პროცესს.

#### 4.2 სატრანსპორტო სექტორის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

კვლევები, რომლებიც ცდილობენ შეისწავლონ და დაადგინონ ეკონომიკურ ზრდაზე სატრანსპორტო/ლოჯისტიკური სექტორის გავლენა, საკმარისი და სრულყოფილი სახით არ არის წარმოდგენილი. ემპირიული კვლევები, სადაც გაანალიზებულია ლოჯისტიკის სექტორის მნიშვნელობა ძირითადად ფოკუსირებულია ერთი რომელიმე ქვეყნის შესწავლაზე და გამოყენებულია დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდი. ასევე, გვხვდება კვლევები, რომლებიც მოლოდინების ფორმირებას პანელური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით კონკრეტული ქალაქებისა და რეგიონების მაგალითზე ახდენენ. მიუხედავად ამისა, ე.წ. პანელური მონაცემებით ანალიზის მეთოდი, რომელიც ორზე მეტ ქვეყანას მოიცავს, არსებულ კვლევებში ძალიან იშვიათადაა გამოყენებული. ასევე ცოტაა კვლევები, სადაც განხილულია ლოჯისტიკური ინვესტიციების მრავალგანზომილებიანობა. წინამდებარე კვლევაში გათვალისწინებულია ქვეყნები, რომლებსაც სატრანზიტო ფუნქცია გააჩნიათ მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში და, რომლებსაც, რომლებსაც აქვთ ზღვაზე გასასვლელი (აზერბაიჯანის გამოკლებით), ეს მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიო ვაჭრობის 90%-ზე მეტი სწორედ საზღვაო გადაზიდვაზე მოდის. ამდენად კვლევაში გამოყენებულია შემდეგი ქვეყნების მასალები: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საქართველო, გერმანია, ლატვია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა.

პანელური მონაცემების ანალიზის მეთოდის საშუალებით ლოჯისტიკის სექტორის განვითარების შესახებ კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა ცვლადები. შედეგად მოხდა იმ დეტერმინანტების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე მეტად განავითარებს ლოჯისტიკის სექტორს და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგად მიღებული შედეგები საგულისხმო და გასათვალისწინებელი იქნება ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის თვალსაზრისით. ვფიქრობ, ფართო ცვლადების გამოყენებით მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ სატრანსპორტო/ლოჯისტიკური სექტორისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ არსებული კვლევის გადრმავევაში.

გლობალური ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის პირობებში სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს. შესაბამისად, აღნიშნული სექტორის განვითარება, საერთო ეკონომიკური განვითარებისთვის უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორი გახდა. ზრდადი საინვესტიციო ნაკადები სექტორში, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების ქვეყნებს მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს მარტივად, ეფექტიანად, ნაკლები ფინანსური დანახარჯებითა და ნაკლები სატრანზიტო დროით მოახდინონ საექსპორტო-საიმპორტო პროცესები. აქედან გამომდინარე, ქვეყნებმა უკვე გაზარდა მათი ინვესტიციები ამ სფეროში და ლოჯისტიკის სექტორი გახდა ცნობილი სეგმენტი, რომელიც სწრაფად იზრდება. შესაბამისად, სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა გაზარდა ლოჯისტიკური გამტარუნარიანობა, ეფექტიანობის და უსაფრთხოების დონე, აამაღლა მომსახურების ხარისხი, გააფართოვა ბიზნესი და გაზარდა დამატებული ღირებულება. საბოლოოდ ვიღებთ შემცირებულ სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ დანახარჯებს, შემცირებულ სატრანზიტო დროს და დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც ქვეყანას ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ძალას მატებს და მის ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს.

მსოფლიო მასშტაბით არსებულ კვლევებს თუ გადავხედავთ დავინახავთ, რომ კვლევების ძირითადი ნაწილი ჩატარებულია ჩინეთში. ჩინელმა მკვლევარებმა ა. მოდიმ

და ფ. ვანგმა<sup>154</sup> შეისწავლეს 1985-1989 წლებში ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა დეტერმინანტები მრავალი მონაცემების მეშვეობით 23 ინდუსტრიულ სექტორზე, რომლებიც განთავსებულია ჩინეთის ოკეანისპირა 7 რეგიონში. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარება იყო ქვეყნის წამყვანი ეკონომიკური ფაქტორი. ს. დემურგერმა<sup>155</sup> გამოიკვლია ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულება ჩინეთის 24 რეგიონის მაგალითზე. აღნიშნულ კვლევაში, რომელიც მოიცავს 1985-1998 წლების დროით მწკრივს, აღმოჩენილია ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციებში განხორციელებული ინვესტიციების მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. კიდევ ერთმა ჩინელმა ეკონომისტმა ზ. ჩუმ<sup>156</sup> შეისწავლა ურთიერთკავშირი ლოჯისტიკასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ჩინეთის 30 პროვინციის მაგალითზე 1998-2007 წლებში. აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა პანელურ მონაცემთა ანალიზის მეთოდი, რის შედეგადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი, პოზიტიური კავშირი ლოჯისტიკის სექტორში ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუმცა ლოჯისტიკური ინვესტიციების კონტრიბუცია ეკონომიკურ ზრდაში უფრო მეტად გამოვლინდა შიდა რეგიონებზე, ვიდრე ოკეანისპირა პროვინციებში.

ქ. ვანგმა<sup>157</sup> გაანალიზა რეგიონულ ეკონომიკურ ზრდაზე ლოჯისტიკური აქტივობების ეფექტი ჩინეთში არჰუის პროვინციის მაგალითზე. აღნიშნულ კვლევაში ტვირთბრუნვის მთლიანი მოცულობა გამოყენებულია, როგორც ლოჯისტიკური აქტივობის ძირითადი მაჩვენებელი. მიგნებები აჩვენებს, რომ ლოჯისტიკური აქტივობების ეფექტი რეგიონულ ეკონომიკურ ზრდაზე გაურკვეველია. გ. ჩენგიმ<sup>158</sup> გამოიკვლია ჰენანის რეგიონის მაგალითზე ლოჯისტიკური სექტორის ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე 1978-2008 წლებში და აღმოაჩინა, რომ ლოჯისტიკის სექტორს აქვს

---

<sup>154</sup>Mody, A., Wang, F. (1997). Explaining Industrial Growth in Coastal China: Economic Reforms and What Else? (In China).

<sup>155</sup>Demurger, S. (2001). Infrastructure Development and Economic Growth: An Explanation for Regional Disparities in China? Journal of Comparative Economics, vol. 29, issue 1. (In China).

<sup>156</sup>Chu, Z., Wang, Q., Hong, J. (2011). Transport infrastructure and regional economic growth: Evidence from China. Springer Science+Business Media. (In China).

<sup>157</sup>Wang, X. (2010). Transformation of Growth Pattern and Growth Sustainability in China. (In China).

<sup>158</sup>Cheng G. P. (2010). The Impact of Developments in the Logistics Sector on Economic Growth. (In China).

უმნიშვნელოვანესი როლი ეკონომიკურ ზრდაზე. პ. ჰაიალოგლუმ<sup>159</sup> გაანალიზა ურთიერთდამოკიდებულება ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებულ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ჩინეთის ცენტრალური რეგიონების მაგალითზე და აქვე მოხდა ინვესტიციების, დამატებული ღირებულებისა და ეკონომიკური ზრდის შედარება ერთმანეთთან დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდით. თანაინტეგრაციის ანალიზის მიხედვით გამოძღვანდა 3 თანაინტეგრაციული დამოკიდებულება ცვლადებს შორის. ს. ბუპენიმ<sup>160</sup> გაანალიზა დამოკიდებულება ლოჯისტიკურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ქვეყნების ორ ჯგუფზე, საჰარის აფრიკულ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებზე. აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა ჯვარედინა და პანელური მონაცემებით ანალიზის მეთოდი და შედეგად ორივე ჯგუფის ქვეყნებისთვის ლოჯისტიკაში ინვესტიციებს დადებითი გავლენა ქონდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თურქ მკვლევარებს ს. სეზენსა და თ. აბასიზს<sup>161</sup> თავიანთ ნაშრომში გაანალიზებული აქვთ ლოჯისტიკური სექტორის განვითარების ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მაგალითზე და დადგენილია დადებითად მნიშვნელოვანი ეფექტი ლოჯისტიკურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციებისა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა აღნიშნული ეკონომიკური ორგანიზაციის წევრები არიან როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები, ასევე მათ შორის ზოგიერთს არ გააჩნია სატრანზიტო ფუნქცია და წარმოადგენს გეოგრაფიულად ჩაკეტილ ქვეყანას ზღვაზე გასასვლელის არ ქონის გამო, ზოგიერთ სახელმწიფოს კი სწორედ, რომ საზღვაო ვაჭრობის ფუნქცია მძლავრად აქვს ათვისებული. ამდენად, აღნიშნული კვლევაში არსებული მიგნება არ მიგვაჩნია სრულყოფილად, რადგან ერთგვაროვანი სახელმწიფოები არ არის აღებული და ამდენად ნახსენებ კვლევაზე მიღებული შედეგები აუცილებლად ვერ აისახება სხვა ნებისმიერი

<sup>159</sup>Hayaloglu, P. (2015). The Impact of Developments in the Logistics Sector on Economic Growth: The Case of OECD Countries, International Journal of Economics and Financial Issues, ISSN: 2146-4138. (in China).

<sup>160</sup>Boopen, S. (2006). Transport Infrastructure and Economic Growth: Evidence from Africa Using Dynamic Panel Estimates. The Empirical Economics Letters 5(1). (In China).

<sup>161</sup>Sezer, S., Abasiz, T. (2017). The Impact of Logistics Industry on Economic Growth: An Application in OECD Countries. Istanbul.

ქვეყნის შემთხვევაზე. ცნობილმა მკვლევარებმა, კ. შარიპბეკოვამ და ზ. რაინბეკოვამ თავიან ნაშრომში<sup>162</sup> დსთ-ს წევრ სახელმწიფოებზე ახდენენ პანელური მეთოდით ლოჯისტიკური ეფექტიანობის გავლენის დადგენას ეკონომიკურ ზრდაზე, სადაც ასევე ინფრასტრუქტურაში გაწეული ინვესტიციებს მნიშვნელოვნად დადებით ეფექტს აფიქსირებს ჩატარებული მოდელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და განსაკუთრებით კორელაცია მაღალია კომუნიკაციების ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული 15 ქვეყნა კი შერჩეულია, სწორედ იმით, რომ წარმოდგენილია სატრანზიტო ფუნქციის მქონე და ამავდროულად ზღვაზე გასასვლელის მქონე სახელმწიფოები ეკონომიკურ ზრდაზე სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორის განვითარების გავლენის შეფასებისათვის უნდა შემოვიტანოთ ფაქტორული ცვლადები. ცხრილი 30-ში მოცემულია ყველა ის ფაქტორი, რომელიც გამოყენებულია ჩვენს ეკონომეტრიკულ მოდელში. ესენია მსკ მიმდინარე, აშშ დოლარებში, სახელმწიფო შესყიდვების პროცენტული წილი მთლიან მსკ-ში, მოსახლეობის რაოდენობა, დასაქმებულთა წილი (%) მთლიან სამუშაო ძალაში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში გაწეული ინვესტიციები (მოიცავს საგზაო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ინფრასტრუქტურას, ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობას, გზების, სარკინიგზო მაგისტრალების აღდგენა-რეაბილიტაციასა და სხვ.). ასევე წარმოდგენილია შემდეგი ცვლადები: რკინიგზაზე, საავტომობილო გზებზე, საზღვაო პორტებისა და ავიაციის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა მილიონ ტონებში, გარდა საპორტო საზღვაო გადაზიდვებისა, რადგან ეს უკანასკნელი გამოსახულია ათას ტონებში. ასევე წარმოდგენილია ყველა სატრანსპორტო საშუალოების მიერ მთლიანი ტვირთბრუნვა მილიონ ტონებში.

ცხრილი 30. მოდელში გამოყენებული ცვლადები დეფინიცია

ფაქტორი	ფაქტორის განსაზღვრება	წყარო
LGDP	მთლიანი სამამულო პროდუქტი	მსოფლიო ბანკი
GFCE	სახელმწიფო შესყიდვები (მსკ-ს %)	მსოფლიო ბანკი
POP	მოსახლეობის რაოდენობა	მსოფლიო ბანკი
EMP	დასაქმებულთა დონე (%)	მსოფლიო ბანკი

<sup>162</sup>Sharipbekova, K., Raimbekov, Z. (2018). Influence of Logistics Efficiency on Economic Growth of the CIS Countries. European Research Studies Journal. Volume XXI, Issue 2. [https://www.ersj.eu/dmdocuments/2018\\_XXI\\_2\\_52.pdf](https://www.ersj.eu/dmdocuments/2018_XXI_2_52.pdf) (5.04.2019).

LTINV	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო) განხორციელებული ინვესტიციები მლნ. (აშშ დოლარი)	საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმი
LRAIL	რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა (მლნ. ტ.-კმ.)	მსოფლიო ბანკი
LROAD	საავტომობილო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა (მლნ. ტ.-კმ.)	მსოფლიო ბანკი
LAIR	საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა (მლნ. ტ.-კმ.)	მსოფლიო ბანკი
LPORT	საზღვაო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა (მლნ. ტ.-კმ.)	მსოფლიო ბანკი
LTFREIGHT	გადაზიდული ტვირთების მთლიანი მოცულობა (მლნ. ტ.-კმ.)	მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკი [www.tcddata360.worldbank.org/](http://www.tcddata360.worldbank.org/); საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმი [www.itf-oecd.org](http://www.itf-oecd.org) (15.04.2019).

მეორე მხრივ, ისეთი ცვლადები როგორებიცაა სახელმწიფო შესყიდვების წილი მსპ-ში, მოსახლეობის საერთო რაოდენობა და დასაქმების დონე გამოყენებულია, როგორც მაკონტროლებელი ცვლადი მოდელში, სხვა ყველა ცვლადი ლოგარითმშია აყვანილი. საკვლევ პერიოდად ეკონომეტრიკულ მოდელებში აღებულია 2000 - 2016 წწ. დროითი მწკრივი და გამოთვლილია სტატას (STATA) პროგრამული პაკეტის მეშვეობით.

*დესკრიპტიული სტატისტიკა.* დესკრიპტიული სტატისტიკა, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ცვლადებთან მოცემულია ცხრილი 31-ში, საიდანაც ვხედავთ, რომ მაშინ, როდესაც ეკონომიკური ზრდის კრიტერიუმით გამოირჩევა მსპ-ს ცვალებადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომელიც 2000-2016 წლებში ზემოაღნიშნულ ქვეყნებში დაფიქსირდა 3.89 ტრლ დოლარის ოდენობით, ამ დროს ყველაზე დაბალმა მაჩვენებელმა 3.06 ტრლ დოლარის ოდენობა შეადგინა. როგორც ჩანს სახელმწიფო შესყიდვების ცვლადის, რომელიც ერთ-ერთ მაკონტროლებელ ცვლადს წარმოადგენს მსპ-ში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეადგენს 12.3 მლრდ დოლარს, ხოლო მისი უმაღლესი მაჩვენებელი - 57.99 მლრდ დოლარს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობის ცვლადი საშუალოდ შეადგენს 30 მლნ ადამიანს მოცემული წლების განმავლობაში. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობის ყველაზე დაბალმა მაჩვენებელმა მთლიან სამუშაო ძალაში 2000-2016 წლებში 40.78% შეადგინა, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 64.33% დაფიქსირდა, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრილი 31).

ზემოთ ნახსენები ცხრილიდან ჩანს, რომ ინვესტიციები სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში, რომელიც გამოყენებულია ლოჯისტიკის სექტორის განვითარების მაჩვენებლად აფიქსირებს საშუალოდ - 3.6 მლრდ დოლარს 2000 წლიდან 2016 წლამდე შერჩეულ 15 ქვეყანაში. საშუალო სატრანსპორტო მაჩვენებლების გადახედვისას, აღსანიშნავია, რომ 73 142.88 მილიონი ტონა გადაზიდვა განხორციელდა



საგზაო ტრანსპორტით, 164 058.5 მილიონი ტონა რკინიგზით, 1 205.239 მილიონი ტონა - საჰაერო გზით და 21 076.48 მილიონი ტონა საზღვაო ტრანსპორტით.

ცხრილი 31. ცვლადებთან დაკავშირებული აღწერილობითი სტატისტიკა

Variable	Obs	Mean	Std. Dev.	Min	Max
GDP	270	4.72e+11	8.31e+11	3.06e+09	3.89e+12
GCF	270	24.16702	5.662393	12.37117	57.99043
GGFCE	270	18.40937	3.935351	8.495112	27.93502
POP	270	3.05e+07	3.94e+07	1314545	1.47e+08
EMP	270	53.74861	5.535251	40.785	64.337
INFINVESTeur	252	3.65e+09	5.16e+09	-7.83e+07	2.07e+10
RAILWAY	270	164058.5	496995.7	1696	2493428
ROAD	270	73142.88	98529.01	475	348559
PORT	270	21076.48	34684.02	2	133093
AIR	270	1205.239	2313.622	.003	10187.72
TOTALFREIGHT	270	335006.6	833414.1	3646	4076419
TRADE	270	93.49827	29.91048	42.00053	170.4283

განგარიშებულია: სტატას მეშვეობით (20.04.2019)

ცვლადების კორელაციის კოეფიციენტები მოცემულია ცხრილში 32. როგორც აღნიშნულია, არსებობს პოზიტიური და ზოგადად მაღალი კორელაცია მსპ-სა და საავტომობილო (0.85), საჰორტო (0.81), სარკინიგზო (0.49) და საჰაერო სატრანსპორტო (0.86) საშუალებებით გადაზიდულ ტვირთნაკადებს შორის. ასევე არსებობს პოზიტიური და მაღალი კორელაცია მსპ-სა და ტვირთზიდვის მთლიან მოცულობას (0.77) შორის. საშუალო კორელაცია ფიქსირდება საზღვაო გადაზიდვებსა და მთლიან გადაზიდვებს შორის (0.52). სატრანსპორტო ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები დაბალი კორელაციით დაკავშირებულია საჰაერო (0.22) და მაღალი კორელაციით დაკავშირებულია საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდული ტვირთნაკადების მოცულობასთან მიმართებაში (0.76). თუმცა, ინვესტიციები საშუალოდ კორელაციაშია სარკინიგზო გზებით გადაზიდულ ტვირთების (0.53) მთლიან მოცულობასთან და საზღვაო (0,49) გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობასთან.

ცხრილი 32. მოდელში გამოყენებული ცვლადების კორელაციის კოეფიციენტი

	LGDP	GCF	GGFCE	LPOP	EMP	LinfrIn	Lrailw	Lroad	Lport	LAIR	LTFREI-T	TRADE
LGDP	1.0000											
GCF	-0.4183	1.0000										
GGFCE	0.2514	-0.3616	1.0000									
LPOP	0.7960	-0.2526	-0.1909	1.0000								
EMP	0.1121	-0.0312	0.3142	-0.1201	1.0000							
LinfrIn	0.8531	-0.2739	-0.0301	0.8472	0.1634	1.0000						
Lrailw	0.4957	-0.1628	-0.1545	0.6794	0.0103	0.5341	1.0000					
Lroad	0.8564	-0.3329	-0.0448	0.8148	-0.2097	0.7633	0.6238	1.0000				
Lport	0.8120	-0.3278	0.3870	0.5299	-0.0203	0.4988	0.3011	0.6245	1.0000			
LAIR	0.8621	-0.2965	0.2281	0.7298	0.2448	0.7985	0.4358	0.6942	0.6569	1.0000		
LTFREIGHT	0.7731	-0.2886	-0.1682	0.8891	-0.0210	0.7614	0.8638	0.8667	0.5216	0.7022	1.0000	

ავტორის გამოთვლები პროგრამული პაკეტი - სტატას მეშვეობით (20.04.2019)

მეთოდი და ემპირიული შედეგები. კვლევაში სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორის განვითარების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე გაანალიზდა პანელური

მონაცემების ანალიზის მეშვეობით ზემოაღნიშნულ 15 ქვეყნის მაგალითებზე, აღსანიშნავია, რომ უკრაინის შემთხვევაში სამწუხაროდ, სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკა არ არის ხელმისაწვდომი და ამდენად, ეს ინფორმაცია ჩვენს ანალიზში არ არის ჩართული. მივიღეთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით თუ რომელი მეთოდი იქნებოდა გამოყენებული პანელური მონაცემების ანალიზის ფარგლებში ფიქსირებული და შემთხვევითი მეთოდებიდან ამონაკრების თვისებისა და ჰასმანის ტესტის შედეგების მიხედვით. ზემოაღნიშნული ქვეყნების მახასიათებლებმა და ჰასმანის ტესტის შედეგებმა აჩვენა, რომ ფიქსირებული ეფექტის მოდელი შესწავლის ყველაზე შესაფერისი მეთოდია. ამდენად, ჩვენს მიერ ჩასატარებელი ანალიზისათვის ვიყენებთ შემდეგ ემპირიულ მოდელს:

$$LGDP_{it} = \alpha_i + \lambda_t + \beta_1 GFCE_{it} + \beta_2 Lpop_{it} + \beta_3 EMP_{it} + \beta_4 LINF_{it} + \beta_5 LRail_{it} + \beta_6 Lroad_{it} + \beta_7 Lport_{it} + \beta_8 Lair_{it} + \beta_9 LTfreigh_{it} + \beta_{10} traid_{it} + \varepsilon_{it}$$

*ანალიზში გამოყენებულ მოდელში:* სადაც,  $i$  არის ქვეყანა,  $t$  - დრო,  $\beta$  - ამხსნელი კოეფიციენტი,  $\alpha_i$  - ქვეყნის ფიქსირებული ეფექტი,  $\lambda_t$  - მუდმივი დრო,  $\varepsilon_{it}$  - შეცდომის პირობა და  $L$  - დაკავშირებული ცვლადების ლოგარითმი. სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სექტორის განვითარების მაჩვენებლად გამოყენებული ცვლადი - ინფრასტრუქტურაში გაწეული ინვესტიციები (მოიცავს საგზაო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ინფრასტრუქტურას, ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობას, გზების, სარკინიგზო მაგისტრალების აღდგენა-რეაბილიტაციასა და სხვ.). კვლევაში, ლოჯისტიკური სექტორის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის განსახილველად ორი მოდელი ჩამოვყალიბეთ.

მოდელის 1 შედეგები მოცემულია ცხრილში 33-ში. როგორც ცხილიდან ჩანს ნეგატიური და სტატისტიკურად უმნიშვნელოვანი მიმართება არსებობს ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციებსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის 5%-იან დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არის ნეგატიური - თუმცა უმნიშვნელო. მაკონტროლებელი ცვლადების

დასკვნები აჩვენებს, რომ არსებობს პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიმართება სახელმწიფო ხარჯებს, მოსახლეობის რაოდენობას, დასაქმებას, სარკინიგზო გადაზიდვებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის 5%-იან დონეზე. ისეთი ლოჯისტიკის ცვლადი, როგორცაა ტვირთბრუნვის მთლიანი მოცულობა, დადებით დამოკიდებულებაშია მსპ-თან, რომელიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 33. რეგრესული განტოლების შედეგები (მოდელი 1)

LGDP	Coef.	Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]
GCF	-.0070415	.0047323	-1.49	0.137	-.0163167 .0022336
GGFCE	.0680004	.0069597	9.77	0.000	.0543595 .0816412
LPOF	.7635489	.095969	7.96	0.000	.575453 .9516448
EMP	.0160583	.0045127	3.56	0.000	.0072135 .024903
LTFREIGHT	.2806713	.0778936	3.60	0.000	.1280026 .4333401
TRADE	.0000983	.0010043	0.10	0.922	-.0018701 .0020668
_cons	2.352522	.5772322	4.08	0.000	1.221167 3.483876

განგარიშებულია: სტატას მეშვეობით (22.04.2019)

თუმცა მოდელი 2, რომელიც ასახულია ცხრილ 34-ში, რომელშიც დამატებულია ისეთი ცვლადები, როგორცაა სატრანსპორტო/ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო დარგებში საინტერესო შედეგებს ვიღებთ. კერძოდ, ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სატრანსპორტო/ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე საინტერესოა მაკონტროლებელი ცვლადების ანალიზი. როგორც ცხრილიდან ჩანს საავტომობილო, საზღვაო გადაზიდვების ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და დადებით მიმართებაშია ეკონომიკურ ზრდასთან ანუ მოცემული ცვლადები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. თუ კი დავაკონრეტებთ, მოცემული მოდელის მიხედვით, ყველაზე მაღალი დადებითი გავლენით ეკონომიკურ ზრდაზე ხასიათდება საგზაო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები. მას მოსდევს საზღვაო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტირება, რომელიც თავი მხრივ უსწრებს საჰაერო და სარკინიგზო დარგში განხორციელებული ინვესტიციების გავლენას მსპ-ზე.

გარდა ამისა, მოდელში მოცემული  $R^2 = 0.97$  ნიშნავს, რომ მოდელის ამხსნელი ცვლადები 97 პროცენტით ხსნიან ასახსნელ ცვლადს.

ცხრილი 34. რეგრესული განტოლების შედეგები (მოდელი 2)

Random-effects GLS regression		Number of obs = 251	
Group variable: YEAR		Number of groups = 18	
R-sq: within = 0.9776		Obs per group: min = 13	
between = 0.9416		avg = 13.9	
overall = 0.9742		max = 14	
corr(u_i, X) = 0 (assumed)		Wald chi2(9) = 9096.49	
		Prob > chi2 = 0.0000	

LGDP	Coef.	Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]	
LinfrIn	.3030062	.0323353	9.37	0.000	.2396302	.3663823
LPOP	.1948443	.0466628	4.18	0.000	.1033869	.2863018
GGFCE	.0271335	.0031039	8.74	0.000	.0210499	.0332171
Lrailw	-.1435916	.0322523	-4.45	0.000	-.206805	-.0803781
Lroad	.4037676	.0372555	10.84	0.000	.3307482	.4767871
Lport	.2597323	.0148955	17.44	0.000	.2305375	.288927
EMP	.0173693	.0024598	7.06	0.000	.0125482	.0221904
LTFREIGHT	.0944806	.0690121	1.37	0.171	-.0407806	.2297417
LAIR	.0133481	.0131114	1.02	0.309	-.0123498	.0390459
_cons	.494869	.4319752	1.15	0.252	-.351787	1.341525

განგარიშებულია: სტატას მეშვეობით (25.04.2019)

ცხრილი 34-ში მოცემულია რეგრესული განტოლების შედეგები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ცვლადებით: მსპ (დამოკიდებული ცვლადი), დასაქმების დონე, სატრანსპორტო ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები, ტვირთბრუნვის მთლიანი მოცულობა და ამასთან წარმოდგენილია ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის ექვსივე კომპონენტი.

მოცემულ ჩვენს კვლევაში ეკონომიკის ზრდაზე ლოჯისტიკური სექტორის განვითარების ზეგავლენა 2000 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში 15 ქვეყნისთვის ჩატარდა. კვლევაში გამოყენებულ იქნა პანელის მონაცემთა ანალიზი, ლოჯისტიკის სექტორის განვითარების მაჩვენებლად - სატრანსპორტო/ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურაზე გაწეული ინვესტიციები, სარკინიგზო, სახმელეთო, საჰაერო ტრანსპორტის ცვლადები. ამ კვლევის შედეგების მიხედვით, ლოჯისტიკის სექტორის სხვადასხვა ინდიკატორები გამოიყენება, სატრანსპორტო სექტორზე ინვესტიციები ხელს უწყობს აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას.

შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ჩვენს მიერ გაანალიზებულ ქვეყნებში ლოჯისტიკური სექტორის განვითარებაა, კერძოდ კი სექტორში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ამდენად, მთავრობათა პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ამ სფეროში ინვესტიციებს წახალისებს, დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, როგორც ლოჯისტიკის სექტორის

მნიშვნელოვანი ასპექტი, უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ სფეროში ინვესტიციები სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებას და საქონლისა და მომსახურების მობილობის ზრდას უწყობს ხელს. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნულ ქვეყნებში ამ სექტორის განვითარებამ დააჩქაროს ზრდისა და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი კონკურენციის უპირატესობის უზრუნველყოფა.

## *დასკვნა და რეკომენდაციები*

თეორიასა და პრაქტიკაში არსებული მიღწევების გაანალიზებით ვასკვნით, რომ გეოეკონომიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს კომპლექსური განვითარებისა და მსოფლიოს გლობალურ სისტემებში ინტეგრაციის შესახებ. ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სწორედ სახელმწიფოთა გეოეკონომიკური სტრატეგიების ფორმირების შედეგია. ამჟამად, თავად ეკონომიკური გლობალიზაცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყანათა ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე და მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების განვითარებაზე, თუმცა ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების გეოგრაფიული სივრცის მიხედვით. შესაბამისად გეოეკონომიკური სტრატეგია თანაბრად ემყარება ქვეყნის გეოგრაფიულ განფენილობას, მის ისტორიულ გამოცდილებას, მასში და მის გარშემო არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს. გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებაში პატარა სახელმწიფოსთვის დამატებითი ფაქტორებია გასათვალისწინებელი. თუ კომპლექსურად გავაანალიზებთ პატარა ქვეყნის შემთხვევას, საქართველოს მაგალითზე დავინახავთ, რომ ქვეყნის გეოგრაფიულ განფენილობას და მასზე შექმნილ სატრანსპორტო/სატრანზიტო შესაძლებლობებს, სატრანზიტო მარშრუტის ფუნქციონირების ისტორიულ გამოცდილებას, პოლიტიკურ მნიშვნელობასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებთან ერთად ქვეყნის გეოეკონომიკური პოზიციონირების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი გააჩნია რეგიონში და საერთაშორისო არენაზე არსებულ კონფლიქტებს, არსებულ მსოფლმხედველობით სპეციფიკასა და ეთნოფსიქოლოგიას, რელიგიურ მრწამსსა და კუთვნილებას, რომლებიც ეკონომიკური ინტერესების აკუმულირებას ახდენენ საქართველოს, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის მიმართ. საქართველოს მსგავსად პატარა ქვეყნები დიდ სახელმწიფოთა გეოეკონომიკურ ინტერესებზე არიან დამოკიდებულნი და ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ საქართველოს შემთხვევაში ნახსენები ინტერესი იკვეთება სწორედ ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო შესაძლებლობებსა და სატრანზიტო ფუნქციაზე. საქართველოს, როგორც გეოეკონომიკური ჰაბის ფორმირების მთავარ

ამოსავალ წერტილს, რომ სატრანზიტო ფუნქცია წარმოადგენს, მტკიცდება საქართველოს მიმართ შიდა რეგიონული, გარე რეგიონული და საერთაშორისო მოთამაშეების გამძაფრებული სატრანსპორტო-ეკონომიკური ინტერესებით.

ნაშრომში ჩატარებული ანალიზით დასტურდება, რომ ტვირთზიდვის ტრენდი განსხვავდება ერთმანეთისაგან სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და ლიდერი პოზიცია ავტომანქანებით გადაზიდვებს უკავია, შემდგომ მოდის საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვები. თუმცა საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვებში გათვალისწინებულია ტვირთების ის მოცულობა, რომლებიც ქართულ პორტებში შემოდის საკონტეინერო და ნაყარი ტვირთების სახით და ნაწილდება საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ცენტრალურ აზიაში. ამდენად, რეალურად საზღვაო გადაზიდვების წილი ტვირთბრუნვის მთლიან მოცულობაში საერთაშორისო გადაზიდვების კუთხით მოწინავეა და მას მოსდევს საავტომობილო და ბოლოს სარკინიგზო გადაზიდვები. სატრანსპორტი საშუალებებისა და მასზე განხორციელებული ტვირთბრუნვების ანალიზის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ სატრანსპორტო დარგების მიერ ტვირთების გადაზიდვის შეფასებისას მნიშვნელოვანია საკითხის კომპლექსური გაანალიზება. ნაშრომში განხილული საქართველოს სარკინიგზო, საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო სატრანსპორტო დარგები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საკუთარი სპეციფიკით, შესაძლებლობებითა და საჭიროებებით. ჩატარებული კვლევის მიხედვით, აღნიშნული დარგების განვითარება და მათ მიერ ტვირთბრუნვის ცვალებადობა სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული, როგორცაა ინფრასტრუქტურული და ტექნიკური შესაძლებლობები, გამტარუნარიანობა, პროგნოზირება, უსაფრთხოება, ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, ეკონომიკური შესაძლებლობები, ბაზარზე მონოპოლიური პოზიციონირება, თანამიმდევრული და შეთანხმებული საფასო პოლიტიკის არ არსებობა, საზღვრისკვეთის პროცედურები, წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ტექნიკური ბარიერები და განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები, გართულებული საზღვრისკვეთის და საბაჟო პროცედურები, საკანონმდებლო ჰარმონიზაციის,

სატრანსპორტო/ლოჯისტიკური დარგების მომსახურების ფრაგმენტაცია მომსახურების ურთიერთგამომრიცხავი კომერციული სტრატეგიების პირობებში, საბაჟო პროცედურები, საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის სიმწირე, დარგთშორისი კოორდინაცია და საფასო პოლიტიკა სატრანსპორტო კორიდორში ტვირთზიდვის მოცულობის ცვლილებას განსაზღვრავს, როგორც თავად საქათველოში, ისე ტრანსკავკასიური კორიდორის მონაწილე ქვეყნებს შორის, რომლებიც ტვირთების შეუფერხებელ, სწრაფ, უსაფრთხო და იაფ გადაზიდვას უზრუნველყოფენ მთლიანად ახალი აბარეშუმის გზის კორიდორში. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული აღნიშნული ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივად.

მთლიანობაში, ზემოაღნიშნული სატრანსპორტო სექტორების და მათზე გატარებული ტვირთნაკადების გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სატრანსპორტო დერეფნები უნდა განვიხილოთ არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკური და სატრანსპორტო დერეფნებში ინტეგრაციის პოზიციიდან, არამედ როგორც მსოფლიო ლოჯისტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ლოჯისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურულ შემადგენლობას წარმოადგენენ გამანაწილებელი ცენტრები, მულტიმოდალურ/ინტერმოდალურ სატრანსპორტო ქსელთა ურთიერთმოქმედი მულტიმოდალურ-ტერმინალური კომპლექსები, რომლებიც ერთ სისტემად არიან შეკრულები, მუშაობენ ერთიანი სტანდარტებით, ნორმებით და წესებით „კარიდან კარამდე“ და „ზუსტად დროში“ ტექნოლოგიებით მაღალეფექტიან შედეგებს აღწევენ. აღნიშნული ლოჯისტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს რგოლებს წარმოადგენენ საზღვაო პორტები, რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტი, რომელთა განვითარება უნდა მოხდეს, როგორც ქვეყნის შიგნით სექტორულ დონეზე, ისე მეზობელ და პარტნიორ სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადებით თამაშის საერთო წესის ფორმირებისათვის, რათა ხელი შეეწყოს ყველა სატრანსპორტო საშუალების ორკესტრირებულ ამოქმედებას და შეუფერხებელი მიწოდების ჯაჭვის შექმნას ისე, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები და ინფრასტრუქტურული პროექტები იყვნენ ტვირთზიდვის პროცესში ურთიერთშემავსებელი ფუნქციის



მატარებლები და არა ურთიერთგამომრიცხავი. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ერთი სატრანსპორტო დარგის განვითარების სანაცვლოდ სხვა სატრანსპორტო დარგის ჩავარდნას, ამისათვის კი მნიშვნელოვანია სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო სექტორებმა იდენტიფიცირება მოახდინონ ძირითადად განსხვავებული ტიპის მქონე ტვირთების გადაზიდვაზე და ითანამშრომლონ საერთო ინტერესის ტვირთზიდვებზე, რათა თითოეულმა მათგანმა საკუთარი კონტრიბუციით შექმნას მიწოდების ჯაჭვის ის ნაწილი, რომელიც შეუძლებელი იქნება სხვა სატრანსპორტო დარგის მიერ და პირიქით.

ზემოხსენებული დარგების განვითარებასა და მათ მიერ ტვირთბრუნვის ცვალებადობაზე მომქმედი ფაქტორების პირობებში ვასკვნით, რომ სატრანზიტო კორიდორის მიმზიდველობა განისაზღვრება კორიდორის სიგრძით ანუ ტრანზიტული დროითა და ტრანსპორტირების ოპერაციული სირთულით, ტრანსპორტირების ხარჯიანობით, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორცაა კრიმინალური მდგომარეობა, კორუფციის დონე და სხვ. ამ ძირითადი კრიტერიუმიდან გამომდინარე ტრანსკავკასიურ და მთლიანად ახლი აბრეშუმის გზის ანუ ე.წ. შუა კორიდორის საერთაშორისო კონკურენტებს წარმოადგენენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვაო დერეფნები, ისევე, როგორც ტრანსციმბირული სარკინიგზო და სამხრეთის სახმელეთო კორიდორი. აღსანიშნავია, რომ ნახსენები მარშრუტები კონკურენციას უწევენ ტრანსკავკასიურ კორიდორს შორეულ აღმოსავლეთსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ტვირთნაკადების გადაზიდვაში. თითოეულ მათგანს აქვს ამბიციის მოახდინოს დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ტვირთნაკადების მოზიდვა და საკუთარ დერეფანში გადაზიდვა, თუმცა ამას წარმატებით მხოლოდ სამხრეთის საზღვაო დერეფანი და ტრანსციმბირული სარკინიგზო კორიდორი ახერხებს.

მიუხედავად იმისა რომ ახალი აბრეშუმის გზის მიმართ, სადაც საქართველოს საკვანძო სატრანზიტო როლი გააჩნია, ინტერესი მაღალია, ჩინური ტვირთების ევროპაში გადაზიდვის და პირიქით პროცესი ფერხდება. უმთავრეს ნაკლოვანებას ქმნის კორიდორის მულტიმოდალურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტვირთზიდვაში ჩართულია როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ტრანსპორტი. ეს ზრდის საოპერაციო სირთულეს და

საბოლოოდ კორიდორის ხარჯიანობის ზრდაში აისახება. ამ და ზემოაღნიშნული შემაფერხებელი ფაქტორების გათვალისწინებით ვასკვნით, რომ მოკლევადიან პერიოდში ახალი აბრეშუმის გზის და მის ავანგარდში ტრანსკავკასიური კორიდორის ანუ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხილვა ევროპასა და ჩინეთს შორის სავაჭრო ტვირთების გადასაზიდი კორიდორების კონკურენციის ჭრილში ემბრიონულ მდგომარეობაშია. გრძელვადიან პერიოდში ამ კორიდორის კონკურენტუნარიანობის განხილვა შესაძლებელი იქნება გარკვეული ტიპის სასაქონლო ნომენკლატურების გადაზიდვის შემთხვევაში. კერძოდ, ახალი აბრეშუმის გზის კორიდორი საერთაშორისო კონკურენტებთან შედარებით შესაძლოა უფრო მეტად მომხიბვლელი იყოს საკუთარი მოკლე მანძილითა და პოტენციურად მცირე სატრანზიტო დროით მაღალღირებულების მქონე ტვირთებისთვის, რომლის ტრანსპორტირებისას პრიორიტეტია დანიშნულების ადგილამდე მინიმალურ დროში მიწოდება. ამ შემთხვევაში ტრანსპორტირების ხარჯიანობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან თავად სატრანზიტო დროის სიმცირე ტვირთმფლობელს ტრანსპორტირების ღირებულებას უკომპენსირებს. ამდენად, ამჟამად ტრანსკავკასიური კორიდორი მხოლოდ რეგიონულ სატრანზიტო კორიდორად რჩება და არა საერთაშორისო მოთამაშედ. რეალურ კონკურენტ მარშრუტებს ტრანსკავკასიური კორიდორისთვის წარმოადგენენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მულტიმოდალური კორიდორები, რომელთა მიმართაც ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად ტრანსკავკასიურ კორიდორს ხარჯიანობის და სატრანზიტო დროის თვალსაზრისით, საკონტეინერო ტვირთზიდვის პროცესში კონკურენტუნარიანობის დაბალი მახასიათებლები გააჩნია.

მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ინდექსის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს ლოჯისტიკური უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის დონე უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა და ჩამორჩა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ისევე როგორც საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მაჩვენებლებს. საქართველომ ექვსივე კომპონენტში დააფიქსირა გაუარესებული შედეგი, ვიდრე რეგიონში მეზობელმა

სომხეთმა, (რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია) და აზერბაიჯანმა, რომლის დამოკიდებულება ქართულ პორტებზე ძალზედ დიდია. ფაქტობრივად ყველა კომპონენტის მაჩვენებელი იმდენად დაბალი აღმოჩნდა, რომ რთულია რომელიმე კომპონენტის ცალკე გამოყოფა დასკვნისთვის, რომ ეს კომპონენტი ყველაზე დიდი უარყოფითი ფონის შემქმნელია ქვეყნის მთლიანი ლოჯისტიკური ეფექტიანობის შეფასებისას. თანაბრად ყურადსაღებია ინფრასტრუქტურის, კვალიფიციური ლოჯისტიკური მომსახურების, მონიტორინგის, კონტროლის მექანიზმებისა და კონკურენტულ ფასებში საერთაშორისო გადაზიდვის დონე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შესაბამისი სიღრმისეული კვლევების ჩატარება და შემდგომ მათ აღმოსაფხვრელად პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

ჩვენს მიერ ჩატარებული ეკონომეტრიკული გათვლებით, სადაც გამოვიყენეთ პანელური მოდელი ზღვაზე გასასვლელის მქონე 15 ქვეყანაზე 2000-2016 წლების პერიოდში, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ლოჯისტიკური სექტორის განვითარებაა, კერძოდ, სექტორში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ამის ნათელი მაგალითია საპორტო ინფრასტრუქტურა ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის სახით, რომლის აშენება აუცილებელია იმისათვის, რომ გაზრდილ ტვირთბრუნვას სახელმწიფომ საზღვაო ინფრასტრუქტურის აშენებით უპასუხოს. ეს გამოიწვევს ქართული საზღვაო კორიდორის გამტარუნარიანობის ზრდას და მაშტაბის ეკონომიის პირობებში საზღვაო გადაზიდვების ხარჯიანობის შემცირებას, რაც ბაზარზე გაზრდის კონკურენციის დონეს, შეამცირებს საპორტო მომსახურების ხარჯებს, ადგილობრივ სატერმინალო ხარჯებს და კონტეინერების გატანის საკომისიოს. საზღვაო კორიდორი უფრო კონკურენტული გახდება ბალტიისპირეთისა და ირანის პორტებთან შედარებით და მათზე გამავალი ტვირთების მოზიდვის რეალური შანსი იარსებებს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, როგორც ლოჯისტიკის სექტორის მნიშვნელოვანი ასპექტი, უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ სფეროში ინვესტიციები ხელს უწყობს სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებას და საქონლისა და მომსახურების მობილობის ზრდას. შესაბამისად, შესაძლებელია

აღნიშნულ ქვეყნებში ამ სექტორის ზრდამ დააჩქაროს განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი კონკურენციის უპირატესობის უზრუნველყოფა და საბოლოოდ ხელი შეუწყოს საქართველოს გეოეკონომიკურ ჰაბად ფორმირებას სატრანზიტო ფუნქციის განვითარების კუთხით.

ამდენად, მთავრობათა პოლიტიკა, რომელიც ლოჯისტიკის სფეროში ინვესტიციებს წახალისებს, დადებითად აისახება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე.

გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივების რეალიზებისთვის და ტრანსკავკასიური კორიდორის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მულტიმოდალურ კორიდორებსა და სამხრეთის სახმელეთო კორიდორთან შედარებით მეტი კონკურენტუნარიანობისათვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს ტრანსკავკასიური კორიდორის კონკურენტუნარიანობა, შემცირდეს ხარჯიანობა, ტრანზიტული დრო და გაიზარდოს საიმედოობა. ამისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

